თეთრი საყელო

ვუძღვნი ლიუბას-სიყვარულას-
ჩემს მეუღლეს,
მეგობარს,
ადამიანა,
დედას.
მ. ჯავახიშვილი

თავი პირველი

"საქართველოს სპილენძი აღარა აქვს, - ვთქვი და გადავწყვიტე: - უნდა ვიპოვნო".

ვიცოდი, რომ ალაზნის სათავეებში დ მაღალი ბორბალოს ნაოჭებსა და კალთებში - დაგროვილია ყვითელი ჯვარი, რომელიც უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში მზის ნახვას და გადადნობას ელოდებოდა. გადავწყვიტე და ორი დღის შემდეგ კახეთი გადავჭერი.

- საით მივდივართ, ძმობილო? დ ვკითხე ჩემს მეგზურს.

- იქით, შენი ჭირიმე მე. მიპასუხა ახმეტელმა ნაჩაფრალმა და ჩრდილოეთისკენ გაიშვირა გაქონილი თითი.

ცხენები დავძარით და პირი კავკასიონის თეთრი ნაბდებისკენ

შავი ტყით მობურულ შახვეტილას, გომბორს და ნაქერალას კახეთის გაშლილი კალთები კბილებით და კლანჭებით ჩაუბღუჯავთ.

ცხადი გათავდა და ლეგენდა დაიწყო: ჩვენი ლაშქარი პირუკუღმა დაჭედილი ბედაურებით, აგერ ის ბახტრონი რომ გამოჰგლიჯეს შაჰინ-შაჰს ამგვარი ხერხით. მაძღარი თუშები, თავიანთი ნასუქი ყოჩებივით რომ გაფუვებულან. ვაჟა-ფშაველები, გაპოხილი მიწის საძებნელად არაგვიდან ალაზნისკენ რომ გადმოულაჯიათ. ტანით და რიათ. დღესაც აბჯარ-დაშნა-ჩაფხუტით შეჭედილი ხევსურები, ჯერ-

ჯერობით ჯაქვის ხანაში რომ დაბორიალებენ, და თვალცეცია, გრძელ-
ჯუბა ჯაყოები, ჯავიდან რომ ჯავარიანი პანკისის უბეში შეხიზნულან

აქ ყველანი და ყოველივე ზღაპრისა და ლეგენდის ბადით შეხავ-
სულა: დიდი ბუჩქის ძირში ბუნდოვანი მითი ჰფუსფუსებს, პიტალო კლდეზე რაინდული არაკია გაკრული, ხოლო გარანდულ ხეებსა და გალიპულ ქვებზე ჟანგიანი ლურსმანით გალექსილი ეპოსია ამოჭ-
რილი.

კლდოვან ქვაბებში ცალთვალა დევები სცხოვრობენ, ხოლო ღრმა ხევ-ხუვები სავსეა კუდიანი ილბისებით, ტიტველი ალქაჯებით,

ოქროსთმიანი მიონებით, რქოსანი ღვირღვებით და ბანჯგვლიან ეშ-
მებით, - ქუსლები რომ წინ აქვთ წამოყრილი, პირიდან რომ
ცეცხლსა ჰყრიან და თავისივე დაჩვრეტილ მკლავებზე სალამურსა-
ვით რომ უკრავენ.

მთების ფერდებზე საქონელი და ცხვარი ისე შეფენილა, თითქო
მწვანე ხალიჩებზე ჭრელ-წითელი ლობიო და დახალული სიმინდი
გაუბნევიათო. უღრანი ტყეები ალაგ-ალაგ შეუკორტნიათ, შეუკრე-
ჭიათ, შეუპარსავთ. ხშირად მოსჩანს შენაცრული ყავარი, ძისგრი-
ული ნიში, დაგლეჯილი კოშკი, საქათმის-ოდენა წისქვილი, კვამლის
სვეტი და აპენტილი სოფელი.

კოკიანი დედაკაცები - თუ მათი მამაკაცები არ მოსჩანან - გაშ-
ლილი ღიმილით გვიხვდებიან და თამამი სიტყვა-სიცილით გვაცი-
ლებენ. თვალჟუჟუნა ბალღები ჯოხებს გვიქნევენ და ჟილ-ხივი-
ლით მოგვდევენ ძაღლის-ოდენა ძროხები გაოცებით გვიცქერიან,
ხოლო იქაური ძროხის-ოდენა ძაღლები ვიწრო ხეობას ყეფით
აყრუებენ და უნაგირებიდან ჩვენს გადმოთრევას ლამობენ. იმ ძაღ-
ლებს ჩვენ საშველად ხუთნაირი ხალხი მოსდევს - ქვებით, კომბ-
ლებით და ყვირილით: ხან ფშაველი, ხან თუში, ზოგჯერ ოსი, ხან
ქისტი და ხან ხევსურიც.

ოდნავ გვაცილებენ და გვეკითხებიან:

--- ქადამჩაუ?

-- სადაური იქნები?

-- ვინ ხარ, ძმობილო?

- საად მიბძანდები?

მეც თუშეთის მთებისკენ ვიშვერ ხელს და ვეუბნები:

- იქით... ალაზნის სათავისკენ.

მართლა ალაზნის სათავისკენ მივდიოდი. ხურჯინში ჰაბიხის
გეოლოგია, ხელსაწყო და დიდი რუკა მედო. ხოლო გულში - იმედი
სპილენძისა და მოწყალე ბედის პოვნისა.

ღამე პანკისში გავათენე. მეორე დღეს ომალოს გავცდი, მახილ-
ხორჯაში დავიღამე და მესამე დღეს ისევ გზას შევუდექი.

ხეობა დავიწროვდა, ხოლო ალაზანი ისე დაილია, რომ მისი
ჩიფჩიფი ძლივს-ღა ისმოდა. ისევ წყლის კალაპოტს მივდევდით და
ბორბალოს მწვერვალს შევცქეროდით, რომელიც უზარმაზარ მწვა-
ნე ტალღებში საარაკო თეთრი კანკელივით მოსჩანდა. შემდეგ მარ-
ცხნივ გადავუხვიეთ.

გზა ჯერ გაბილიკდა, მერმე ისიც წაიშალა და დაიკარგა. ხელუხ-
ლებელი ტყე გაუღრანდა, დამუნჯდა, ბინდ-ბუნდში ჩაწვა.

აღარც სოფელი, აღარც ჩქამი, არც სულიერი.

- ძმობილო, გზა ხომ არ აგვერია?

- დასწყევლოს ღმერთმა! - ჰბუტბუტებს ნაჩაფრალი. - ბარე ხუთჯერაც ვყოფილვარ ამ ტიელ ტყეში. ეხლა კი...

ეხლა კი ხან იკუზება, ხან უნაგირზე დგება, ზოგჯერ ცხენიდან ჩამოდის და სადღაც ჯურღმულში იკარგება. მერმე მეორე მხრიდან მაჩვივით ამოდის მიწიდან, თავს იქექავს და ნაკვალევს ეძებს, მაგრამ ამაოდ: არც ადამიანის ნატერფალი, აღარც ქაშანი, არც ნადირის ნაფეხარი.

მზეს შევცქერით და გეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ მიგვაქვს. მაგრამ აუვალ ფერდობებსა და ხევ-ხუვებს დასავლეთისკენ მივყევართ. და დაღვარული ცხენებიც ძლივს-ღა მოათრევენ მოწყვეტილ ფეხებს. ხან ერთი წაიჩოქებს, ხან მეორე წაიბორძიკებს.

მზე დასავალს იყო, რომ ერთ ღრმა ხეობაში ჩავედით.

- რა ვქნა, ეს მგონი ხევის-ჭალა უნდა იყოს. - ამბობს ჩემი სანჩო-პანჩო. - დასწყევლოს ღმერთმა, ეს სად გამოვედით!

- ეხლა საით უნდა წავიდეთ?

- აბა რა ვიცი!

არც მე ვიცი. ეშმაკსაც წაუღია შენი თავი, ნაჩაფრალო! სოფელს მაინც წავაწყდეთ და ღამე ჭერ-ქვეშ გავათენოთ.

მშიან. საგზალი არ წამოვიღეთ. სადღაც თუშებთან ვაპირებდით მომარაგებას. წყალი დავლაეთ და მეოთხე თუ მეხუთე გოლგოთას შევუდექით.

თხემზე რომ ავედით, გაოცებულნი შევდექით.

ჩამავალი მზე ვიო ფრთა-გაშლილი, უზარმაზარი, წითელი არწივი მიექანება უთავბოლო სივრცის გადაღმა. ირგვლივ დ უსაზღვრო, უდაბური, მწვანე ოკეანე მთების, გორების, გორაკებისა და სერების. ამ ზღვაში თავწითელა ბორბალო ეხლა კუნძულს ჰგავს, უკვე მარჯვნივ წაწეულს, ხოლო კავკასიონის თეთრი გრეხილი - საარაკო ნაპირს, შორეულს, მიუვალსა და გარდუვალს

კვამლს ვეძებ, მაგრამ არსად მოსჩანს. ნეტა ძაღლის ყეფა მაინც გავიგონოთ. არც ის გვესმის.

უცებ მოლზე ნაბდიანი ცხენოსანი გამოჩნდა. თვალი რომ მოვკარი, მივაძახე:

- ძმობილო. გვაშველე! გზა გვაჩვენე!

ჭაბუკმა ერთი მოიხედა, შეკრთა, ცხენს მათრახი ჰკრა და მიიმალა.

- დაიცა. ძმობილო! - შევძახე და მეც გადავუჭირე ჩემს ცხენს

მათრახი.

- არ მახვიდა, მაგკლავ! - მომესმა შორიდან და იმავე წამს იქაურობა თოფის ქუხილმა დააყრუა.

ლაგამი მოვზიდე და ცხენი შევაყენე.

- ყაჩაღი იქნება. - სთქვა მეგზურმა

- ან ჩვენ ვგონივართ ყაჩაღები.

ცხენოსანი ლანდის კვალს გავყევით, მაგრამ იგი ბინდმა წაშალა. და ჩვენი ნავი - ორი კაცი და ორი ცხენი - მწვანე ზვირთის თხემ - ზე დაიკარგა. ღამე მოდის,--შიშით, თრთოლვითა და იდუმალებით სავსე. ღამე უტეხ ტყეში, შუა ზღვაში, ყრუ და უკაცურ უდაბნოში, სადაც გარდა ბუნაგებისა და მშიერი ნადირისა არც საფარია, არც მშველელი, არც სულიერი.

- ღამე აქ უნდა გავათენოთ? - ვეკითხები ჩემს უმწეო წინა-მძღოლს.

- მაშ რა ვუყოთ, უნდა გავათენოთ. - მეთანხმება სანჩო და ცეცხლის ასანთებად უკვე ფიჩხს ეძებს.

ცხენები საძოვნელად გავუშვით, კლდის ძირში ცეცხლი ავანთეთ ნარდებში გავეხვიეთ და გვერდით მივუწექით.

ჩემს მეჭურჭლეს ხანჯლის გარდა არაფერი არა აქვს. მეც თითის სიგრძე დანა მიდევს ჯიბეში. თუ ნადირი მოგვეტანა, მუგუზლებით მოვიგერიებთ, სანამ ძილი მოგვერეოდეს, მანამ ცარიელ კუჭებს ზღაპრებით ვამშვიდებთ.

- იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... -- და-იწყო პანჩომ და კვლავ გამახსენა სირინოზი, ოჩოპინტე, მაძახურა. დევი, ეშმა, ალი და ათასი ავი სული. მერმე პირიქეთელი ქისტები მომალანდა, პირაქეთ ათასობით რომ გადმოდიან და ყოველი ბუჩქის - ძირში იმალებიან შემდეგ ყაჩაღებიც მოაგონდა ბოლოს მგონი თვი-თონვე შეეშინდა და გაყუჩდა.

ღამე ჩამოწვა, მთის ღამე, - შავი ხავერდივით ბნელი და ვერ-ცხლის კურცხალებით დაწინწკლული თეთრი მთებიდან ცივი ნიავი გველამუნება. უღრანი ტყე ღელავს, ფუსფუსებს და ღრმა ოხვრით ოხრავს. ქვეით ჭოტი გაჰკივის აქვე ახლოს ფრთოსნები ფართხალე-

ბენ. წიფლის ტოტზე ციყვი ცუღლუტობს. ხევში თითქოს დათვი ბუტბუტებს. სადღაც მაჩვი მიწას სთხრის და თანაც თითქოს იფურთხება. ტურები მიმხრჩვალი ძაღლებივით ჰყეფენ. ცხენები შორიახლოს ჰფრუტუნებენ. ცეცხლი გიზგიზებს.

უცებ გაღმა ხრიალი მოისმა. მერმე საზარელმა ხარხარმა ამო-ხეთქა, შემდეგ ის გიჟური სიცილი უძირო ხეობას სასოწარკვეთილ

გოდებად და დრტვინვად მოედო, ბოლოს ის თავგანწირული ვალა-
ლი და ძრწუნვა, ხევით-ხევამდე არეკილი, სადღაც წყვდიადში დაი-
კარგა.
ციყვი გატვრინდა. ცხენებიც გაინაბნენ. ნაჩაფრალმა ნაბდიდან
თავი გამოჰყო და წაიბურტყუნა:
-- ჰაი ეშმაკმა წაიღოს შენი წუწკი თავი, აჰა! შენი თავი ამოი-
ჭამე, შენი!
აფთარი გაჩუმდა. ჩემმა თანამგზავრმა ცეცხლს კუნძები დააყარა
ისევ აბედზე მისდო თავი და ახვრინდა.
ცხენები აღარ ჰფრუტუნებენ. აღარც ქოტის კივილი ისმი-
აღარც ციყვის ფაჩუნი და აღარც ფრინველთა ბურტყუნი
მხოლოდ შეშა ტკაცუნებს.
ტყე ჩურჩულებს.
ნიავი ჰფუსფუსებს.

* *

მეორე დღეს ორი სერი კიდევ გადავლახეთ და მესამეზე რომ
ავედით, ისე გაგვეხარდა, როგორც რობინზონს, როცა თავის მხსნე-
ლი ხომალდი დაინახა. ჯერ ბოლის სვეტს მოვკარით თვალი, მერმე
დიდსა და მწვანე ქვაბს გადავხედეთ.
ჩვენს ფეხ-ქვეშ უშველებელი ტაფობი იწვა, ირგვლივ კლდე-
გორაკებით შემოვლებული. შუაში პატარა სოფელი მობუზულიყო
ისიც ნათიბ-ნათესებით შემორტყმული.
ძაღლის შორეული ყეფა და კვიცის ჭიხვინი მოგვესმა. ჩვენმა
ცხენებმაც ჭიხვინ-ფრუტუნით გადასძახეს და ნაბიჯს მოუხშირეს
მალე ბილიკს წავაწყდით, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ტყის ნა-
პირზე გავედით.
უცებ მეხუთე თუ მეათე საუკუნეში გადავსახლდი. იქვე -- გა-
უთლელი ლოდებისგან ახუხულებული, საქათმის-ოდენა ნიში.
გვერდით - დაფლეთილი ბავრაყი -- საეკლესიო და საომარი დრო-
შა, ახოვანი, ასი წლის მედროშე, იგივ დეკანოზი, იგივ ხევისბერი.
დროშისა და დეკანოზის წინ - ოციოდე ლანდი ჟამთა წარსულთა,

შეჭედილი ჩაფხუტებით, პერანგებით, სამკლავეებით, სამუხლეებით,
მრგვალი ფარებით, ადლზე უგრძესი დაშნებით, ადლიანი სატევრე-
ბით, ბუნგრძელი შუბებით, დალურსმული კომბლებით და ბუნმოკლე
სათხედებით. ირგვლივ ჭაბუკები და ყრმები ეხვივნენ, ისიც ხანჯლე-
ბით, მშვილდ-ისრებით, კაპარჭებით, ხის მუზარადებით, კაჟიანი
თოფებით და გრძელი ხმლებით ასხმულნი, რომელნიც ტანმორჩილ

ბალღებს მიწაზე დასთრევენ. შორიახლოს დედაკაცები სდგანან. ცოტა მოშორებით - რამდენიმე ცეცხლი და ბოლ-ორთქლში გახვეული ვეებერთელა ქვაბები.

დეკანოზი თუ ხევისბერი სამწყსოს არიგებს:

- აი, ხალხნო: ვინაც იშუღლებთ, წინ-წინ შუღლა გამხდელს დაგაკვლევთ: ხანჯრის დამკრავს -- კურეტს, სათითით მცემელს - ვერძს, ცალე ხელით მცემელს - ცხვარს. იცოდეთ ყველამ.

ცხენები ხის ძირში გვყავდა შეყენებული. ძაღლები ყეფით გამოექანენ. ძაღლებს პატრონები საჭურველის ჟღარუნით და "ჰაი-ჰაის" ძახილით დაედევნენ.

ხევსურები ისე აირივნენ, თითქოს ლომებს ირმები დაენახოსთ. ჩოჩქოლი და ჩურჩული ატყდა. ზოგი ჩვენსკენ წამოვიდა, ზოგი გამოიქცა.

- გამარჯვება, ხევსურებო! - მივაძახე შორიდანვე.

- გიშველას გამარჯვებულმ, გიშველას!

- წყალობა მაგვიტანე მგზავრის ანგელოზისა, წყალობაი!

--- თუ ქრისტიანი ხარ, მოგვიხვე მშვიდობით, მოგვიხვე!

- ჯვარიონ გვაქნ, ჯვარიონ.

--- ქართველ იქნები თუ ურჯულოი?

- მტერ ხარ თუ მოყვარე?

- მოყვარე ვართ, მოყვარე. - პასუხს აძლევს ჩემი მხლებელი.

- მოყვრულად მასული მტერი მტერზედ უარეს ას - გვაფრთხილებს ერთი ხევსური.

კითხვა-სალამს ერთმანეთზე გვაყრიან.

მე კი ვდუმდი. თითქოს ხმა დამკარგოდა. ჩემი თვალი და გულის ყური ერთმა ახოვანმა რკინის კაცმა მიიჯაჭვა. დინჯად მოაბოტებს და მაშტერდება. ფარიანი ხელი დაშნის ვადაზე აქვს დაყრდნობილი. მეორე ხელით ჯაჭვის პირსაბურავი აუწევია. ვხედავ მის ლომისებურ პირსახეს, - რკინის ჩარჩოში ჩამჯდარს - და ლომისავე კუდის-ოდენა ქერა ულვაშებს. ყურებამდე რომ მისწვდომია.

"ღმერთო ჩემო, - ვფიქრობ და ვიღიმები. - ის არის თუ... ნუთუ?. მართლა?.. ვითომ?

და კბილები რომ გააელვა, უმალვე მივაძახე:

- ჯურხა! ძმაო ჯურხა!

- მე ვარ, ვაჟიკავ, მე!

და ბაჯბაჯით გამოიქცა. ფეხი მიწაზე აღარ დამადგმევინა: რკინის მკლავები მომხვია, შერკინულ მკერდზე მიმიხუტა და გაოცებულ ცხენიდან წისქვილის მსგავსი რახუნ-რახრახით გადამიტაცა.

თავი მეორე

ხუთმეტი წლის ჯურხა ხევსურეთს მოერიდა და ქალაქისკენ წამოვიდა. ბარში რომ ჩამოვიდა, ერთ სოფელში გაოცებული შესდგა: ერთ ეზოში ასიოდე ფრთა შინაური ფრინველი დაინახა - ქათმები, წიწილები, იხვები, ბატები, ინდოურები და მათი ჭუჭულები. ვიღაც დედაკაცი ნაკმაზს უყრიდა მათ, ისინი კი გარშემოხვეოდნენ და ჟივილ-ჟღურტულით ჰკენკავდნენ.

ჯურხას გული დაუდნა. ღიმილით და ხელგაშლით მიეტანა ფრინველს, მაგრამ შემოეფანტნენ. დედაკაცი მიუხვდა, რომ ხევსურს ჯერ ფრინველი არ ენახა, ჯურხას გაუცინა, ერთი წიწილა და ერთი ჭუჭულა დაუჭირა და ხელებში ჩაუდო, თანაც ნაკმაზი მისცა და უთხრა:

- ნელ-ნელა დაუყარე და აღარ გაგექცევიან.

ჯურხა მიწაზე დაჯდა და ნაკმაზი ახლო-მახლო მოიყარა. ფრინველი მიესია, მუხლებზე და მხრებზე ასხდებოდნენ. ჯურხამ უცხო პაწია სულიერით კალთები გაივსო, ეალერსებოდა, ჰკოცნიდა, ხითხითებდა.

დედაკაცმა ჰკითხა, ხევსურებს რატომ არა ჰყავთ ფრინველიო?

იმიტომ არა ჰყავთ, რომ თვითონაც არა ჰყოფნისთ საკვები და ფრინველი როგორღა შეინახონ?

ჯურხამ უცებ უფრო მეტის გაოცებისგან პირი დააღო და გაშეშდა: იქვე კუთხეში ქათამი იჭინთებოდა და თეთრ რაღაცას სდებდა. დედაკაცმა შეამჩნია, გაიცინა და ორიოდე წუთის შემდეგ ჯურხას კვერცხი ჩაუდო ხალში. ხევსურმა ატრიალა, სელი მოუჭირა და მერმე მუხლზე დაიკრა. ხელიც და მუხლიც ცილით და ყვითელი სითხით შეესვარა. შეშინებული წამოხტა და შერცხვა. დედაკაცმა სიცილი დააყარა. ორი კვერცხი მოუხარშა ჭამა და გამოისტუმრა.

შარა გზაზე რომ ჩამოვიდა, ერთ ალაგას ელდა ეცა: მოსახვევში ორ თვალზე შემჯდარი კაცი დაინახა, რომელიც იმ თვლებს ფეხებით ატრიალებდა და ნიავივით მოჰქროდა.

"აბაი მე! - გაიფიქრა ხევსურმა დ ა ცოცხალი ეშმა!¨ - და კინაღამ არაგვში გადავარდა, რომელიც გზის ნაპირზე ჩამოდიოდა.

ეტლში შებმულმა ცხენებმა და კიდევ ბევრმა რამემ გააკვირვა. მაგრამ უმთავრესი საოცრებანი ქალაქში მოელოდა. იგი ისე შემოვიდა დედა-ქალაქში, როგროც იმ მნათობიდან ამ ქვეყნად ჩამო-

ვარდნილი სულიერი: ხევსურული სირმებით დახაზული. ჯვაროს-
ნული ჯვრებით დაწინწკლული, თხემით-ტერფამდე გაპოხილ-გაბზი-
ხული და ბავშვური შიშ-გაოცებით გატენილი. ხელში სქელი კომ-
ბალი ეჭირა, წელზე --- გრძელი ხანჯალი ეკიდა, ცერა თითზე -
კბილებიანი საცერული, ზურგზე - გუდა, ხოლო გუდაში - გაქო-
ნილი წიგნები, ერბო, ყაურმა და ხმიადი.

ვერის-ხევს რომ გამოსცდა, რკინის ვეება ჯვარს წააწყდა*. მო-
აჯირს გადაალაჯა, ქვის კვარცხლბეკზე აცოცდა და ჯვარს ემთხვია.
მერმე ისევ ჩამოცოცდა და გზას გაუდგა.

პირღია მოდიოდა შუა ქუჩაში და გაოცებისგან თანდათან იბან-
გებოდა. უცებ შესდგა და მიწაზე ოთხ რიგად გაჭიმულ რკინის ლა-
რებს დააშტერდა.

ღმერთო ჩემო! ხევსურეთში ჯურხას ნალის ნატეხიც კი ენატ-
რებოდა, აქ კი ამოდენა რკინა დაუყრიათ გზაში!

ზოდს დასწვდა და წვალება დაუწყო, თან დათვურად რაღაც
გაუგებარს ჰბურტყუნებდა. იმავე წამს ზარის ხმა მოესმა. აიხედა
და გარეული ზაქივით დაფრთხა: ხალხით სავსე გაკრიალებული ოთა-
ხი ჟღარუნ-ხრიალით პირდაპირ ჯურხასკენ მოექანებოდა. ოთახში
7ინ ვიღაც იდგა, გააფთრებით რეკავდა მიმალულ ზარს . და ხელე-
ბის ქნევით ხევსურს რაღაცას უყვიროდა.

მთიელი მიტრიალდა და კუნტრუშით გაიქცა. კუთხიდან ერთი
დიდი ვარცლი გამოგორდა, - ისიც კრიალა და თვლებზე შემდგარი,
იმ ვარცლმაც მიქელ-გაბრიელის ბუკივით დაუღრიალა.

ჯურხა დაბორიალდა: ხან ეტლს წააწყდა, ხან ისევ ავტოს შეე-
ფეთა, შემდეგ ცხენოსანს მიეხეთქა. ბოლოს რელსებზე გაიშალა,
ზედ-მიმდგარ ვაგონს ტლინკები დააყარა და განწირული მოზვერი-
ვით აბღავლდა.

აქეთ-იქიდან ჟივილ-წივილმა ამოხეთქა.

ვარცლი და ოთახი შესდგნენ. ჯურხა წამოხტა, ისევ გაიქცა და
ხალხის ხარხარი გაიყოლა. მერმე ვიღაც კინტოს ჩაუვარდა მკლავებ-
ში და შეჩერდა.

*რემოლუციამდე აქ ჯვარი იდგა იმის სახსოვრად, რომ ოდესღაც ნიკოლოზ პირველის ეტლი ამ ალაგას ცხენებმა გაიტაცეს და გადარჩა

- ვაა, ბნელა? - ჰკითხა კინტომ და ამხანაგს გადაჰხედა.

-- ვის ეძებ, ძმობილო? - ჰკითხა მეორე კინტომ.

ჯურხა მი|მავალ ვაგონს უბღვეროდა და მთიულურად სწყევლიდა

- ჰაი შე უჯილაგოვ!. შმორო!.. დამპალო! . ნიავის საღვეპაო!

უჯიშო! სად წამიხოლ, სად?! ისი გგონავა, რო შავაშინებავ?! არ შაგარჩენ, არა!

ემუქრებოდა და თანაც დალურსმულ კომბალს უღერებდა. მერმე კინტოებს. მოუბრუნდა და აჰყვა. მისდევდა და დროგამოშვებით ისევ იქადნიდა: - ისი გგონავა, რო შავაშინებავ?! არ შაგარჩენ, არა!.. ციცაო! ჯორაკავ! უჯიშო! უჯილაგო!

რა ღვთისნიერ ხალხს წააწყდა ჯურხა! ყოველივე გამოჰკითხეს და გაიგეს: ჯურხა თავის ბიძასთან ჩამოვიდა, თოთიასთან. თოთია წიკლაურთან.

- იცნობთა თოთია მხერხავს?

კინტოები, რა თქმა უნდა, იცნობენ, ძალიან კარგად იცნობენ.

- შაგეწიენ გუდანის ჯვარი, შაგეწიენ!

მაგრამ სანამ ქუჩაში ნაპოვნი მეგობრები ამბავის მიმტანს - ¨მაწევარს წაღლალავენ¨ თოთიასთან, თითო არაყი უნდა დალიონ, და ხევსურს ძმად უნდა გაეფიცნენ.

მიუხვ-მოუხვიეს და დუქანში შევიდნენ. ჯურხა "ამწყალო-ბნებს¨ მასპინძელ კინტოებს და წამდაუწუმ ახსენებს გუდანის ჯვარს, ბარისახოს დროშას. ხევის ბერს, სპარს-ანგელოზს და ხევ-სურთა დანარჩენ წმინდანებს - ხატებს, ნიშებს და საფიცვარს.

მეორე დილას სასაფლაოზე გამოეღვიძა. ჯურხამ მიიხედ-მოიხე-და. აღარც მასპინძლები სჩანდნენ, არც შევერცხლილი სატევარი, არც დანა და არც გატენილი გუდა. ერბო რა დასანანია, მაგრამ გა-ქონილ-დაფლეთილი "დედა ენა¨ და "ბუნების კარი¨ სადღა უნდა იშოვნოს ხევსურმა!

- შმორო! უჯიშო! ნიავის საღვერაო! ციცას მიმიკლავ საფლავ-ჩი! სად წამიხოლთ. სად? ას გგონავა, რო შამარჩენსავ?!

იმ დღეს დედა-დაკარგული კვიცივით იბორიალა და საღამო ჟამს მე წამაწყდა.

მხერხავი თოთია მტკვრის პირას ვიპოვნეთ. ერთ სამხერხაოში დარაჯად ჰყავდათ. ისე მიეგებნენ ერთმანეთს, თითქოს ერთი დღის უნახავნი იყვნენო. დინჯად, მშრალად, გულგრილად, მრავლად მოი-კითხეს ნათესავები: მინდია და გაგა, აპარეკა და ბათაკა, წიქა და დათვია, მგელიკა და ძილუკა, სამძიმარი და თია, ნანუკი და კმარა.

* *

თოთიას შარშან ერთი ხევსური შემოაკვდა და აუცილებელ შუ-რისგებას მოერიდა.

- წუნკალ დუსურბან დასანან არ ას. ხუთ ქისტ მამიკლავ. მაგ-რამ ხევსურ შამამაკვდ, ხევსურ!

თოთიას მანგია შამოაკვდა, მანგია მინდოდაური! მანგია მინდოდაური არ გაგიგია?!

- არ გამიგია.

თოთიას უკვირს, ძალიან უკვირს.

- მანგია მინდოდაურ კა ვაჟკაც იყვ.

საკვირველია, ჩემამდე რატომ არ მოვიდა თოთიას და მანგიას შუღლი!

- მანგიას ყველა ცნობდ ხევსურეთჩი, ყველა.

გამოქცეული თოთია გავაჭრებულმა მთიელმა ძიძიგურმა შეიკედლა და სამხერხაოს დარაჯობა ჩააბარა.

მერმე თოთიამ ჯალაბობაც ჩამოიყვანა: ცოლი იამზე და ორი პატარა ქალიშვილი - თორმეტი წლის მზექალა და სამი წლის ხათუთა.

ერთ თავგანწირულ ადამიანს ბარისახოში დიაკვნობა ეკისრნა. ჯურხას თურმე სწავლის ქავილი გაუჩნდა. იმ დიაკვანს მიებარა და წიგნებს ხინკალსავით ჰყლაპავდა. სულის საკვები რომ გამოელია და ერთი ხევსურიც შემოაკვდა, იქაურობას მოერიდა და ქალაქად გამოხიზნულ ნათესავს თოთიას მოადგა.

მაშინ ხევსურების სული, კილო და ქვეყანა ისევე უცნაური იყო ჩემთვის, როგორც ემარის და კუპერის წითელკანიანები. ამიტომ შევეჩვიე თოთიას ქოხს და იქ შეხიზნულ ხევსურებს.

ოჯახის თავი, ჯურხა და იამზე ქალაქშიც არ იცვლიდნენ ხევსურულ ადათებს, კილოს და ტანსაცმელს. იამზე კვლავ ატარებდა მანდილს, სათაურას, ვერცხლის შიბს, ჯუბას და ქათიბს - "ფაფანაგსა". კოკოშის ქვეშ ბურნუთს ინახავდა, ხოლო ჯუბის ქვეშ - ხევსურული ძროხის ცურის-ოდენა ძუძუებს.

თოთიას სრული საჭურჭლე წამოეღო: ჯაჭვას პერანგი, პირსაბურავი, ჩაფხდტი, დაშნა, ფარი, შუბი, სატევარი, კაჟიანი და ბერდანის თოფები. ეს საჭურჭლე მუდამ დაფერილ-გაპოხილი, შუა კედელზე ეკიდა.

შაბათობით, როცა დაღამდებოდა, თოთია იმ რკინეულს ტანზე აისხავდა და ბნელ იზოში იმ ქვეყნიდან დაბრუნებული ლანდივით დაიპარებოდა. მთვარის შუქზე რკინის მოჩვენება ფარსმან მეფის ანარეკლივით ბზინავდა და შეუჩვეველ მგზავრებს აფრთხობდა.

ზოგჯერ კაჟიან თოფს უხილავ მტერს უმიზნებდა და ჩახმახს აჩხაკუნებდა, ზოგჯერ კი დაშნას აპრიალებდა, უჩინარ მოსისხლეს რისხვით უტევდა, თანაც ფარს იშველიებდა და ფუტკრისგან დაკბენილი დათვივით ბურტყუნებდა:

- უჯილაგოვ!.. შმორო!.. დამპალო!.. შადეგ, თუ ციცაი არა ხარ!

და ბნელ ეზოში ყრუდ მოისმოდა დაშნისა და ფარის რახუნი, ჯაჭვის ჟღარუნი და ბრძოლის კიჟინი.

ჯურხა რომ ჩამოვიდა, თოთიაც გამოცოცხლდა: ღირსეული ტოლი იპოვნა და მეფარიკე გაიჩინა. ხან ერთი ჩაიცვამდა იმ აბჯარს, ხან მეორე. ერთს რომ მახვილი და რკინის ფარი ეჭირა, მეორე კი უბრალო ჯოხს და თოთიას ნაცოდვილევს ფიცრის ფარს იქნევდა. პოლიციელი მალვით უთვალთვალებდა. მეზობლებს შიშისგან გული ელეოდათ. ბოლოს ძლივს შეეჩვივნენ მეშვიდე საუკუნიდან გამოვარდნილ რაინდებს, მათს შეძახილს, იარაღის ჩახუნსა და რკინის ჟღარუნს.

კეჭნაობის დასასრულს ეზოში რამდენიმე გადაჭრილი და დაკორტნილი ჯოხი ეგდო, ხოლო ზოგჯერ მეორე დილით მიწაზე სისხლის წვეთებიც მოსჩანდა.

ჯურხას "ელიზბარი¨ არ მოეწონა, ვაჟიკა დამარქვა, და იმ დღიდან ხევსურებმა ჩემი ნამდვილი სახელი დაივიწყეს.

თოთიას უფროსი ქალიშვილი მზექალა სკოლაში დადიოდა. ჯურხა კი ისევ მე ავიკიდე. თითქმის ტოლები ვიყავით. მე გიმნაზიას ვათავებდი, ის კი ათი წლით მაინც იყო ჩამორჩენილი. მაგრამ ისეთი ნიჭიერი და ბეჯითი გამოდგა, რომ ერთ დღეში ერთი კვირის გაკვეთილებს ინელებდა.

ჯურხას მამა მგელიკა შვილის სასწავლო ჟინს შეურიგდა და ფულის მაგიერ ერბოსა და ძროხებს უგზავნიდა. ჩემმა შეგირდმა ერთხელ ჯილდოც მომართვა: ერთი კასრი ერბო მომიტანა და კარზე ძროხა მომაყენა. ერბო მივიღე, ძროხა კი დავუბრუნე. იმ დღიდან ერბო აღარ მელეოდა, ხოლო ფულის სანაცვლოდ გამოგზავნილი ძროხები რიყეს უბანში იყიდებოდა.

ერთხელ ჯურხა ამიხირდა ძმადნაფიცები უნდა გავხდეთო. უკვე დაძმობილებული ვიყავით, მაგრამ მაინც დავუთმე და ჩვენი ძმობა ხევსურული ფიცით შევადუღეთ.

თოთიას ქოხი იმ საღამოს გუდანის ჯვარს ჰგავდა, ხოლო თვითონ თოთია ხევისბერს მომაგონებდა. თხემით-ტერფამდე ისევ რკინით აყო შეჭედილი, აბრეშუმის ნაჭრისგან პატარა დროშა შაემზადებინა, ზედ ორი პაწაწა ეჟვანი ჩამოეკიდნა და დროშის წვერზე ზის ჯვარი დაედგა.

როცა შევედი. ის ალამი შეაჟღარუნა და საზეიმოდ გაიჭიმა. ჯერ უცხო შეძახილით მომესალმა:

- მოგვიხვე მშვიდობით, მოგვიხვე! წყალობა გუდანის ჯვრისა, წყალობაი! წაღმ მაგეგებას ჩვენის ჯვრის დავლათი!

მერმე მოგვისებური დარიგება მოგვცა:

- ფიც-ვერცხლ ნაჭამ ძმას არ ეღალატების.

ძმად-ნაფიცები ნამდვილი ძმები არიან. ორივეს ვითომ ერთი ძუძუ უწოვნიათ. ერთი სისხლიც მეორესია, ჭირიც საერთოა, ლხინიც და სიცოცხლეც.

შემდეგ იამზემ თასი მოიტანა. შიგ ცოტაოდენი რძე იდგა. თოთიამ "ხანჯრის" ქარქაშის წვერს თასში ვერცხლი ჩააფხიკა, ორივენი დაგვაჩოქა და ცალ-ცალკე დაგვამწყალობნა:

- ორთავ მოგცასთ წყალობაი გუდანის ჯვარმა, ორთავ ნუ მაგიშალას მტერთან ხმალი და გამარჯვება! თუ ჩემის ხელისა გეკადრებოდას, შაგინდნას ეს თას, შაგარგას და მაგახმარას!

მე და ჯურხამ თასი გამოვცალეთ და ერთმანეთს გადავეხვიეთ. მერმე ლხინი დაიწყო: მრავლად ვჭამეთ წვნიანი ხინკალი, მსუქანი ყაურმა და დამდნარ ერბოში ამოვლებული ხმიადი, თასებით ვსვით ჭაჭის არაყი, იქვე ქვაბში მოხარშული ქერის ლუდი და ერთ ხმაზე გაბმით ვიმღერეთ ხევსურული:

დაგძინებია ხინკაალო!
გამოგაღვიძებ ჭამააში!

ბევრი ვეხვეწე თოთიას, მაგრამ ხევსურული ჩვეულება ბოლომდე წმინდად შეასრულა: მე, სტუმარს, ცალ მუხლზე დაჩოქილი. მემსახურებოდა და ამბობდა:

- სტუმარ-მასპინძლობის წეს დასავიწყ არ ას დალიე, ვაჟიკავ, დალიე.

კარგად რომ გავიჭყიპენით, თორმეტი წლის მზექალა ფანდურით მომიჯდა და მიმღერა:

თავს ვერ გაგიხრით ხევსურნი,
უნჯნი ყმანი ვართ შენნია.
თეთრს ვინც აიღებს ხევსური.
ვინაც მახკიდას ხელია
გაუწყრას, ნეფევ ერეკლევ,
ის სალოცავი ჩვენია!

დეემზადენით ხევსურნო,
ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!

თათრების მალოდინი გვოქვ,
ბანთ ვსხევართ ლუდის სმაზეღა?

გაგმიძვეღ, ნეფე ერეკლევ,
წამდგათ კრწანისის გზაზედა!

სანამ მზექალა მღეროდა, თოთია მალვით იწმენდავდა ცრემლს მერმე მომიბრუნდა და ყურში ჩამჩურჩულა:

- ნეტა სად იქნების ახლა ნეფე ერეკლეს მემკვიდრე ბატონის-შვილი? არ იცია, როდის ჩამავას საქართველოჩი?

მე გამეცინა და ვუთხარი:

- ერეკლეს მემკვიდრე აღარა ჰყავს.

თოთიას ეწყინა:

- ეს ქოყანა რომ გაქრეს, ამას დავიჯერებ, მაგრამ ბაგრატიონთ ჯიშის გაწყვეტა რა დასაჯერებელია!

ასე დავნათესავდით მე და ჯურხა-ხევსური.

* *

ქალაქელები ჯურხას სავალს არ აძლევდნენ და იშვიათ ნადირსავით ათვალიერებდნენ. ასჯერ ვურჩიე ტანისამოსი გამოეცვალა მაგრამ თოთიაც და ჩემი ძმადნაფიციც მუდამ იმეორებდნენ

- მამა-პაპის ადათს არ ეღალატების!

ბოლოს, ბიჭ-ბუჭებისგან დატანჯული ჯურხა მოტყდა სირმიანჯვრიანი ხევსურული გაიხადა და ქართული ჩოხა ჩაიცვა მაგრამ თითიდან საცერული მაინც არ მოიხსნა და არც ყელამოჭრილი ახალუხი მოიშორა.

იზრდებოდა ჯურხა, სული და ხასიათი კი ისევ ბავშვური შერჩა აბეზარა, ამაყი, შამტევი, მაგრამ თანაც მინდობილი, ხალვათი, მიამიტი, მუდამ სულ-გაშლილი და გაოცებული.

ტრამვაის ვაგონებს აღარ გაურბოდა, თუმცა ზედ ასვლას მაინც ვერ ჰბედავდა. ავტოს კი ისევ მოსისხლე მტერსავით უბღვეროდა.

პიანინოს ეშმას ფანდური დაარქვა, ლითონის საკრავებს, ბუკებსა და ბახტებს -- რუსული ღოროტოტო, აჭრელებულ მოხელეგენერლებს - ჭრელა, ხოლო სტამბას - საბეჭდელა.

ერთხელ "ღალატი" ვაჩვენე. თეატრში ჯურხას სახე და ტანი იმ დრამის უზადო სარკედ გადაიქცა. ხევსურის სახეზე ყოველივე უმალვე ჰპოულობდა პირუთვნელ ანარეკლს: მადლი და ბოროტება, გმირობა და მზაკვრობა, სასაცილო და საგოდებელი. ჩემი ძმადნაფიცი ხან რახრახებდა, ხან ჰკვნესოდა, ზოგჯერ მხნეობდა, ზოგჯერ კი ჰგმინავდა და ბღუოდა. თან ხელ-ფეხს იქნევდა. იმუქრებოდა

და მოუსვენრად სტოკავდა. დავარიგე, შევეხვეწე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ერეკლემ რომ ღალატი იკადრა, ხევსურმა ვეღარ მოითმინა:

წამოვარდა, სცენისკენ გაიწია და აყვირდა:

- ჰაი შე მაღალატევ! უჯილაგოვ! დამპალო! მოკალით ეგ ციცაი, მოკალით!

წარმოდგენა ხუთიოდე წუთით შესწყდა. მსახიობნი აირივნენ, ხალხი აიშალა, ფარდა ჩამოვარდა. ხევსური ძლივს დავამშვიდეთ და ცხადი და მოჩვენება ძლივს გავარჩევინეთ. ერთხელ კიდევ მაინც იფეთქა: როცა მეტეხი აფეთქდა, ჯურხა ისევ მოსხლტა, სცენაზე აბობღდა, მედროშეს დროშა გამოსტაცა, აღტაცებით ააფრიალა და გამარჯვების საერთო გუგუნი დაჰფარა:

- გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!

შემდეგში ვეღარ გავბედე შფოთიან ხევსურს გავყოლოდი. მაგრამ თეატრის გზა თვითონვე გაიკვლია და უფასო სტატისტად ჩაეწერა, - ოღონდ ერთი პირობით: სცენაზე ისე არ გამოვიდოდა, თუ ხელში დროშას არ მისცემდნენ, ან იარაღში არ ჩასვამდნენ და რამე საგმიროს არ გამოაჩენინებდნენ. ხოლო როცა დაქუხების დრო მოვიდოდა, ჯურხას ქუხილით და რახრახით თეატრი ჭერამდე იტენებოდა და ზანზარებდა:

- გაუმარჯოს! გაუმარო-ო-ოს!!!

* *

ჯურხას თავში ერთმა აზრმა დაიბუდა: "ფრანგების" ქვეყანა უნდა ვნახოო.

და იმ დღიდან გერმანული ლექსიკონი ხევსურის უბიდან აღარ ამოდიოდა - მუდამ თან დაჰქონდა. ძლივს გავაგებინე, რომ ფრანგი "სხვა ას", გერმანელი კი გერმანელია მეთქი.

გულმეხსიერი მთიელი თავიდანვე ისტორიას ჩაუჯდა, და ქართლის ცხოვრება, ყაზბეგის წიგნი, როსტომიანი, ვაჟა ფშაველა, ყარამანიანი, აკაკი და ილია თითქმის დაიზეპირა.

ერთ ხანს სასახლის მიდამოებს შეეჩვია. მერმე გამომიტყდა:

- ნამესტნიკ უნდა მახვკლა!

ძლივს დავაჯერე, რომ რევოლუციის დაღმართზე ჯურხას ვაჟკაცობა ნაყოფს ვერ მოგვიტანდა.

თოთია სამხერხაოს ეზოში კვლავ ფარიკაობდა. იამზე ლუდს ხარშავდა. შაბათობით ხევსურის ქოხში ღრეობა იმართებოდა. დამდნარ ერბოში დავცურავდით და ქერის ლუდით ვიჭყიპებოდით. მზე-

ქალა ფანდურს აფრატუნებდა და მობოხებული ხმით ისევ კრწანისსა და ბარატიონებს დასტრიალებდა:

ერეკლეს ცხენი წაიქცა,

ყმანი სხვას მიღგვრიდიანო,
რაშზე შასვიან მსახურთა,
ავჟანტას უჭერდიანო.

* *

ერთხელ თვალი ავახილე: მზექალა თითქოს ერთ ღამეში დამწიფებულიყო. თოთხმეტი. წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ გასათხომარი ქალისა აღარაფერი არ აკლდა: არც ტანი, არც მკერდი და არც თეძოები.

იამზე ხინკალს ხარშავდა. ჯურხა საფარიკაო ჯოხს სთლიდა. მე კი დასრულებულ მზექალას შევცქეროდი - და პირველი ზვირთით ვღელავდი.

ფანჯარასთან ასვეტილი მზექალა ეზოს გასცქეროდა, ხოლო მეორე ¨ქალუკა¨ - ექვსი წლის ხათუთა - ხან მე შემომცქეროდა, ხან მზექალას აშტერდებოდა და ეშმაკურად იღიმებოდა. მერმე მოსხლტა, მუხლებზე ამომაცოცდა, კისერზე მომეხვია ჩამჩურჩულა:

- ჯულხამ მზექალა დალიშნა.

- მართლა?

- გუდანის ჯვალს ვფიცავ, დალიშნა. ეეწ მე და შენ დავილიშნათ.

გავიცინე, გადავკოცნე და გავიკვირე: რატომ არაფერი არ მითხრა ჯურხამ? რად დამიმალა? მხოლოდ შემდეგ გავიგე: მგელიკა შვილს თურმე მთებიდან უთვლიდა, ჯერ მოიცადე, ადრეაო, უჩემოდ "ლიშნობა¨ არ გაჰბედოო. დანიშნულიც მიმალავდა: ვაი თუ ნიშნობა ჩამეფუშოს და ტყუილ-უბრალოდ შევრცხვეო.

ჯურხა უჩემოდ ვეღარ სძლებდა. დღე არ გავიდოდა, რომ ორი გროშის ხილი ან ტკბილეული არა მოეტანა. სანამ გაკვეთილს შევამზადებდი. კუთხეში იჯდა და ისიც გაკვეთილს ამზადებდა. სტუმრად რომ წავიდოდი, უეჭველად მიმაცილებდა. თუ ამხანაგებს ავყვებოდი, ჯურხაც ლანდივით ამყვებოდა. სადაც უნდა ვყოფილიყავი, ძმადნაფიციც შორიახლოს მეგულვებოდა. დამდევდა და თავს იმართლებდა:

- ფიც-ვერცხლ ნაჭანი ვართ. აბეზარ ხალხ ბევრ ას ქალაქჩი, არ დაგლიას ვინმემ, თორე ცოდვა მე დამედებისავ.

სწავლა დავასრულე, ჯურხა ერთ ჩემს მეგობარს გადავეცი და რუსეთში წასასვლელად შევემზადე. უკანასკნელი საღამო გავატარე მტკვრის ნაპირას - თოთიას ციხე-კოშკში - და უკანასკნელად ვნახე

ფარსმან მეფის დროინდელი ლანდები, რკინის ჯავშან-საჭურველი, დაშნისა და ფარის კრიალი, ერთის მოგერიება და მეორის შეტევა. ერთხელ კიდევ ვიგემე ხინკალი და ლუდი, ხმელი ხმიადი და დამდ-ნარი ერბო, მსუქანი ყაურმა და კახური არაყი.

მზექალამ სამგზავრო ჰანგი მიმღერა. იამზემ განიერ მკერდზე მიმიკრა. პაწაწა ხათუთამ ოცჯერ მაინც ჩამკოცნა. თოთიამ დროშა გაშალა, ეჟვანები ააჟღარუნა და გზა დამილოცა.

- ჩვენ პურმარილ დასავიწყ არ ას. არც შენ მადლ ას დასა-კარგველ. გუდანის ჯვარიმც ას შენი შამწე და მწყალობელი მშვი-დობით, ვაჟიკავ, მშვიდობით!

როცა წამოვდექი, პატარა ხათუთა კისერზე ჩამომეკიდა და ატირდა. ძლივს მოვსწყდით ერთმანეთს. ჯურხა სდუმდა და საკუ-თარ ფეხებს უბღვეროდა. მხოლოდ სადგურზე მომეხვია, ნეკნები ამიტკაცუნა და ორი წლის ბალღივით ატირდა.

შერცხვა ხევსური, რამეთუ "ტირილ დიაცთა ხვედრი ას".

თვეში ძმად-ნაფიცისგან ორი წერილი მომდიოდა. უცებ ერთი წერილი ავსტრიის ტიროლიდან მომივიდა:

"საქონლის საქმ უნდა შევისწავლო. ხევსურთ გამაადგებისავ. მეწველ ბევრ გვყავისავ. მანდ ბოსელჩი რაი გი? სამოთხეჩი წამადი. აქაურ ხალხს ხევსურებს ღგავის. ვაჟკაცებ არიან და პატიოსნებ. ვაჟიკავ, უშენოდ ძალიან მაეწყინ. მთაჩი ძმა მყავს, მაგრამ ნამდვილ ძმა მარტო შენ ხარავ. გუდანის მადლს ვფიცავ, უნდა წამოხვიდა. თუ შენ არ მოხვე, ეშმას მივაფურთხებ და მე თვითონ ამავალ მარ-ტო შენ სანახავად, თორე ჩემი ფეხი მანდ არ იქნებისავ. ვაჟიკავ, შენი ძმად-ნაფიცი გელოდების"

ერთხელ კიდევ გადავიკითხე და გავიკვირვე: ჯურხაბ ტფილის-ში სუფთა ქართული ისწავლა, წერილი კი ...წერილში ხევსურუ-ლად უქცევდა. ვერ გავიგე, განზრახ უბრუნდებოდა მთის კილოს, თუ ხევსურის კაჟიანი ბუნება იმარჯვებდა.

ეს იყო ჯურხას უკანასკნელი წერილი. ომის მეხი ჩამოვარდა და ურთერთს მოგვწყვიტა.

შვიდი წელიწადი გავიდა. ბრძოლის ქუხილი შენელდა. ტფილის-ში რომ დავბრუნდი. უმალვე სამხერხაოს მივადექი. თოთიას ქოხში ხევსურების მაგიერ ლტოლვილი იეზიდები იდგნენ. ძიძიგური მომ-კვდარიყო. ბევრი ვიკითხე. მაგრამ ჩვენს ახალ მოქალაქე იეზიდებს

ვერც რამ გავაგებინე. ვერც თოთიას ბედი გავიგე, ვერც ჯურხას

კვალს მივაგენი.

- წავიდნენ.. არ ვიცნობთ... არ გაგვიგია.

კიდევ გავიდა ხანი. ვფიქრობდი: თუ ჯურხა ცოცხალია, თვითონვე მომძებნის მეთქი. მაგრამ აღარ გამოჩნდა. ბოლოს გადავწყვიტე: ძმად-ნაფიცი დამეკარგა. ან მსოფლიოს ქარტეხილმა მოუგრიხა სადმე ამაყი კისერი, ან საქართველოს საზღვარზე დაიღუპა, ან კიდევ...

ერთი სიტყვით, ქერა გოლიათი დამეკარგა.

თავი მესამე

რკინის მკლავებმა რამდენჯერმე მომიშვეს, ამომასუნთქინეს და კვლავ ნეკნები ჩამიზნიქეს.

- ვაჟიკავ!.. ჩემო ძმად-ნაფიცო ვაჟიკავ! - მდუღარე ხმით ბურტყუნებდა ჩემი ნაპოვნი ძმა. - ცხად ხარ თუ მაჩვენებაი?

მერმე გამიშვა და ხევსურებს ჩაფი ხმით გადასძახა.

- აი, ხალხნო, ეს გეცოდინებოდასთ ყველას: ვაჟიკაი ჩემი ძმა ას. ფიც-ვერცხლ ნაჭამ ას ჩემთან. იმოდენა მაღლ დამდვა, რო ამის ვალით ვერ ამოვალ, თუნდ კახეთიც რო ჩემი იყვას და ვაჩუქა. ძმად მიიღეთ, ხალხნო, და ჩემსავით ნდობა მაეცით.

- მიგვიღავ, მიგვიღავ! - იგრიალეს ხევსურებმა და გზა მოგვცეს.

ხევისბერიც წყალობით დამიხვდა:

- მოგვიხე მშვიდობით! წყალობა გუდანის ჯვარისა, წყალობაი!

- გამარჯვება, ვაჟიკავ! - მომესმა რამოდენიმე მხრიდან.

- თოთია!.. მგელიკა!

აგერ, თოთიას ცოლი იამზეც მოდის. ოდნავ დაღარულა. მკერდი მაინც სავსე თაზებივით მოაქვს და მიცინის.

- გამარჯვება, იამზევ!

- მოგვიხვე მშვიდობით, ვაჟიკავ, მოგვიხვე! .

იამზეს ორი დედაკაცი მოსდევს. შევცქერი და მაგონდება:

- ღმერთო ჩემო! მზექალავ!.. ხათუთავ!

- ეეხლა მზექალა ჩემ ცოლ ას, ვაჟიკავ, ჩემ ცოლ. - მეუბნება ჯურხა.

ძმად-ნაფიცის ცოლი მზექალა მკერდზე მივიხუტე. ხათუთამ კი ხელი ძლივსღა გამომართვა.

ყველანი მეხვევიან და მეკითხებიან: როგორა ვარ? საიდან მოვ-

დივარ? ან გზა როგორ ვიპოვნე?

მე ვიღიმები. რაღაცას ვბუტბუტებ და ხათუთას ვეღარ ვაშორებ თვალს. ჩემს წინ ცოცხალი და შიშველი ბუნება სდგას - ლაღი, სავსე და გაშლილი. ლოყები - ატმის ფერი. პირი - ოდნავ გაჩეხილი ბროწეული. კბილები- იმ ბრწეულში ორ რიგად ჩაწყობილი გაფცვნილი ნუში. თვალები - ორი დიდრონი მაყვალი, სოლო თმა - მაჯის სისქე ოთხი თუ ექვსი ნაწნავი, თითქო მოწითალო ქარვაში ამოვლებული. ტანითაც იამზეს მისდევს: მაღალი, სრული, მკერდიანი.

გამოვტყდები: ქალაქელმა ქალებმა კბილები მომჭამეს. ჩემს თვალში უკვე გახუნდა მშვენება ტანთხელის, გაცრეცილის, მოსნეულო და ეთეროვანი ქალისა. მომბეზრდა უსისხლო და მჭლე სხეული. ამიტომ მეცნენ თვალსა და გულში ღაჟღაჟა და სისხლიანი ქალუკები და ვაჟიკები, თოთიები და ჯურხები, შუქიები და ლელიკები, თუთიები და ხათუთები.

მთელი სოფლის ხევსურები ჩემს გარშემო ტრიალებენ და ცოცხალ ოჩოპინტესავით მსინჯავენ.

მოკლედ ვუამბე წიკლაურებს გზის არევა. ისიც ვუთხარი, ქალაქში ბევრი გეძებეთ მეთქი, ჯურხას კი საყვედურიც მივეცი:

- თუ ცოცხალი იყავი, რატომ ხმა არ მომეცი?

ჯურხამ თავი იმართლა: მრავალჯერ მოგიკითხე, მაგრამ შენი კვალი ვერ ვიპოვნეო. ეხლა კი, აგერ ოთხი წელიწადიც იქნება, ქალაქში აღარ დავდივარო.

- სხვა მემრ იყვას, ვაჟიკავ, მემრ.

ხევსურებს კენჭაობა გაეთავებინათ და ღრეობისთვის ემზადებოდნენ.

ჯერ "ლიშანში¨ სროლა დაიწყეს. გაღმა გორაკზე ერთი ხე სდგას. ზედ კვერი მიუკრავთ. მსროლელნი ჯერში ჩადგნენ.

- აბა, ესრიდი! - დაიწყო აპარეკამ.

ტყე ჰქუხს. ნაქუხარი მთებსა და ხევ-ხუვებში იფანტება. გაღმიდან ბიჭები ნიშანს იძლევიან - მოხვდა თუ ასცდაო. ბოლოს ყიჟინი ასტყდა:

- მახვდა! მახვდა!

ჯურხამ გამარჯვებულ თორღვას მოზვერი აჩუქა თავის მკვდარი ძმის მინდიას სულის მოსახსენებლად.

სროლას დოღი მოჰყვა.

ათიოდე უაბჯრო ხევსურმა პატარა უბელო ცხენები გამოიყვანეს - პატარა და მკვრივი, მკვირცხლი, ჯიშიანი. ჯურხამ ნიშანი

მისცა ათივე ცხენი ერთად მოსხლტა და სოფლის ციხე-კოშკების გროვას მიეფარა.

ჯურხამ მოშორებით გამიყვანა და კლდოვანი ხევხუვი დამანახვა.

- ნუ თუ ეს ხევიც უნდა ჩაირბინონ? --- ვკითხე გაოცებულმა.

ძმად-ნაფიცმა დამიდასტურა და ერთი უშველებელი კლდე დამანახვა, დოღი იქ უნდა დასრულდესო.

იმავე წამს იმ თავბრუდამხვევ ხევში მეწინავე, მხედარი ჩაექანა. მას მეორე, მეხუთე და დანარჩენებიც ჩაჰყვნენ.

მე შიშის ზარმა ამიტაცა. წამდაუწუმ თვალებს ვხუჭავდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ გახილების შემდეგ რამდენიმე დახეჩილ ცხენს დავინახავდი. მაგრამ სიშორისგან დაპატარავებული ცხენები კატებივით გადადიოდნენ ბორცვებზე, კლდეებზე, ხევებზე და იმ დიდ კლდეს უახლოვდებოდნენ.

- მხედარი ასჟო გზაზე გამაიცდების, თვარემ მინდორზე ჭენებას დიაციც შასძლებს. -- ამიხსნა ჯურხამ.

ჩემი ძმად-ნაფიცი მართალს ამბობდა. მრავალნაირი დოღი მენახა, მაგრამ ამ გიჟურ სრბოლას ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. სცადონ და ამ დოღში მონაწილეობა მიიღონ ნაქებმა დრაგუნებმა, ყაზახებმა, არაბებმაც და ინგლისელებმაც.

დოღი დასრულდა. ვიღაცამ გაიმარჯვა. ვიღაცა დამარცხდა.

სუფრა - მწვანე ბალახი - მზად იყო. სკამების მაგიერ - თავკაცებისთვის -- ხუთიოდე სიპი ქვა ეყარა.

ძალით დამსვეს სუფრის თავზე. რიგზე მომისხდნენ ხევის ბერი. მგელიკა, თოთია და გაგა

ბალაბზე გორაკებივით ჰყრია ქერის ხმიადი. ხაჭო, ქადა, ყველი და ცივი ყაურმა.

თასებით სდგას გამდნარი ერბო. ვეებერთელა ქვაბებით მოგვდის მუქი ლუდი. ხის ჯამებს - ყოშებს ავსებენ შინაური არაყით.

დამკლავებული მზარეულები ორთქლიან ქვაბებს დასტრიალებენ, სადაც ხინკალი და ძროხის ხორცი იხარშება.

ოციოდე ნაბი}ზე - ისევ მწვანე ფორზე - დიაცებისთვის მეორე სუფრა გაიშალა.

. შემთხვევით თუ განზრახ, ხათუთამ ისეთ ალაგზე მოიკეცა რომ პირი ჩემსკენ ჰქონდა და მუდამ ერთმანეთს ვხედავდით.

მიმზერდა და მიცინოდა. და იმ წუთიდან ხათუთას მაყვალა-თვალებში და ბროწეულის ტუჩებზე საჩემო ღიმილი დასახლდა.

ჭაბუკები ჩემი დურბინდის ხალთას ხარბად უბღვერიან. ამოვიღე და ვაჩვენე.

- დვირბინი! დვირბინი! - ასტყდა ჟრიამული და ჩოჩქოლი, და უნახავ დურბინდს ფუტკარივით მოეხვივნენ. ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ, დავობდნენ და გაჰკიოდნენ:

- პა-პა-პა! ე რა ეშმა ყოფილ!

- რა კაია სანადიროდ!

- აბარიმე, რა თვალებ ხქონავ ამ უსულოს!

ღრეობა იწყება.

ჯურხა აჩრდილივით მეტანება, ბავშვივით შემომხარის და მალიმალ მეუბნება:

- ბევრი მაქვ სათქმელი, ვაჟიკავ, ბევრი!

ვეკითხები:

- ჯურხა, რატომ არ დაჯები?

ვერა, ჯურხა ვერ დაჯდება. ასეთია მთის ადათი. ჯურხა მასპინძელია და მე უედა მემსახუროს. ვერც ჩემმა მუდარამ გასჭრა და ვერც მუქარამ. სამჯერ ავდექი. სამჯერვე ძალით დამსვა და თავთ დამადგა. მერმე ცალი მუხლით დამიჩოქა და არყით სავსე თასი მომაწოდა. წეღანაც ტყუილად ავიხირე: ჯურხა ხევსურია და ხევსურული სიკერპით ასრულებს ყოველ ადათს - წვრილმანსაც და მსხვილმანსაც.

თასი მომცა და მითხრა:

- ჯვარ დაგიწერას ღმერთმ, ვაჟიკავ! დაგვლოცე! -

მე ჩვენებურად დავილოცე: ვუსურვე მრავალი საქონელი, ჯანმთრელობა, მტრებზე გამარჯვება და შინ მშვიდობა. მერმე ასოცი წლის გაგამ დაგვლოცა და ხევსურული ენამჭევრობა გამაგონა:

- სოფლელნო! გამარჯვება ჩვენს ჯვარსა და იმის წყალობა გქონდასთ თაობით დასტურ-ხელოსანს. დასტურთ დასტურობა ნუ შაგანანასთ, ხელოსან დიდხან გაგიყოლათ. ნუ შაგანანასთ კეთილის კაზმვა, უღლის დება. გწყალობდასთ ყველას, სოფელს სოფლეულად. ბევრ ა ეს დრო მაგგვარასთ მშვიდობისა, გახარებისა. ერთუცის სიცოცხლისა, სტუმრის დახვედრისა. თასიანებს ხელთა გაამასთ, მემუხლეებს მუხლებ შაგარჩინასთ. მე გლოცენით, ხატისაგანამც ილოცებით! - ლუდი მოსვა და სთქვა: - ოჰ, კა ლუდ არ მოგხდომივათა! ცოტას სვე აკლავ და გრილად ნაფუვარიც ას. - კიდევ მოსვა და განაგრძო: - აი თქვენც გწყალობდასთ ნახსენებ ანგელოზი! შავსვი თქვენის გამარჯვებისა!

- ღმერთმ გაამასთ! ჩამაიყარი, ჩამაიყარი! --- მიაძაბეს აქეთიქიდან.

გაგამ თასი სხვას გადასცა და მიაყოლა:

- მტერსამც ჩამახყრით იარაღს! მტერ იყოს თქვენი ხელმარე-
ული!

დადის თასი ხელით-ხელში. ყველა ილოცება და გაგასავით ათავებს: .

- ოჰ, კა ლუდ არ მოგხდომივათა! შავსვი თქვენი გამარჯვე-
ბისა! -

- ჩამაიყარი, ჩამაიყარი! -- შესძახიან სხვები.

-მტერსამც ჩამახყრით იარაღს! მტერ იყოს თქვენ ხელმარე-
ული! - იმეორებს მსმელი და თასი სხვის ხელში გადადის.

ახალგაზრდები დაჩოქილი სხედან და სმის დროს ზეზე დგებიან. ზოგი არაყს სვამს, ზოგი ლუდს. დასტურები - მერიქიფენი - თა-
სებს გვივსებენ. ყველანი მშიერი მგელივით ვიღმურძლებით და გა-
ტენილი პირით ვლუღლუღებთ. სასმელს თავისი გააქვს. ნელნელა ენა გვებმება და სიცხეც გვემატება.

ჯურხას გვერდით ერთ ჭაბუკს მოვკარი თვალი და შევკრთი, ის "ყაჩაღი¨ ვიცანი, რომელიც გუშინ ბინდისას თოფის-სროლით გაგვექცა. ჭაბუკი რომ მოგვშორდა, ჯურხას ვკითხე:

- ეს ყმაწვილი ვინ იყო?

- ჩემ ძმა წიქა იყო. სხვაკან იყო და ეეხლა დაბრუნდ.

- გუშინ საღამოს ტყეში შემხვდა. - ვუთხარი მე და ის უცნა-
ური ამბავი ვუამბე.

ჯურხამ გაიღიმა და წიქას სიფრთხილე მოუწონა.

- რას უფრთხოდა, ვის იმალებოდა?

უცხო ხალხს და კვალის მოტანას ემალებოდა. ვინაიდან

- ჯერ ჩვენ სოფელში წითელი ეშმა არ ამოსულა და იმას ვემა-
ლებით.

-რაო, ამ სოფელში საბჭოთა ხელისუფლება არ ამოსულა?

არ ამოსულა. ჯურხა ამასაც მერმე მიამბობს, ეხლა კი უნდა ისევ დავლიოთ, ისევ ვჭამოთ, ისევ ვიმღეროთ.

ერთმა ჭაბუკმა ფანდური ააფრატუნა და დაიძახა:

- გამარჯვება ჩვენს ჯვარს, ჩვენი ჯვარის მიცემით, ხთის წესით, მღდლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ჩემი სიტყვის მახსენებით! სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, სულ-
წმინდას შანდობა მიუდიოდას! ზედამრჩოების სიმთელით, კარგა ყოფით, ე ეს თას როგორც ჩემ ხელთ ას, ისრე სულსამც მინდიასას მაეხმარების.

- მინდია ჩემი ძმა იყო - ჩამჩურჩულა ჯურხამ. -წუნკალ ქისტებმა მაჰხკლეს.

- შაუნდას! მაახმარა ღმერთმ! --- მიაძახეს ხევსურებმა.

- თქვენ კაი მოგიგონნასთ, - უპასუხა მოკლულის მამამ, მგვ-
ლიკამ, - მარხე ღმერთმ ნურავის მაგცასთ.

მეფანდურე აღიღინდა:

მეწყალი, პირის პატრონო,
ჭირის გონობა ძნელია.
ჭირი არ წავას უჭიროდ,
თუ ჭირის დედა მთელია.
მკვდარ შინით დაემარხების,
სოფელი ღონიერია.

ფანდური მეორეს გადასცა, სათქმელიც მიაყოლა და და}და
მეორემაც იმღერა, საკრავი დათვიას გადასცა და დაჯდა.

მკვახედ მღერიან ხევსურები მათი ლექსი კაჟიანია, ეპიური
ხმა - რიხიანი, ძარღვიანი. კილოში და სიტყვაში ისმის ფოლადის
ჟღარუნი, სისხლის თქრიალი, ბრძოლის კიჟინი და იარაღის ჩახუნი,
ერეკლე "ნეფე¨ და კრწანისის ველი, ალუდაურ გაბური და სის-
ხლის წვიმები, ნუგზარ ერისთავი და დიდი ზურაბი, მამუკა ქალუნ-
დაური და "დუსურბანი¨ ქისტი, შატილი და ბარისახო, არხვატი და
ასი სხვა გმირი, ციხე და საზღაპრო ამბავი.

როდის მოხდა ეს ამბები, ვინ - ვის - სად, ან როგორ, - ზოგ-
ჯერ ასი წლის მუხა-ხევსურმაც არ იცის. მაინც დამღერიან, აცხოვ-
რებენ და თაობით თაობამდე გადააქვთ.

ზოგი უცნაურს გაჰკივის, ზოგი კი თავს დიდრონ ჯამში ჰყოფს
და ახლად მოხარშულ ლუდს წყურვილით დატანჯული ზაქივით
სვრეპავს.

მერმე ყველანი ხევსურულად ამღერდნენ, - კვნესით, გმანვით.
და ოხვრით:

დაგძინებია, ხინკაااალოოოო!
გამაგაღვიძებ ჭამა-ა-ა-აში!!

ჯურხა ისევ თავთ მადგა. ზოგჯერ მიჩოქებს, სავსე ყოშს ან
საჭმელს მაწვდის და ალერსით ჩამჩურჩულებს:

- მიირთვივ, ვაჟიკავ, მიირთვივ. ბევრ მაქვნ სათქმელ, ძაან
ბევრ.

- მემრე იყოს, მემრ.

- სთქვი, ჯურხა, ეხლა სთქვი.

- მემრ იყოს, მემრ.

ვაჟკაცს არ გამაადგების
სოფელთ შვენება ტანისა,--

მიაძახა დათვიამ აპარეკას და სალმუნობაში გაიწვია.

მიდგომ-მოდგომა ბანზედა,
გამჩვენეობა ქალისა. -

დაასრულა აპარეკამ და წიქას გადაჰხედა. წიქამ უმალვე ჩამოართვა სიტყვა:

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს:
ნეტარ გამიჭრის თუ არა?
ცუდაი ქალის უბესა:
ნეტარ შამიხვევს თუ არა?

და მეზობელს გადაუგდო:

- ხირჩლავ, მამყევი!

კაი ყმა მაშინ გატყდების,
რა ღვინო გაძვირდებისა.

და ბაღათერას მიაძახა:

- ბაღათერ, ნუ გეძინების!

ცუდი ყმა მაშინ გატყდების,
რა ომი გახშირდებისა. -

დაასრულა ბაღათერამ და სიტყვა მეცხრეს მიუგდო.

ხმალო, ხევსურეთ ნადებო,
აღვანში თუშმა გაგფერა, --

ისე იძახის ერთი, რომ მისი ხმა იქნება ალვანშიც ისმის.

გაკურთხა ნეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა! --

გაჰკივის მეათე და დაშნას მზეზე აპრიალებს.

დათვიამ წამოიწია, ქალებს გადაჰხედა და გადაუგდო:

რა კარგია ქალთან წოლა,
უბიაში ხელანია.
ცოცოტინან ძუძუანი,
ვაშლის ოდოდენანია.

ხათუთა მოიღრუბლა. ჩემი თვალი რომ მოჰხვდა, გამიცინა და თავი ჩამიქნია.

აპარეკა დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა და ხათუთას დაუმიზნა:

ქალო, მე შენი საკინძი,
იკვლივში ჩამყვა თანაო,

ამავიტანე, ჩავხენე,
კიღან დავიეც დანაო,

- დამპალო! უჯიმო! - მიაძახა დათვიამ და სატევარი ამოზიდა.
- ციცავ! ჯორაკავ! - დაუბრუნა აპარეკამ და დაშნა იშიშვლა
აიშალნენ ხევსურები. ორს ორმოცი შემოეხვია.
ასტყდა ყაყანი, ქოთი, მიწევ-მოწევა და იარაღის ჟღარუნი. იქ მეორე დაშნამ გაიელვა, აქ "ხანჯარი¨ აპრიალდა. ხევისბერი დროშას აჟანჟღარებს და გაიძახის:
- ხალხნო! აუგ ას, ხალხნო! ყურებ მათხოვეთ, ყურებ!
ჯურხამ ლომური ბუხუნით და პრიალა დაშნით ისე გჭჰფანტა მოჩხუბარნი, თითქო ჯირხვებს მგელი დაერიაო.
- აბა, რად შუღლობთ, ხალხნო! - განაგრძო ხევისბერმა. - ეს სასმელ ჩადის ყველას უფერს. სასმელ მამეტებულ რაის მაქმედი ას?
- სასმელ ბევრას ცუდს ჩადის, - გააწყვეტინა ერთმა ხევსურმა - მაგრამ სასმელ რო არ იყოს, მაკეთე რაიღათ გავიგათ, მტერნ რაით შავარიგნათ?
და ორთა შორის უცნაური დიალოგი იმართება ხევისბერი ხევსურებს არიგებს:
- კაც არ მახკლათ, ხალხნო!
ერთი ხევსური დეკანოზს ეკითხება:
- ჩვენი შუღლით შენ რაი წაგერთმის?
ხევისბერი არა სტყდება, მაგრამ არც ხალხი უთმობს:
- კაციც მარჯვედ მაკვდების - გაიძახის მეორე.
- ვინ იცის, კაცის სულნ რაში დგან? --- იჭვნეულობს მესამე.
დიდხანს დავობენ, "მავკლათ¨ კაცი თუ არ მოვკლათო. ხევისბერი იმუქრება:
- თუ სისხლ დაიღვარ, ე დროშა კარში იქნებისავ, სანამდე მაშუღლარ საკლავს არ მაიყვანს.
- დროშაიას გარმაყუდებული, ჯვარ გაგვიწყრების - შიშობენ ზოგნი.
-- მთხილად ვიყვნეთ, ხალხნო, ჯვარს არ შასცოდათ. დ აფრთხილებენ მეშუღლეებს მეორენი.
მაგრამ მეშუღლეებმა უკვე აბგარი ააჟღარუნეს. სხვებმაც ¨დაშნანი ამოზიდნეს¨.
- ძველი ანგარიში ექნებათ. - ვფიქრობ და მეც წრეში შევდივარ.

ალბათ სხვებმაც იციან, რომ ის ანგარიში დაშნით უნდა გასწორდეს, ამიტომ აღარც ერთმანერთს აშველებენ და არც ხევისბერს ედავებიან.

ჯურხამ უმალ აღადგინა წესი და სიჩუმე. ხალხმა წრე შეჰკრა.

- გამადით! - დაიძახა ჩემმა ძმად-ნაფიცმა.

პატარა მოედანზე ორი რაინდი გამოვიდა - ორი ლანდი, რკინაში და ფოლადში ჩამჯდარი. ერთს ზეიდალი აცვია - დაწნული პერანგი, ჯაჭვისგან ნაქსოვი, ხოლო მეორეს პოლოტიკი, ანუ თორნი, - რკინის ფიცრებისგან შეხლართული. თავები ზუჩებით აქეთ შემოსილი. ხელთ მრგვალი ფარები და ორპირი დაშნები უჭირავთ.

უმალ გამახსენდა ვალტერ სკოტის რომანტიკა: აივენგო, რიჩარდ ლომგული, შეჯაჭული რაინდები და ბრძოლის ასპარეზი. გვაკლდა მხოლოდ სადავო მზეთუნახავი, შავი მარაო და აბრეშუმის ხელსახოცი.

ჯურხა სეკუნდანტობს, მსაჯულიც თვითონ არის.

მეშუღლეებმა სასიკვდილო ბრძოლა მოითხოვეს. ხალხი აყაყანდა. არც მსაჯული დასთანხმდა. მებრძოლთ დასთმეს და ჭრილობა დაიჟინეს. ხალხმა არც ამის ნება მისცა.

- ჭრილობა ზოგჯერ მახკლავს კაცს.

დიდხანს ივაჭრეს და იყაყანეს. ბოლოს კეჭნაობაზე - გაკაწვრაზე ¨მარიგდნენ¨.

- კა, გეყოფისთ აბა დაიწყით! - ანიშნა ჯურხამ და ¨ყალივანი¨ გააბოლა.

რკინის - ლანდებმა რკინისავე პირსაბურავები ჩამოიფარეს და დაიწყეს. მამაკაცების ყაყანი თითქო მახვილით მოსხიპეს. დედაკაცები მოშორებით გაინაბნენ. ჩამუნიც კი შესწყდა. ისმის მხოლოდ რკინისა და ფოლადის ჩახუნი, ბზრიალი და ჟღარუნი. დათვია დავით-ფერულს აპრიალებს, აპარეკას ხელში ფრანგული ელავს. მოქნეულ მახვილს ფარი უხვდება, დაშნას დაშნა ეჯახება, სასიკვდილოდ წამოსულ ფოლადს რკინის ქსოვილი იცავს. მებრძოლნი უფრო კისერს, ყელსა და ქვედატანს უფრთხილდებიან. მუხლები საბარკულებით აქვთ შეჭედილი, მაგრამ მახვილის მისაწვდენი ალაგები მაინც მოსჩანს.

- მახვდა! - დაიძახა დათვიამ.

აპარეკას ყელთან განაკაწრი გამოუჩნდა.

- ას! ეგეც შენ! - უმალ მიაძახა აპარეკამ და დათვის ცერი სისხლით შეუღება.

მოსარჩლე არსად მოსჩანს. ყაყანი და შეძახილი აკრძალულო, რადგან -

- მეშუღლე აირევის, დაიბნევის.

ისევ ბზინავს აბჯარი. ისევ კრიალებს მახვილი. კვლავ ისმის

მებრძოლთა ქშინვა, მაყურებელთა ოხვრა, ლითონის ჩახუნი და მეშუღლეთა შეძახილი:

- მახვდა!

- აას!

- ეგეც შენ!

წითელი წვეთებით იღებება მწვანე ბალახი. სისხლი მოსჩანს დაშნებსა და საჭურველზედაც.

დათვია ფიცხობს. ისე იქნევს დაშნას, რომ მისი მონახვედრი აპარეკას შუაზე გახლიჩავს. უტევს და გაჰკივის:

- უჯილაგო! დიაცო! სად მიხოლ, სად?!

- წეს არ ას, წეს! - აყაყანდნენ ხევსურები.

კეჭნაობა ჩხუბზე გადადის. აპარეკა უკან-უკან იხევს და მარ-თად მუშაობს ფარით.

მოჩხუბარნი დედაკაცების სამფლობელოში გადავიდნენ. აპა-რეკა მზექალას წააწყდა. ქალები აჟღივლდნენ და უმალვე მოიხმა-რეს თავიანთი უფლება:

მზექალამ მანდილი მოიგლიჯა და მეშუღლეთა შორის ჩაიქნია, მეორე ქალმა-შუქიამ დათვიას მხარზე დაადო ხელი, მესამე - ლელა აპარეკას მისწვდა. ხოლო ხათუთას მაყვალა თვალები ისევ მე მიღიმოდნენ და მისი ნუშა-კბილები ისევ ჩემთვის ელავდნენ.

"ნეტა ხათუთასთვის ხომ არ იბრძვიან ეს რაინდები?¨ --- უმალ გამკაწრა ფიქრმა და... გული ამიტოკდა.

არც მოვტყუვდი.

- ვითა სისხლ იღვრების ხათუთასთვის! - მესმის შუქიას შეძახილი.

ისევ გამახსენდა აივენგო და რიჩარდ ლომგული. ეხლა კი სუ-რათი დასრულებულია. ორი რაინდი იბრძვის. მათი მიჯნურიც აქ არის. ხელსახოცის ნაცვლად -შავი მანდილი. ხათუთას მხოლოდ მარაო აკლია.

მოჩხუბარნი უმალ გახევდნენ. ხალხი აჩოჩქოლდა. დათვიამ აპარეკას ესროლა:

- ა ეგრ კი არ მაგექცეოდი, რო ქალს არ დავეჭირე!

აპარეკამ გადასძახა:

- აბა ეხლა შენაც იცი, რო ვერცაით წამავალ, ქალის ხელში ვარ, ქალისა!

დალაქი დოსტაქრობს. ჯურხა მსაჯულობს. დათვია ექვსგან არის გაკაწრული, აპარეკა --- შვიდგან.

მაგრამ გამარჯვება ნაადრევია. აპარეკას ერთი ჭრილობა მეტად

დიდი გამოდგა.

- სირცხვილი ას, დათვიაო, სირცხვილი! - მიაძახეს მოგე-ბულს და დიაცისა და ლაჩარის სახელი მიაკერეს.

შერცხვა ხევსური! კეჭნაობა ჩხუბად გადააქცია. თავი ჩაღუნა და გაიქცა.

* *

სამოცი ჩხუტი ლუდი დავლიეთ და ორი პატარა ძროხა შევ-ჭამეთ.

უკვე ღამდება. კვლავ ჩოჩქოლი, ღიღინი, ფანდური და სიმღე-რა ისმის. ხევსურები ჯგუფ-ჯგუფად, ბორძიკ-ბარბაცით მოდიან მასპინძელთან და ენაბლუდ ჰლუღლუღებენ:

- ჯვარი გეწერასთ, ჯვარიონნო, ჯვარსაც და კაცსაც!

- მშვიდობით, სოფლელები, მშვიდობით! - უპასუხებენ მგე-ლიკა, თოთია და ჯურხა. - წყალობა წაიღით ჩვენის ჯვარისა, წყა-ლობაი. წაღამ გამოგყვასთ ჩვენი ჯვარის დავლათი.

ღრეობა თავდება. დასტურ-ხელოსნები ჭურჭელს ჰკრეფენ. ძაღლები ძვლებს ეძებენ და იღრინებიან. ხევისბერს დროშა "კარ-ში გარმოყუდების" მაგიერ ნიშში შეაქვს. მერმე ერთხელ კიდევ ამწყალობებს მანსპინძლებს და კალთით მიაქვს ყაურმა და ხინ-კალი.

ჯურხას უმცროსი ძმა წიქა ზურგით მიათრევს ქვაბს, რომელიც უზარმაზარ კუზსა ჰგავს. თოთია, იამზე და მზექალაც დატვირ-თულნი არიან და შორიახლოს მისდევენ. ტორტმანით მიჰბაჯბაჯე-ბენ სოფლის უხუცესნი - გაგა, ბაღათერა და მგელიკა. ჯურხას მამას იღლიაში ხათუთა ჰყავს შემჯდარი და ჩემი თვალიც იმ ქალს აქვს მიბჯენილი.

"რადგან ხათუთასთვის იბრძვიან, - ვფიქრობ ჩემთვის - მაშ გასათხოვარი ყოფილა".

ხათუთამ მოიხედა და გამიცინა.

ჯურხა -- აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარი ლომი - კისერზე მძიმე თათს მადებს და მეუბნება:

- წავიდათ, ვაჟიკავ, წავიდათ.

ჯურხას სახლი აქვე სდგას.

დირეს გადავაბიჯე და ვიღაცას დავეჯახე. სიბნელეში ნელი ხითხითი მესმის.

- ხათუთავ, შენა ხარ? - ვეკითხები.

- ფეხ არ მაიტეხა, ვაჟიკავ, თორე...

კიდევ წავდგი ხუთიოდე ნაბიჯი და ისევ ქალს მოვხვიე ხელები. ხათუთა ერთი წუთით გაინაბა ჩემს მკლავებში. მერმე გასხლტა და ბუხარში ნაღვერდალს ჩინჩხვარი წააყარა.

- დაჯედ, შენი ჭირი მე, დაჯედ. ზაფხულ ას, მაგრამ ცივა. - მეუბნება ჯურხა.

ბუხრის წინ სამფეხაზე მსვამს და თვითონ გარეთ გადის.

- რომელ ანგელოზმ მაგიყვან ჩვენსა, ვაჟიკავ? .- მეჩურჩულება ბუხართან ჩაკუნტული ხათუთა და ქვეიდან შემომცქერის.

ავარდნილ ალზე მისი თვალები - ვეებერთელა შავს ალმასებს ჰგავს, ხოლო კბილები დიდრონი მარგალიტებივით პრიალებს.

- შენმა ანგელოზმა მომიყვანა, ხათუთა, შენმა.

- ჩემმა თუ შენმა ანგელოზმა?

და ისევ ჩაიხითხითა.

- ვინ იცის, ხათუთი, ვინ იცის! იქნება ორივეს ერთი ანგელოზი გვყავს.

ხათუთა თვალებში ამომცქერის, მაგრამ აღარც ხმას იღებს და არც მიღიმის.

მზექალა ქონის ქრაქს ანთებს და ბუხრის თავზე ჰკიდებს. ნურხა შემოდის ღა მეუბნება:

- ვაჟიკავ, ძვირ სტუმარ ხარ, ძვირფას. სოფელჩი მაწევარს წავღლალავ და სხვათაც მავიწვევ.

მე უარზე ვარ:

- დავიღალე, ჯურხა. ძილისგან თვალები მელულება.

- მაშ ხვალ იყოს. მზექალაო, მაიღი ლუდი, არაყი და რაიც გაქვ.

თვითონაც ჩამოჯდა, გამიღიმა და ყალიონი გააბოლა. მთვრალმა მგელიკამ კიბე ააჭრაქუნა და პატარა ამონაჭერით ჭერხოში - ზემო სართულში აბობღდა.

თოთია, იამზე და ხათუთა თურმე აქვე გვერდით სცხოვრობენ. მთვრალ თოთიას. უკვე დაუძინია, იამზე და ხათუთა კი მზექალას ეხმარებიან.

ბუხრის წინ ახალი სუფრა იშლება. დედაკაცები ბნელ კუთხეშ-ფუსფუსებენ. მხოლოდ ხათუთა ტრიალებს მახლობლად. ბინდ-ბუნდში ხშირად ვხედავ კრიალა კბილებს და დიდრონ თვალებს. ეს თვალები ეხლა შავი მინის ბუშტებს ჰგავს, სადაც ორი მინელებული სანთელი ანთია.

ჯურხა ბუხარს ჩასცქერის და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს.

ხანდახან მობრუნდება და მეტყვის:

- ვაჟიკავ, თითო კიდევ შავსვათ.

და თავის ამბავს ბუხარს უამბობს, თანაც შიგ იწიტება და ყალიონის ბოლს შენაკადივით ცეცხლის ბოლში ახვევს.

თავი მეოთხე

უცხოეთმაც ჯურხა ისე გააკვირვა, როგორც ტფილისმა, როცა ის პირველად შემოვიდა ამ ქალაქში.

მეტი გზა არ იყო: თავით-ფეხამდე იქაური ტანისამოსი ჩაიცვა, მაგრამ ჩვენი ნიშანი მაინც დაიტოვა: ბეჭებზე ორი }ვარი დაიკერა, ხოლო ცერზე "ღაჯია" შეინარჩუნა.

ამ ჯვრების გამო ჯურხას მოსვენებას არ აძლევდნენ. ბალღები ლეკვებივით დასდევდნენ და ბოლოს მაინც მოსტეხეს: ხევსურმა ის ჯვრები ჟილეტის ზურგზე გადაიკერა და მაინც თავისი გაიტანა: ზურგზე - დამალული ჯვრები, ცერზე --- რკინის ხვეული, ხოლო მკერდზე,- დედა-ქალაქის მიწით გატენილი ავგაროზი.

ავსტრიის ტიროლში, ინსბრუკის მახლობლად დასახლდა.

- კა ალაგ ას, მთიანი. ჩვენს ქვეყანას წააგავ.

ხალხიც "ძალუმ ღონიერ და შენახულ ას". ათასი წლის ადათებს ინახავენ. ქუდებში ფრინველის ფრთას ირჭობენ. ერთ იმათ ძროხაში ხუთი ჩვენებური "გამავას". ქალებიც "ისით ჯიშიან არიან, როგორც ფური".

ერთ ფერმაში მოჯამაგირედ მუშაობდა და მესაქონლეობას სწავლობდა. ერთი წელიწადი გავიდა. ჯურხას ბევრი არაფერი შეემთხვა. მხოლოდ კლდიდან დაგორდა და სამი ნეკნი ჩაიმტვრია. სამ კაცს სცემა, და ორი კვირით დაამწყვდიეს. ქალები ხომ იმდენი იყო, რომ...

- ქალაის მადრ გაგიწყრ, ქალაისი! - აწყვეტინებს ქმარს ბნელი კუთხიდან მზექალა.

ჯურხა ფურგუნივით ხარხარებს და ბუხარში იწიტება. ხათუთა ხითხითებს და თვალებით მელამუნება.

ტიროლიდან ხევსური: შვარცვალდში გადავიდა. ომი რომ დაიწყო, ჯურხამ მოიფიქრა და გერმანელებს განუცხადა:

- რას მერჩით! ჯურხაი ქართველ ას.

ჯერ ტყვეთა ბანაკში დაამწყვდიეს, მერმე თითქო დაუჯერეს და ჰაუგსბურგის ქარხანაში გადაიყვანეს. ჯერ კონდახებს აკეთებ-

და, მერმე თოფის ნაწილებს ასხამდა, ბოლოს ზარბაზნებზედაც გადავიდა. ისეთი ხელოსანი "გამავიდის¨, რომ ზოგჯერ ინჟინერის მაგივრობასაც ასრულებდა.

-- ეს ჩახმახ ჩემ გაკეთებული ას. - და ავსტრიული კარაბინი მაჩვენა. -- რო. გამიფუჭდ, ქალაქის არსენალჩი მე თაოდ გავაკეთი.

ის ჩახმახი უფრო ჩამოსხმულს ჰგავდა, ვიდრე ხელით ნაკეთებს.

- კა ქალაქ ას, ი ტიელ ქალაქ, ჰასბურგაი.

მხოლოდ საჭმელი აკლდა ჯურხას. ერთი ციცქნა პურს აძლევდნენ და ეუბნებოდნენ: "შუღლ გვაქვნ, პურ არ ასო¨. სამაგიეროდ-

--- ლუდა ბევრ იყო.და თეთრი ქალაები. თითო ვაჟზე ათ ქალი მავიდოდის, ოხო-ხო!

--- სირცხვილ ას, სირცხვილ! -- იძახის კუთხეში მზექალა.

ხათუთა გულიანად იცინის და თვალებს მიბჟუტავს.

- რაის სირცხვილი ას? - ბუხარს უპასუხებს ჯურხა. -ვაჟებ ომჩი წავიდოდა, ქალებ უვაჟოდ დარჩებოდა. ცოდვა ას უვაჟო ქალი. შენ რას იტყვი, ხათუთავ?

- უვაჟო ქალიც ცოდვა ას და უქალო ვაჟიც - ჯურხას მაგიერ მე მაძლევს პასუხს ხათუთა და ცბიერად მიღიმის.

- მართალს უბნობს ხათუთაი, ამიტომ...

ამიტომ ჯურხაც საცოდავ ქალებს სწყალობდა და უხვად სთესავდა მადლს.

ძირამდის იგემა ჯურხამ ევროპული ცხოვრება: სუფთა ლოგინი და გაკრიალებული ყავახანები, კვირაში ორჯერ აბანო და გახამებული პერანგი, მბზინავი ცილინდრი და ხელთათმანი, მარმარილოს პიირსაბანი და ფარჩის ავეჯი. მერმე -

- გერმანელმ რუსს აჯობა და ვარშავაჩი ამავიდა.

გერმანიაში რომ ქართული ლეგიონი შესდგა -

- ჩემმა გულმ საქართველოჩი გაიწავ.

ათასობით იყვნენ "ტყვე ქართველებ გერმანიაჩი და ავსტრიაჩი¨.

- დრო რო მავიდ, გერმანელმ ქართველები შაკრიბ, ლეგიონი შაადგინ და სამშობლოჩი გამოგზავნა.

იქ ბევრ ქალს ეჭირა "თოლი¨ ჯურხაზე, ბევრი მზითევიც შეაძლიეს, სამსახურში დაწინაურებაც შესთავაზეს, მაგრამ ხევსურმა ყოველივე უარჰყო, რადგან -

- აქ მალადინ ხქონდა ყანას, დედ-მამას და... მზექალას.

ეხლა კი სიამით გაიცინა მზექალამ. -

- ლეგიონს წამავყე და წამავედ. - გააგრძელა ჯურხამ. ტფილისში რომ "ჩამავიდ¨, მთელი ქალაქი გადაატრიალა.

- მაგრამ ჩემი ვაჟიკაი ვერ ვიპოვნე.

ხუთი ბრძოლა მოიხადა ჯურხამ, სამჯერ გადარჩა, ორჯერ დასჭრეს, - საფეთქელში და ბარკალში.

წეღანაც შევნიშე ჯურხას ყურთან გრძელი ნაჭრილობევი. ნადაშნევი მეგონა, თურმე ნატყვიარი ყოფილიყო.

- ერთი ძმაც მყავდა, მინდიაი, წეღან იმის სულის მოსახსენებელი რომ შავსვით.

მინდია და "სხო ხევსურებ¨ შატილთან დარაჯად იდგნენ, ურჯულო ქისტებს გზები შეუკრეს.

- წუნკალ ურჯულოებ გადმავიდეს და ჩვენს საქონელს იპარავდეს.

ჯურხას გვარს "პირიქით¨ მტერი ჰყავდა. ოდესღაც, ორი წლის წინათ, ჯურხას მამამ მგელიკამ ერთი "ურჯულო მოკლა¨. - ადლიმ გეეზი, - მეცხრე დუსურბანი. იმის შვილი --

- ბატირ მოტო რო წამაიზარდ, ჯურხას ძმას მინდიას მაასწვრას და სისხლი იძია, - მინდია მაკლა.

ჯურხა გაჩუმდა. მერმე რამდენჯერმე შეაბოლ-შეაწიტა ბუხარში და განაგრძო:

- მინდიას შენი ჭირიმც წაუღაო. ურჯულოებმ ხატი გატეხეს და ჩვენი დროშაი წაიღეს.

მაშინ ჯურხა ბორჩალოში ომობდა. ეს ამბავი რომ გაიგო, უმალვე დაბრუნდა, მაგრამ ზამთარი იყო და ხევსურეთში ვეღარ ავიდა. ხანი აღარ დააყოვნა:

- ძაუგს გადავედი და მტერს ზურგით მაუარე.

ჯარიახის ხეობას აჰყვა და ნელ-ნელა ქისტების ქვეყანაში შევიდა. ქისტური ენა ადრევაც იცოდა, მერმე კი -

- ისე მავრიე ხელი, რომ ნამდვილ ურჯულო გეგონებოდი.

ბატირ მუტოს სოფელში ავიდა, იქ ადრევე გაიჩინა ყონაღი და იქაურებს უთხრა: ნაზრანელი ქისტი ვარო, კაცი შემომაკვდა და შემინახეთო.

ქისტობა დაუჯერეს. ოდნავი ეჭვიც რომ აეღოთ ჯურხას ვინაობისა,

- საკლავივით დამკლავდეს. ბატირ მუტოც გავიცან და თვალი ავაყოლე.

ბუხარში მუგუზლები შეასწორა, ოდნავ იყუჩა და განაგრძო:

- ერთხელ ხევსურეთს წამოვიდეს საქონლის მასატაცებლად. ბატირ მუტო კა ვაჟკაც იყო და წინ მაუძღვებოდ.

ქისტებს ხევსურების დროშა თავიანთ უწმინდურს "დუსურ-ბან¨ სალოცავში შეენახათ. წინა ღამეს ჯურხამ ქისტების მიზგითი გასტეხა, ის დროშა წამოიღო და წელზე მოიხვია.

ქისტებს ჯურხაც აედევნა. საზღვარს რომ გავიდნენ, ბატირ მუტო -

- წინ წამავიდ საზვერავად.

ჯურხაც გაჰყვა. სხვებს რომ "მაშორდეს¨, ჯურხა წინ აეშოტა და უთხრა:

- ბატირ მუტოვ, მე მინდიას ძმაი ორ, ჯურხაი, მგელიკაის ბოკვერი ორ. ანგარიში მაქვ შენთან, ანგარიში. ხანჯარ ამაიტან!

ბატირ მუტო გაფითრდა და ჯურხას ძაღლი უწოდა, მაგრამ ხანჯალი მაინც იშიშვლა და ისე შეუტია ხევსურს, რომ ჩემს ძმადნაფიცს ერთ წუთს თვისი თავი გათავებულად მოეჩვენა.

- შასვი, ვაჟიკავ! - ცოტა ხნით სწყვეტს ამბავს მასპინძელი და ჯამს სცლის. მერმე "ყალივანს¨ სწუწნის, ბუხარში იწიტება და თავისთვის ათავებს:

- მავკალ.

და წუთიერი სიჩუმის შემდეგ უმატებს:

- მავკალ და შატილის გზით წამავედ, თან ბატირ მუტოს თავი და ხელი წამავიტან. თავი ჩვენს სოფელჩი მიწაში ჩავფალ, ხელი კი.....

ჯურხამ მარგილის-ოდენა მკლავი აიშვირა და ბუხრის თავის-კენ მიმითითა.

ჩემი თვალი ჯურხას მკლავს გავაყოლე და კედელს მივაბჯინე. მოშავო კედელზე სამი შავი ხუთთითა მოსჩანს. ვაცქერდები და არა მჯერა. თვალებს ვიფშვნეტავ, ზეზე ვდგები და გულმოდგინედ ვსინჯავ.

ცხადია, ცხადი! ჩემს თვალ-წინ სამი მარჯვენა ბელი პკიდია - მაჯებში მოჭრილი, ლორივით დაშაშხული და შემხმარშეძვალე-ბული.

პირი დავაღე, მაგრამ სათქმელი კბილებში გამეჭედა. ისევ დავ-ჯექი და ჯურხას შევხედე. მასპინძელი საკითხველს მიმიხვდა:

- ნუ გიკკირს, ვაჟიკავ. ჩვენი ადათი შავასრულე, მეტ არც რაი.

მეტი არაფერი! მტრებს ხელები დააჭრა, ღორის ფეხებივით ბუხრის თავზე ჩამოჰკიდა და ყოველ დღე სახსოვარსავით შეს-ცქერის - მეტი არაფერი!

- მაგისთანა ხელებ ოთხმოცამდე გვექნებოდ. მამაჩემმ, პაპა-ჩემმ და პაპის-პაპამ შააქუჩეს, როსაც ურჯულო გვეშუღლებოდ. შუაჩი ადლიმ გეეზის ხელი ხკიდია. მარჯვნივ - ბატირ მუტოსი, მარცხნივ - ყიბილაისი, ქისტების ბელადისა.

- ყიბილა ვიღამ მოჰკლა, ჯურხა? - ვეკითხები მე.

- მე მავკალ. - მოკლედ მიჭრის და ნაამბობს უბრუნდება:- ქისტებმა ბატირ მუტოს თავჩი და ხელჩი ასი ძროხა გამოგზავნეს, მაგრამ...

- არ მიეცი?

- არა. ვაჟკაცური საქმე ძროხაზე არ გაიყიდების.

ამბავი ამით არ თავდება. მგელიკას ერთი მტერიც ჰყავდა, -- ვინმე ბერდია არაბული, თვითონაც განთქმული მეშუღლე და ძლიერი გვარის ჩამონავალი.

- ბევრს ვერიდენით ერთუცს, მაგრამ ბედმ მაინც შეგვახ-ვედრა.

ჯურხა ისევ იწიტება, სდუმს და ისევ ცეცხლს ეუბნება:

- ისიც მავკალ.

ჯურხას რომ თავი არ მოერიდებინა, არაბულები იმის გვარეუ-ლობას შემუსრავდნენ. არაბულები მართლა მოადგნენ არხვატს. არხოტელებმა არაბულთა ჯარი ნახევარი საათით შეაჩერეს, - ხვეწნით, საკლავითა და მოლაპარაკებით მიაყუჩეს. მგელიკას გვა-რეულობა უკვე ქედზე იყო ასული, როცა არაბულები იმათ სახლს ჭიანჭველასავით მიესივნენ და ათიოდე წუთში მიწასთან გაასწო-რეს.

არხოტიდან წიკლაურები გომბორზე გადმოვიდნენ.

- კა ალაგ ას, მაგრამ...

მაგრამ წიკლაურები აქაც არ მოასვენეს:

- წითლები მავიდეს და შაგვაწუხეს. დევებივით ვიომეთ, მაგრამ ერთი ასს რას გაუხდებოდ!

მთიელებმა ახალი ქვეყანა ვერ შეირიგეს, ამიტომ იქიდანაც აიყარნენ და აქ დასახლდნენ.

-- აქაც კა ალაგ ას, - ათავებს ჯურხა. - არც ჩვენ ვიცნობთ წითელს მთავრობას, არც მთავრობა იცნობს ამ სოფელს.

ყალიონიდან ავლი ხელის გულზე გამოჰფანტა, კმაყოფილებით გაიღიმა და დააყილა:

- გზა აქად არ მადის და ამ სოფელს კაციც არ მახვდების. წელიწადჩი ერთხელ წავღლალავთ ახლებს თიანეთს, ერბოს და სა-ქონს გავხყიდით, სასყიდელს ვიყიდით და ამით გათავდების. ამაზე კა ცხოვრება ქვეყანაზე რაი იქნების!

ეხლა კი მივხვდი გუშინ რად დამემალა წიქა.

დუმილის შემდეგ ჯურხამ შემომხედა და გაცოცხლდა:

-- აბა. ვაჟიკავ, ნუ მაგეწყინების! სსვა მემრ იყოს. შასვი, გენაცვალას ჯურხაი!. ხათუთავ, ზღაპარ რამე უამბიდი სტუმარს.

ხათუთა თითქოს ამას ელოდებოდა. ფეხთით მომიჯდა, იდაყვი მუხლზე დაიდო, თავი ხელის გულზე დაიბჯინა, თვალი თვალში გამიყარა, ნელის რხევით აქანავდა და ჩუმი ხმით ნანასავით დაიწყო:

- იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რა იქნებოდის ..

და ჩემს დაღლილ თავს ასი უცნაური ლანდი მოახვია: კუდიანები მეჯალაფენი, ეშმები, მაძახურები, დევ ები და ოჩოპინტები. ზღაპარს ლეგენდა დაასხა და ვაჟკაცური ამბებიც დააყოლა: გალექსილი მარტია მისირაული, ბერდია მამუკაური, ხოშურაული და ნუგზარი, ¨ნეფე¨ ერეკლე და კრწანისი, ხირჩლა და ბაბურაული და ზურაბ ერისთავი.

ხათუთას ჩაშტერებული თვალები, ოდნავი ღიმილი და წყაროსავით ერთნაირი რითმით მოჩუხჩუხე ხმა იდუმალ ლულს მგვრის და უცნაური ბურანით მნისლავს. თვალებს ვხუჭ და მეც ხათუთასავით ვქანაობ.

უცებ ამბავი შესწყდა და რითმი შეიცვალა. ცალი თვალი გავახილე. ჯურხა ხათუთას უღიმის და ჩურჩულით ეხვეწება:

- ჩემ ძმა ას, ძმაი, ქალავ, ნუ გცხვენის ნუ!

ხათუთა მორცხვობს. პირსახეს ხელებში იმალავს, თავს აქნევს და ჰბუტბუტებს:

- არ შამიძლავ, არა! მერცხვინების, ჯურხაისი, მერცხვინების.

-- ქალავ! დ შეუტია ჯურხამ. დ რომენ ხატ გიწყრების?!

ხათუთა წამოვარდა, ფანდური მოიტანა, ისეთ ფეხთ მომიჯდა და ბუტბუტით უმღერა ბუხარს:

ჩაგილალე ციკნებიო,
მე შენ წაწალ ვიქნებიო.

უცებ სიმღერა შევაწყვეტინე:

- ხათუთავ, რა არის წაწალი?

ბინდიან კუთხეში მზექალამ ჩაიფრუტუნა. იამზემ ჩაიხითხითა ჯურხას ყელიდან რახრახი შადრევანივით ამოჰვარღა. დარცხვენილი ხათუთა წამოხტა და გარეთ გავარდა.

- ჯურხა, რა არის მეთქი წაწალი?

ისევ რახრახი, ფრუტუნი და ხითხითი.

- არ იცი რა არის სწორფრობა?

- არ ვიცი.

- მემრ გეტყვი, ვაჟიკავ. თუ გეძინების...
-. ჰო, ჩემო ჯურხა, მეძინება, ძალიან მეძინება.
- მაშ წამაედ. ბანზედ დაგაძინებ. სიცივისა ხომ არ გეშინის?
- არ მეშინიან. ნაბადი მაქვს.
ბანზე ამიყვანა, მომეხვია, ერთხელ კიდევ გადიხარხარა და უკანვე სანათურში ჩაძვრა. უცებ ერთი წამით ისევ ამოჰყო ლომური თავი და სიცილით გამაფრთხილა:
- არ შეგეშინდას, ვაჟიკავ!
და თითქო ქვესკნელში შთაინთქა!
"რა ვქნა, ვისი უნდა შემეშინდეს, რად მაფრთხილებს?¨ - ეფიქრობ გულში და სამი დღის გაუხდელ ტანისამოსს ვიხდი
"ლოგინი¨ მიცდის: ქვეშ -- დათვის ბეწვი, საბნად - სქელი ქურქი, ბალიშის ნაცვლად - სამიოდე ტყავი
გავიხადე და უმალვე თვალები მივლულე
მომელანდა: თითქო ვიღაც ფეხაკრეფით ამოდიოდა ბანზე. თითქო ვიღაც მეპარებოდა. თვალები გავახილე
ღამეა, მუქი და ჩუმი ღამე.
მახლობელი მთები შავი დევებივით ჩასაფრებულან.
კავკასიონის ქედზე თეთრ-ნაბდიანი დევები გუშაგებივით ასვეტილან.
ჩამუქებული ცა უთვალავ თვალებს ახამხამებს.
ერთი შავი დევის ზურგზე ნამგალა მთვარე შემჯდარა.
სოფელში ძაღლები იღრინებიან.
ჭოტის ყივილი ღამის დუმილს აფრთხობს
აქვე ტყეში ფრინველთა კვნესა და ბურტყული გაისმის
უცებ ჩემს ქურქს გრძელი ჩრდილი დააწვა მეც უცებ მივიხედე. ქურქში გახვეული ვიღაც დამდგომია
- ხათუთავ! -
- სუ, იყუჩე!
ქურქიდან ქალი გამოსხლტა, სიბნელეში ხან}ალი ააპრიალა და თვალის დახამხამებაზე ჩემი ქურქის ქვეშ შეძვრა.
-- ხათუთავ, ჩემო ხათუთი. - და მეც ტყავში ჩავიძირე.
- იყუჩე მეთქი, ვაჟიკავ...
ის სატევარი ჩვენს შუა დასდო და მიყუჩდა.
კვანძივით მოკუნჭულა გაყინულივით ძაგძაგებს, კბილებს ციებიანივით აწკაპუნებს
- ხათუთი... შენა ხარ? მართლა შენა ხარ? ეს ხანჯალი რაღად გინდა, ქალო?

- ხელი არ მახლო... სწორფრობისთვის მავედივ... ჯურხას ფიც-ვერცხლ ნაჭამთან მავედივ.

მივიწიე, მაგრამ მჭრელ მახვილს წავაწყდი და გავინაბე.

ეხლა კი მივხვდი. გამახსენდა წეღანდელი ჩურჩული, ხათუთას მორცხვი სიმღერა, ჯურხას გაფრთხილება და ოდესღაც ნაამბობი უცნაური ხევსურული ჩვეულება, - სასტიკი, საამური და მავნე სწორფრობა - წაწლობა - უზენაესი ძმური სიყვარულის მკაცრი ადათი, - დღესაც არ ვიცი, ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ სატანური: ხევსური თავისავე გვარის სტუმარს, ან ძმადნაფიც უცხოელს ლოგინში ქალს ჩაუწვენს, მაგრამ დილით ის ქალი იმ ლოგინიდან ისევ უბიწოდ უნდა წამოდგეს.

ის ხანჯალი ქურქიდან ამოვაპარე და განზე გადავდე.

ხათუთამ შეამჩნია და მითხრა:

- აქ მამეც. წეს არ ას!

- რა დროს წესია!

საკინძი ვერ გავუხსენი და ძალით გავუხიე.

- ვაჟიკავ, წეს არ ას!

- რის წესი, რა წესი!

თურმე მკერდის ქვემოთ მდებარე ნაწილებს ურთერთის გაცნობა აკრძალული ჰქონიათ, ამიტომ -

- წეს არ ას, არა!

- ვინ მოიგონა! ვინ მოჩმახა! რა დროს წესია!

ტანისამოსი თითქმის შემოვახიე და ხევსური ვენერა გავაშიშვლე. მაინც ვიადათე და იმ საამურ ჯოჯოხეთს დილამდე გავუძელი. რიჟრაჟზე კი....

რიჟრაჟზე ხათუთა ქალწულად წამოდგა. მაგრამ ძლივს წამოდგა. ორივემ ერთმანერთი დავთენთეთ, მხოლოდ გზის სათავე განვვლეთ და უსრული სიტკბოების ჯვარზე ავწიეთ.

რომ წამოდგა. ქურქის კალთაში მივწვდი და შევღაღადე:

- შესდექ, ხათუთი, შესდექი. მაჩვენე... მეჩვენე.. დამენახვე..

ქურქი ზედ დამეცა. ეხლა მთვარე ცაზე ჰკიდია. წყლიდან ამოსული ალქაჯი სდგას ჩემს თავთან. სდგას და მიღიმის. მე კი მლოცველივით მუხლის თავებზე ვდგევარ და ვბუტბუტებ:

- მიბრუნდი ხათუთი.. ჩემო თუთი.. კიდევ მობრუნდი, ეხლა გაბრუნდი.. დაიხარე.. გასწორდი...

- მცივავ, ელიზბარ...

უცებ ქურქში გაეხვია, ერთხელ კიდევ დამწვდა, ალმოდებული ტუჩებით დამწვა და ვეება თხუნელასავით ჩაძვრა სანათურში.

ოოოჰ, ხათუთა - ქალო! შენი კბილ-ტუჩები შენი მკერდი! შენი ძუძუები! შენი ფუნჩულა ტანის მოსახვევები! შენი გველური ხვევნა და შენი ნაღვერდლიანი კოცნა!

ღმერთო, ნუ დამავიწყებ!

თავი მეხუთე

უზარმაზარ წიფლის ქვეშ ვწევარ, ქვეშ ნაბადი მაქვს გაშლილი. ჩემი სხეული და სული დაჟინებით მოითხოვს გახევებას, დუმილს, გარინდებას. თითქო თვითონვე იპოვნეს თავიანთი წამალი აგერ ათი დღეა, რაც დილიდანვე ტყეში დავბორიალებ და მარწყვსა და უცხო ყვავილებს ვკრეფავ. მერმე უთუოდ ამ წიფელს მოვნახავ და მკვდარივით გავიშოტები. შუაღამემდე არცა ვდგები, არც ვინძრევი, არც ვფიქრობ. კუნძივით ვგდივარ და ვისვენებ.

გვერდით ლომა-ძაღლი მიწევს. ზევით ციყვი სცხოვრობს. ჯერ ჩემი მისვლა იუცხოვა, სხაპუნით ავარდა კენწეროზე. მერმე ჩემი გაცნობა მოინდომა და ქვემო ტოტზე ჩამოცოცდა. ზის, დამცქერის, წიფლის თესლს ახრამუნებს და მაფურთხებს.

ჩემი ახალი სადგური ჯურხამაც იცის და ხათუთამაც. ხან ერთი ამოვა, ხან მეორე. თუ ხათუთა მოვიდა, მარწყვს ვაჭმევ და თავზე ყვავილების გვირგვინს ვადგამ. ჩემი სტუმარი წაწალი ჩემს ჯიბის სარკეში იხედება და თავისთავს უღიმის.

წეღანაც იყო. სარკე ვაჩუქე და ვუთხარი:

- ხათუთი, ახლო მოიწიე.

ხათუთა გულაღმა მომიწვა გვერდით და ჩემსავით ცის ნაგლეჯს დააშტერდა. ცხელა. ხათუთა ოფლიანია. ბასრი სუნი ასდის ქალაქში ასეთ სუნს დღის სავალზე გავურბოდი. ეხლა კი... ეხლაც მეხამუშება. ნესტოებს მწვავს და ყანყრატოს მიღიტინებს. მაგრამ მაინც ვუძლებ, თავს ძალას ვატან და ვითმენ. მგონი ვეჩვევი.

ხათუთა ჯერ იღიმება, მერმე მსუქანი ხმით ხითხითებს.

- რა მოგაგონდა, ხათუთი?

ხათუთას ჩვენი უკანასკნელი საღამო გაახსენდა, ტფილისში რომ გავატარეთ.

ის ღამე მეც მაგონდება და მეცინება.

მახსოვს, ხარბი თვალით შევსცქეროდი მზექალას. ექვსი წლის ხათუთა კი ორივეს გვაშტერდებოდა და... თურმე სურვილით იხერხებოდა. უცებ მუხლებზე ამომიცოცდა, პატარა მკლავებით კი-

სერზე მომეხვია და ათჯერ მაინც მაკოცა. მე კი უგულოდ წავედი და ხათუთას მწვავე ალერსის მიზეზი ვერ გავიგე.

- გახსოვსა, ვაჟიკავ?

- მახსოვს, ხათუთი, კარგად მახსოვს. ისიც მახსოვს, რომ ჩემი დანიშვნა გინდოდა.

ხათუთას ხარხარი ციყვს აფრთხობს. მერმე მოსხეპილივით სწყდება.

- რად მოიღრუბლე, ხათუთი?

- არც რად... - მერმე ოხვრით უმატებს: - ა ეხლა ჩვენი დალიშვნა აღარ იქნების.

- რატომ, ხათუთი, რატომ?

- იმით, რომ მე შენი სწორფერი ორ.

- ჰო, მართლა...

წესი აქვთ, სასტიკი წესი: ნაწაწლევი არ დაინიშნება.

-- შენი კოცნა დამავიწყდა, ხათუთი. აბა გამახსენე, როგორ მკოცნიდი მაშინ.

ხათუთა იცინის და მკოცნის: ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ.

- რატომ საწაწლოდ აღარ ამოდიხარ ბანზე, ხათუთი?

იმიტომ, რომ ჩემი დატანჯვა არ უნდა.

- შენ კი არ იტანჯები?

- მეც ვიტანჯები, ძალუმად ვიტანჯები, მაგრამ... ვაი მე ბე-ჩავს!

საღერღელი ამეშალა. ხათუთას ხელი მოვრიე და მოვინდომე აქვე, წიფლის ძირშივე ხელმეორედ განმეცადა გიჟური წაწლობა ჯერ ამყვა, მერმე გამისხლტა, ალანძული სახე მომარიდა, მუხლე-ბამდე ჩამოყრილი მოწითალო თმა გაისწორა და მითხრა:

- ჭამის დრო მავიდ. წავიდათ, თორე... ან დათვია მავას, ან აპარეკაი.

ჰოოო, ეხლა კი მესმის მათი შუღლის საბაბი!

- ხათუთი, შენთვის ხომ არ შუღლობენ დათვია და აპარეკა?

მისი კისკისი ტყემ განიმეორა.

- შენთანაც იშუღლებენ ოდესმ. ხომ არ გეშინის, ვაჟიკავ?

ტყემ ჩემი ხითხითი და ხათუთას კისკისი შთანთქა, და ჯავშნით შეჭედილი ჩემი თავი მომეჩვენა: ფარს ვატრიალებ, დაშნას ვიქნევ და ხევსურივით ვკივი:

- დამიდეგ, თუ ვაჟკაცი ხარ!... მახვდა!.. ას!.. ას!.. მახვდა!

და განგმირული დათვია აქეთ გაიშოტა. სოლო აპარეკა იქით გაიჭიმა.

- ახა-ხა!

-- -

არა, მე რკინაში არ ჩავჯდები. როგორც ვწევარ, ისევ ისე დავუხვდები. თითსაც არ გავანძრევ. თუნდ დათვია ¨მავიდეს¨ თუნდ აპარეკა დამეტაკოს. თუნდ დაშნით გადამჭრან. თუნდ ¨ხანჯრით¨ ამკუწონ - ჩემთვის სულ ერთია.

ხათუთას კი მაინც არ დავთმობ.

გუშინ ჩემი კბილ-საწმენდი ვაჩუქე. დაჯდა და იმ საწმენდით ვერცხლის შიბი, სამაჯური და საყურეები დაიფერა.

ხათუთა მეფიცება:

- საყურეებიც ნამდვილის ვერცხლისა მაქვ.

მეც შევყურებ პატარა რგოლებს და მაგონდება ორი პაწაწა ნამგალა მთვარე, დიდრონ ატამზე ჩამოკიდული.

ვერა, ხათუთას ვერც დათვიას დავუთმობ, ვერც აპარეკას, არც ორივეს!

მივხვდი მეთქი: დათვია და აპარეკა იმისთვის შერიგდნენ. რომ სათუთა წამართვან.

შუამავლად ჯურხა აირჩიეს. თავიკაცებმა აპარეკასთან მოიყარეს თავი. ჯურხამ მეც წამიყვანა. დათვიას საკლავი გამოეგზავნა მერმე თვითონაც მოვიდა და მეშუღლეს უთხრა.

- ბაჯაღლო ოქროთი შეგიმკობე მაგ ნაჭრევს, აპარეკავ!

ორივეს პირსახე არტაშანებით ჰქონდა შეხვეული. უკვე პირშეკრული იარები გაუხსნეს, ძაფით გაუზომეს, მათი საერთო სიგრძე ფიცარზე გადმოიტანეს, დიდხანს იდავეს, იანგარიშეს, შეადარეს და გამოიყვანეს: დათვიას აპარეკასთვის ხუთი ძროხა უნდა გადაეხადნა. ამ ანგარიშისა მე მხოლოდ ის გავიგე, რომ ყოველ ჭრილობას თავის ნიხრი ჰქონია.

ცერი თურმე ხუთ ძროხად ფასდება, მათს მომდევნო თითებს კი თანდათან თითო ძროხა აკლდება და ამრიგად ნეკი მხოლოდ ერთ ფურად ფასობს. ხელის, ფეხის ან თვალის დასახიჩრება ოცდაათ ძროხად ჯდება. რთულია და სავსე ხევსურული ანგარიში. ვითარცა ადამიანის სხეული.

შერიგებას ღრეობა მოჰყვა. წამოვიდა ლუდი, არაყი და ხინკალი. ხიფათს ადრევე დავახწიე თავი და ჩემს წიფელას მოვაშურე არა. ხათუთას არ დავთმობ მეთქი.

* *

მე და ხათუთა მარწყვს ვკრეფავთ. სადაც მისი მკლავი დასწვდება, მოწითალო ღვედებიც იქვე ჩამოეკიდება, მზის მწკერზე ბიბინებს და ბალახებს ელამუნება როცა წელში გასწორდება.

ნაწნავებს უკანვე გადაიქნევს და ბექებზე გადაიყრის, თან უთუოდ გამიღიმებს და მკითხავს:

-- ვაჟიკავ, მაშ ძლიერ მაგწონ ჩემი თმა?

პასუხად ნაწნავებს თოკებივით ვიხვევ მკლავებზე და კისერს ვუკოცნი. ხათუთა ხითხითებს და უკან გადმოყრილი მკლავებით კისერზე მეხვევა. მერმე მოულოდნელად მეკითხება.

- რამდენ ქალი გყავ ქალაქჩი, ვაჟიკავ?

ჯერ ავირიე. მერმე წავიბურტყუნე:

- ერთი, ხათუთი, მხოლოდ ერთი

ხათუთას სახეს ღრუბელი აეფარა

- შენს ცოლს რა ხქვიან?

- ჩემ ცოლს.. ჩემ ცოლს ცუცქია ჰქვიან.

ხათუთას მკერდიდან კისკისის შადრევანმა ამოხეთქა:

---- ცუცქნია! ხი-ხი-ხი! ცუქნაი! ახა-ხა!

უნებურად მეც სიცილი მერევა. ორივენი ვგიჟდებით და ჩვენი ხითხითით ტყეს ვავსებთ.

- ცუცქნია!... აუ-აუ-უ-უ, ცუცქნავ, აუ-უ-უ! - ეძახის ტყეს ხათუთა და მხტუნავ თეძოებს ხელებით იმაგრებს.

ყოველივე იცინის ხათუთასი: ფეხები, გავა, მუცელი, მკერდი და პირსახე. ძუძუები გულისპირის გახევას ლამობს, მუცელი ღელავს, მხრები ხტუნაობს, დალალები ირხევა, თვალები წამწამებში ემალება. ხოლო გაჩეხილ ბროწეულში ჩაწყობილი ნუშის კბილები თეთრის ელვით უელავს.

თეთრი ელვა უცებ ჩაჰქრა. ხათუთა ნუშებს ბროწეულში ილაგებს, ტუჩებს იკრავს და აზვირთებულ ძუძუებს ორივე ხელით იმშვიდებს, სდგას, სცახცახებს და მძიმედ ჰქშინავს.

- ხათუთი, რა დაგემართა?

- არაფერი, ვაჟიკავ.. არაფერი დავიღალე... მეტი არაი ას... არაი....

ბალახზე გაიშოტა და ხელები პირსახეზე აიფარა. ხანგამოშვებით ოხრავს და იჭიმება. მკერდი კი ისე ეზვირთება, თითქო შიგნიდან ორი საბერველი უბერავსო.

ხათუთას დავცქერი და მაგონდება:

დათვია და აპარეკა რომ გააშველეს, ვიღაც დედაკაცმა უთხრა

მეორეს:

- ხათუთა მიზეზიანი ქალი ას. ქმარს გაუძნელდების მავლაი.

- ხატმ გაამიზეზ, - უპასუხა მეორემ, - არხვატის ხატმ გაამიზეზ. სალოცავად უნდა წავიდას. არხვატ და ერთი კურეტი დაუკლას, თორე...

- აბაიმე, ქალაუ! - გააწყვეტინა პირველმა. - რას უბნობ! არხვატ რახელ წავიდას მგელიკას გვარისა, არაბულები გამყოლის მაშინვე მახკლავენ!

- ბეჩავ ხათუთაი! ბეჩავ ქალაი!

პირველ ღამეს ქურქის ქვეშ ჩემი შიშველი წაწალი ისე იჭიმე-ბოდა, ისე ჰბორგავდა და ისე მძლავრად ჰკრავდა კრიჭას, თითქოს იმის სულს ათასი ეშმაკი სწეწავდაო.

- ნუღა მეთელები, ვაჟიკავ. დამაც, დამაცად. - შემეხვეწა მაშინ ხათუთა.

მეც აღარ მივეთელე - აღარ მივეკარი. მალე დამშვიდდა და თვითონვე მომეთელა.

ეხლაც იგრიხება, იკლაკნება და იწეწება ჩემი წაწალი. ვიცი, რომ თვითონვე დამშვიდდება. დავცქერი და ვფიქრობ:

"მაშინ ავაღელვე. ეხლა კი... ნეტა ეხლა რად აღელდა? -- და გადავწყვიტე: - ზედმეტი სიცილისგან მოუვიდა¨.

მიზეზიანია ხათუთაი, მიზეზიანი! საწყალი ქალი! საბრალო ხა-ოუთი! ბეჩავი თუთა, ჩემი ბეჩავი თუთა!

* *

ჩემს სიცოცხლეში ისე იოლად და შემთხვევით არაფერი არ მომხდარა, როგორც ჩემი დაოჯახება მოხდა.

- ცუცქია, -- ვუთხარი ერთხელ ჩემს საქმის მწარმოებელს, სამი საათი რომ შესრულდა, - სადილად გპატიჟობ პატივი დამ-დე, ქალო.

- სად? - უმალვე მკითხა ცუცქიამ.

- ორთაჭალის ბაღებში, ან თეთრ დუქანში.

- "ნად კუროი¨-ში წავიდეთ.

- წავიდეთ.

ერთი საათის შემდეგ შებრუჟებული ცუცქია მუხლებზე მიზის, პაპიროსს აბოლებს და ღიღინებს:

ჩიმი გული შენ მოაიკლავს,
ნა-ა-ანა,
სხვისი გაგიხარებია,
ნა-ა-ანა.

- ცუცქი, მე ხომ არ მიმღერი მაგ სიტყვებს?

ცუცქიამ მაშინვე შემომიბრუნა ლექსი.

სხვისი გული შენ მოგიკლავს,
ნა-ა-ანა,

ჩემი გაგიხარებია.
ნა-ა-ანა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი სტუმარი ეტლში ამყავს და ვეუბ - ნები:

- ცუცქი, ჩაი ჩვენსას დავლიოთ. ჩემი დეიდა მაიკო სოფელ- ში წავიდა.

პასუხის ნაცვლად ყურში ჩამღიღინებს:

ჩემი გული შენ მოგიკლავს
ნა-ა-ანა...

ორი საათის შემდეგ ხელახლად ჩაცმული ცუცქია აწეწილ თმას ისწორებს და სარკეს ეუბნება:

- ელიზ (ჩემი სახელი ელიზბარ ლოგინში ელიზად გადაკეთ- და) - ელიზ, როდის ჩამოვა დეიდა-შენი?

-- სამ დღეში აქ იქნება

- საქმე მანამდე უნდა გავათავოთ, თორემ...

"რომელი საქმე?" - ვფიქრობ მე და მაგონდება.

წეღან სული რომ მოვითქვი, ცუცქია ლოგინში წამოჯდა, თვა- ლი მოავლო ჩემს ოთახს და მითხრა: ჯერ-ჯერობით ეს ორი ოთა- ხიც გვეყოფაო.

- საქმე ეხლავე უნდა გავათავოთ - იმეორებს ცუცქია - შენ რას იტყვი, ელიზ?

- არაფერს. უნდა მოვიცადოთ. რადგან

რადგან ათასი საბუთი მაქვს

ვიცი, რომ ცუცქია ქმარს გაეყარა. ან ქმარი გაეყარა მას. ისიც ვიცი, რომ ნაცოლარს აღმასრულებელი ფურცელი აქვს ჯიბეში და ნაქმრევისგან თვეში სამი თუმანი ეძლევა. ესეც ვიცი: ცუცქიას ერთი ბავშვიც ჰყავს, რომელსაც ნათესავი ძიძა უზრდის სადღაც სოფელში. ისიც გაგონილი მაქვს, თითქო ცუცქიას კიდევ ორი ქმარი ან საყვარელი გამოეცვალოს, თუ საყვარლებს გამოეცვალოს ცუცქია. იმასაც შევეჩვიე, რომ ჩვენს დროში ცოლ-ქმარს და საყ-

ვარლებს ერთმანეთისგან ვერავინ ვეღარ არჩევს. მაინც მაიკოს ოცნება სხვანაირი იყო: ნამდვილი ცოლი უნდა შემერთო - ამ სიტყვის ადრინდელი მნიშვნელობით: ჯერ დანიშვნა, მერმე ჯვრის დაწერა, დიდი ზეიმი და ქორწილი. ჩემი საბედო მორიდებული და თავმდაბალი უნდა ყოფილიყო, ოჯახის პატიმარი და ათიოდე შვილის პატრონი, მორჩილი და ღვთისნიერი, თორემ -

- მეხი კი დავაყარე დღევანდელ ქალებსა და ვაჟებსაც! - ამბობდა მაიკო. ძაღლებივით ადვილად აეკიდებიან ერთმანეთს და მეორე დღესვე კატებივით ივიწყებენ ყველაფერს

იმ დღეებში ჟამმა ოცდაათჯერ დამიკაკუნა. მე მაიკოს ჩიჩინი მომწყინდა - დროა ოჯახი გაიჩინოო, - დეიდას კი ჩემი უარი და "დაიცა" მოჰბეზრდა.

სოფლიდან რომ დაბრუნდა და ჩემს ცოლს ცუცქიას შეეფეთა, მუხლები მოეჭრა და კინაღამ გული წაუვიდა: არც ნიშნობა, არც სამზადისი, არც გვირგვინი, არც ბეჭდები!

მესამე დღეს უკანვე გაბრუნდა. მეხუთე დღეს ცრემლში ამოვლებული წერილი მომივიდა.

- ოჩენ ნადო! - წამოიძახა ცუცქიამ, ის წერილი რომ წაიკითხა, და ინგლისური კეპი ჩამოიფხატა. - პადუუუმაეშ!

და ქალთა კრებაზე წავიდა.

იმ დღესაც ოთახები დაულაგებელი დარჩა. სამოვარი ისევ მე

* *

ისევ წიფლის ქვეშ ვწევარ. ცაში არწივი ბიბინებს ზევით ციყვი წრიპინებს.

- რად გი რვალი, ვაჟიკავ! - მეკითხება ჩემს გვერდით მწოლარე ჯურხა და მეათეჯერ მეუბნება მუდარით: - ჩვენთან დარჩი, ვაჟიკავ, ჩვენთან.

ლამის მომტეხოს რა ადვილად მოაგნო ჩემი სულის გაფხრეწილ კუთხეს!

- ქალაქში უნდა დავბრუნდე, ჯურხა, ქალაქში

- რაი ქალაქი ას თქვენი ქალაქი? ხაშმიანი ალაგ ას, ტიალი ზალხიც სხვა ას. დამპალი, უჯილაგო, უჯიშო, არც გული აქვ, არც

სინდისი, არც ფიცი, არც რჯული, ჩვეულებაი, სიტყვაი. მართალს ვუბნობა თუ არა, ვაჟიკავ?

ბედისგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამომ-ფიტა, მომქანცა და ფუღურო მყო. რაც მქონდა და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დავკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპების მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემ-რჩა. სული დამიცარიელდა და ვერაფრით ვეღარ ავავსე. ამიტომ იყო, რომ ჩემი ტანიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უცბად გალ-ხვა და გაინაბა. ისეთი საამური ბანგით ვარ გაჟღენთილი, რომ უმ-რავად თუნდ ერთ წელიწადს გავძლებ, თუნდ სამუდამოდაც დავ-რჩები. ჩემი გუმანი ძალდატანებას, ან საპატივებელ საბაბს ელო-დება.

ჯერ გავიღიმე:

- ისე მპატიჟობ, ჩემო ჯურხა, თითქოს აქ სახლ-კარი და მა-მული მქონდეს.

- ვაჟიკავ, მაგას რას უბნობ! - იწყინა ჩემმა ძმამ. - ჩემი ძმა ხარ, ნამდვილი ძმა. ჩემი საქონიც შენი ას, სახლიც და სახნა-ვიც. მგელიკა და თოთია შენი მამები არიან. ნანუკი და იამზე -- შენი დედები, მზექალი და ხათუთა - შენი დები. ჯურხაანთ-კარჩი წიკლაურნი ბევრნი ორთ. ყველანი შენი ნათესავნი ორთ.

ზედ გადმომეყუდა და განაგრძო:

- დარჩი, ვაჟიკავ, დარჩი. ვითაიც გინდეს, იმთენი იცხოერე ახლა ჯანსაღი პირი არა გაქვ. აქ ისე მაკეთდები, როგორც ჩვენი კაცი. მემრ შენ იცი. მართლა, ცოლსაც შეგრთავ. ვინც გინდა, აირჩიე, ოხოხო!

- ახა-ხა! არჩეული მყავს, არჩეული, მაგრამ არ ვუნდივარ, არ მომდევს.

- სადაველია?

- ქალაქელი.

- ერთ კვირაჩი ამაგიყვან. - გადასწყვიტა ჯურხამ.

მოიტაცებს და ამომიყვანს. მაშ ესეც გადაჭრილია. ჯერ კი... ჯურხას კილოს განაბული ვუგდებ ყურს. ძმა მელაპარაკება თუ მას-პინძელი? ხევსურული ადათი მეძახის თუ ძმად-ნაფიცის გული?

და ჯურხას ხმაში რომ ერთი ბეწვის-ოდენა განაბზარიც ვერ ვიპოვნე, წამოვიწიე და ხელი გავუწოდე.

- სანამ არ მომბეზრდებოდეს, დავრჩები, ძმაო ჯურხა.

მართლა? მაშ ვრჩები?

- ჰაი, აგაშენას ღმერთმა, ვაჟიკავ, აგაშენას!

ჩემს მომცილებელ ნაჩაფრალს გაისტუმრებს.

--- წამაედ, ერთი წერილი რამ მისწერე ქალაქჩი. მშვიდობით იყავ-თქო, მშვიდობით!

¨ამხანაგოს¨ მაგიერ ვწერ: "მოქალაქე თავმჯდომარევ!¨ და ვატყობინებ, რომ აღარ დავბრუნდები. ვთხოვ, მკვდრად ჩამთვალეთ მეთქი. ნურც ჩემს ახალ ქვეყანას ეძებთ, ნურც ჩემთვის შესწუხდებით. "ნახვამდის¨ კი არ გისურვებთ, არამედ მშვიდობით! სამუდამოდ!

მაიკოს და ცუცქიასაც ვეთხოვები. "დამივიწყე, ცუცქი! ახალი ვინმე იშოვნე ("ქმარი¨ დავწერე და ისევ წავშალე), იშოვნე და გაბედნიერდი. ცოცხალი ვარ თუ მკვდარი - სულ ერთია, შენთვის აღარ ვარსებობ¨.

ორი ცხენი უკვე შეკაზმულია. ჩემი სანჩო და ჯურხას უმცროსი ძმა წიქა მე მელოდებიან. წერილები სანჩოს გადავეცი და ვუთხარი, ახმეტის ფოსტაში ჩააგდე მეთქი.

ჯურხამ ის წერილები გამოსტაცა, წიქას გადასცა და ჩუმი დარიგება მისცა. მერმე უთხრა:

- თვალებ აუბი, გზა არ ისწავლას. - და სანჩოს მიუბრუნდა: - კა კაცო, მე გიცნობ შენ. ახმეტელ ნაჩაფრალი ხარ, გივარგის შვილი. ყური მიგდე: თუ ეს სოფელი გისწავლებია ვისმესთვის, ვაი შენი ბრალი! მიწაშიც რო ჩაძვრე, მაინც გიპოვნი და დაგახრჩობ. ა ეხლა მშვიდობით!

წიქამ მართლა თვალები აუხვია ჩემს მხლებელს და გზის ასარევად იქით გაიყოლა, საიდანაც არ მოვსულვართ.

* *

იმ საღამოს ქალთა კრებიდან ცუცქია გვიან დაბრუნდა - ამრეზილ-აშლილი და უცნაური ბრაზით გატენილი.

- ცუცქი, თქვენს კრებაზე რა მოხდა?

პასუხის მაგიერ ჩემი ცოლი (სადღაც ჩაგვწერეს, ამიტომ ცუცქია ჩემი ცოლია) სხაპა-სხუპით მაყრის ათას ბრალდებას: რაც ამ ქვეყნად უბედურება ხდება, მხოლოდ მამაკაცების ბრალია. ყოველივე საძაგელი და მხეცური ჩვენი ხელიდან გამოდის. ჩვენ დავიმონეო კაცობრიობის "საწყალია ნახევარი, დავიმონეთ და ყოველი უფლებანი ავხადეთ.

- რომელი უფლება აგხადეთ, ცუცქი?

- ყოველგვარი, ყოველგვარი! ვსე პრავა, ვსე!

- მაინც?
- აი თუნდ სამსახურის უფლება. რას იტყვი? ნუუუ, გავარი! სთქვი!
 დოინჯი შემოიყარა და ისე დამადგა, როგორც მრისხანე ხელი-სუფალი ჯიბგირს.
- აკი მსახურობთ, ქალო! მეტი რა გინდათ?
---ხა-ხა-ხა! მსასურობენ, მსახურობენ! მადლობელი, ბატონო ჩემო, უღრმესი მადლობა!. ჰმ! ჩვენ, მამაკაცებს - სრული ბატონობა და ხელისუფლება, "საწყალ¨ დედაკაცებს კი -
- მანქანა, რეგისტრატორობა, მოახლეობა, ოჯახის მოვლა და ბავშვების გაზრდა, არა? მადლობელი, დიდი მადლობელი! ოჩენ ნადო !
მე სქესის ბუნება მოვაგონე.

ბუნების გახსენებაზე ცუცქია უარესად აცუცქდა: ბუნება, ბუნება! ოჩენ ნადო ბუნება!
- ბუნებაც თქვენ მოიგონეთ და მისი კანონებიც. დიაღ, თქვენ მოიგონეთ, თქვენ, თქვენ! ვი, ვი!
ამიერიდან დედაკაცებს ვეღარ მოვატყუებთ. მორჩა! გათავდა-გაიგეს ჩვენი ცუღლუტობა, გაიგეს!
- თანასწორობა. სრული თანასწორობა, - აი სადღეისო ლოზუნგი! პაიმი ნაკონეც, პაიმი!
- მესმის, ჩემო კარგო, მესმის. - ვაქრობ ჩემს ალმოდებულ ნახევარს. - აგრე იყოს, თანახმა ვარ. ბაასი გადავდოთ.
 დამარცხებას გავურბივარ, განა! არა, ცუცქია არ აპირებს კამათის გადადებას. მრისხანე გამომძიებელივით ზის და ბრალდებულს მოტეხას ურჩევს. ბოლოს მძიმე ზარბაზანიც მოიშველა
 - ქალების ვაზვანიე ჩიტალ? წაიკითხე?
 - არა. ეგ მოწოდება ვერ წავიკითხე.
 - არც ჟენსაიუზისა?
 - არ მახსოვს.
 - შენ ჩამორჩენილხარ, ოტსტალ, სოვსემ ოტსტალ!.
 დანაშაული ვაღიარე: ძალიან ჩამოვრჩი მეთქი. მაინც არ მეშვება. ცუცქიას პოლიტიკური ტიტინი ყურებს მიჭედავს.
 - კაცელმანმა სთქვა... პეტროვმა დასწერა... ნოტა გაუგზავნეს... ერთა ლიგა კვდება... ანტანტა უკვე მოკვდა.. ინგლისი ინგრევა... გერმანიამ წამოიწია.
 და ხუთი წუთის შემდეგ ყოველივე პირუკუღმა ტრიალებს
 - ერთა ლიგა იარაღშია ჩაჭედილი. ანტანტამ მსოფლიო

დაიპყრო.. ინგლისი ძლიერდება.. გერმანია მოკვდა

ქუდს ვიხურავ და ვეუბნები

--- კარგი, ცუცქი, კარგი დანარჩენი მერმე იყოს. ეხლა კი მივ-დივარ.

ცუცქიას თითქო ცივი წყალი გადაასხესო:

- სად? სად მიდიხარ? კუდა?

- კრება მაქვს.

- ცხრა საათზე?! ცხრა საათზე ზასედანიე?

ოახალი საბუთი ცოლების დაბრიყვებისა! რაღაც კრება მოვი-გონე. ცუცქია მარტო უნდა დავტოვო, მარტოდ-მარტო! თუ ასეა. ცუცქიაც წავა.

თავზე კეპს იდებს და გასაქცევად ემზადება.

- ხუთი საათიდან აქამდე მეც მარტო ვიყავი, ქალო. ოთახები დავალაგე, სამოვარი დავდგი.

დიდი საქმეა, თუ ორი ოთახი ავალაგე და ერთი სამოვარი დავ-დგი, ძალიან დიდი!

- პადუ-უ-უმაეშ! კიდევაც მაყვედრი?

--- დიდი საქმე არ არის, მაგრამ სამოვარსაც მე ვდგამ და ოთა-ხებსაც მე ვალაგებ.

ეს კი მეტის-მეტია! ორჯერ გავანძრიე ხელი და ათჯერ დავა-ყვედრე!

- უპრეკაეშ, და? უპრეკაეშ? სტიდნო, სტიდნო ტებე!

- არ გაყვედრი, ცუცქი, სიტყვამ მოიტანა და გითხარი, ხვა-ლინდელ დღიდან მეზობლის მოსამსახურე ივლის. ბინას მაინც დაგვილაგებს.

მოსამსახურესაც მოვლა და თვალ-ყურის დევნა სჭირდება. ამი-ტომ ჩემი ცოლი ხვალინდელ დღიდან სამსახურს თავს ანებებს.

- კჩორტუ! არ მესმის, რა ჩემი საქმეა სამსახური! ნე მოიო დელო, კჩორტუ!

ჯერ ჩიოდა, ქალებს სამსახურს არ გვაძლევთო, ეხლა კი თვი-თონვე გაურბის მას.

მაშ აგრე, გადაჭრილია: ამიერიდან ცუცქია ოჯახში დატრიალ-დება. ორი ოთახის ალაგებას და სამოვრის დადგმას თვალყურის მდევნელი ეჭირვება. გარდა ამისა, -

- სირცხვილია ინჟინერის ცოლმა ათიოდე თუმნის გულის-თვის იმსახუროს. ოჩენ ნადო! პაზორ შენთვის, პაზორ!

- თუ არ გინდა, ნუ იმსახურებ. - დავეთანხმე. ცუცქიმ უცებ გამოიდარა. აი ქმარიც ასეთი უნდა! და ჭექა-ქუხილის მაგიერ ჩვენი ოთახები კისკისით, ჭრიჭინით, ბურტყულით და ჟღურტუ-ლით აივსო:

ჩემი გული შენ მოგიკლავს,
ნა-ა-ანა,
სხვისი გაგიხარებია,
ნა-ა-ანა.

მართლა, კინაღამ დაავიწყდა ცუცქიაა:

- ხვალ ერთი ქალი მოვა ჩემთან. ლორიგანის დუხებს და პუდრს მომიტანს. არც ვიქტორია-ჩულქები მაწყენს.

- აკი გუშინ იყიდე, ცუცქი.

- ჰო, მაგრამ... გუშინდელი "ნასტოიაშჩი" არ უნდა იყოს სულ ორი თუმნის საქმეა. ჩემო ელიზბარ... ჩემო ელიზ...

აჩემებული მაინც იყიდა და ზედ სამი იმდენის ზიზილ-პიპილო დააყოლა.

თავი მეექვსე

- ხათუთი, მოწითალო თმა რათა გაქვს, ქალო?

- არ მოგწანსა?

- მომწონს, ძალიან მომწონს. იამზესაც მაგისთანა თმა აქვს, მზექალასაც, შუქიასაც, ლელასაც. მართლა, რა ლამაზი სახელია ლელა! სპარსულს ჰგავს, ლეილა და მეჯნუნი.

- რომელი სჯობ, ხათუთაი თუ ლელაი?

ხათუთა... ლელა.. ხათუთა.. ლელა. ისევ ხათუთა სჯობია. ხართუთას ჰგავს.

ბავშვივით უხარიან. უცებ შუბლს იკრავს:

- რას უბნობდით გუშინ შენ და შუქიაი? რას ეთელებოდით ერთუცს?

- გუშინ? მართალი გინდა?

- მართალი, მართალი.

- შუქიამ მითხრა, მიყვარხარო.

- მართალს ანბობა? მიყვარხაროა? - და ძუ ვეფხივით წა-მოიჭრა. - შენ რაიღა უთხარ, შენ?

- დაჯექი და ყურში გეტყვი. - და ჩავჩურჩულე: - მე კი ხათუთა მიყვარს მეთქი.

და კინაღამ ნამგალი და ყურის ბიბილო მოვაკვნიტე. ხათუთას ეღიტინება, გულიანად ხითხითებს და ჩემს მკლავებში ფართხა-

ლებს.
- ხათუთი, მე მზექალას ძმა ვარ. შენ რას იტყვი?
- ვიცი. ჩემი ძმაც ხარ.
- არა, მე შენი ძმობა არ მინდა.
- რატომ?
- იმიტომ რომ.. ვითომ არ გესმის?
ესმის, მაგრამ ატმისფერი პირსახე განზე მიაქვს, რომელიც უცბად თურაშაულის ვაშლად გადაიქცა.
ქალაქი მაგონდება. ხათუთა ხუთი თუ ექვი წლისა იქნებოდა ძიძიგურის ქარხანაში რომ მივდიოდი, თან ყურძენი მიმქონდა და -
- ხათუთი, - ვეკითხებოდი შორიდანვე, - ეს ყურძენი რომ გაჩუქო, რამდენჯერ მაკოცნინებ?
-- ელთხელ. - და საკოცნელად მეტანებოდა.
- არა, დაიცა: ოცჯერ.
- ხუთჯელ.
- არა, ხუთმეტჯერ.

ბოლოს, ათზე ვრიგდებოდით და ვიწყებდით: ერთს მე ვაკოცებდი, მეორეს -- ხათუთა. მე ვითვლიდი:
- ეს ერთი.. ორი... სამი. ესეც სამი.
- ალა, ხუთია, ხუთი!
- ხუთი კი არა, სამია, სამი.
- ხუთია მეთქი, ხუთი!
- მაშ თავიდან დავიწყოთ.
- დავიწყოთ. - უმალ მეთანხმებოდა ხათუთა.
ჩემი შარი ორჯერ-სამჯერ სჭრიდა: ხუთ-ხუთის მაგიერ ათჯერ მე ვკოცნიდი, ათჯერ ხათუთა მკოცნიდა.
ეხლაც მაგონდება ეს ამბავი და მეცინება.
- რას იცინი?
- ხათუთი, გახსოვს ყურძენი?
- ყურძენი? - უცებ გაახსენდა შორეული და კისკისი ამოუშვა.
-- ხათუთი, მოდი მაშინდელი გავიხსენოთ.
- ყურძენი რო არა გაქვ?
- მაშინ შენზე ოცი კოცნა დარჩა.
- მართალს უბნობ.

მართალს არ ვუბნობ, მაგრამ, სულ ერთია, საბაბი ხომ ვიშოვნეთ.

- ეს .რვა... ცხრა.. ესეც რვა. - ვითვლი მე.

- რვა კი არა, ათი, ათი!

კვლავ მეორდება ძველი ცელქობა და შარი:

- მაშ, ხელახლა დავიწყოთ.

- კა, დავიწყოთ.

დავიღალეთ. ციყვი ზევიდან გვაფურთხებს. გაოცებული ლომა კუდს ასავსავებს. ხათუთა აქეთ-იქით იხედება: ან დათვიასი ეშინიან, ან აპარეკასი.

- ხათუთი, ამაღამ ვიწაწლოთ.

ხათუთა სდუმს. მერმე ცას ეჩურჩულება:

- კა, მებრალები, ვაჟიკავ, მაგრამ რაკი აგრე გინ...

- მინდიხარ, ხათუთი, მინდიხარ!

* *

ხათუთასგან სამი ცუცქია გამოიჭრება.

ჩემი ცოლი თუ ნაცოლარი ტან-თხელი მიბნედილი და წვრილ-ძვალა ქალია. ერთი შეხედვით ჭლექიანი გეგონებათ სამაგივროდ

პირსახისა და ტანის ფერი აქაურ ზამბახს მიუგავს დ მკრთალი, გაცრეცილი, მოყვითალო, გამჭვირვალე და ისეთი ნაზი, რომ ძარღვის ფერი და ფეთქვაც კი უჩანს. ხმაც შესაფერი აქვს - მილეული, წრიპინა და გალესილი. სამაგივროდ ფეხები და წვივ-ბარკალი ვერსალის დიანას მიუგავს.

თანასწორობა სავსებით განახორციელა: სამსახურში რომ მივდივარ, ცუცქია შუა ძილში ძლივს იქნება შესული. სამ საათზე ჩემთან მოვა, ან ქუჩაში დამიხვდება. რესტორანში შევალთ და ვისადილებთ. სადილობამდე ნახევარი ქალაქი მაინც ექნება მოვლილი.

- სად იყავი, ცუცქი? - ვეკითხები მეასეჯერ.

- საქმე მქონდა. დელო ბილო. - მეასეჯერვე მიპასუხებს.

ასე გადამაჩვია. მას აქეთ აღარ ვეკითხები.

საღამოობით სამუშაო მაქვს. ცუცქია სწორედ შვიდ საათზე სარკესთან მიცუცქდება და ღიღინებს:

სხვისა გული ფენ მოგიკლავს,
ნა-ა-ანა,
ჩემი გაგიხარებია,
ნა-ა-ანა.

- სად მიდიხარ, ცუცქი?

- საქმე მაქვს. დელო იესტ.

თუ თერთმეტზე დაბრუნდა, მიხარიან. თუ იმ ღამეს ჩემს ოთახებში პოლიტიკა და თანასწორობა არ შემოიჭრა. ის დღე აღდგომის უქმეს მირჩევნია.

- ცუცქი, - ვეუბნები ხშირად, - ერთ-ერთი აირჩიე -ან რუსული, ან ქართული ერთმანეთში ნუ ურევ, თორემ ვერც ერთს ვერ ისწავლი.

ვერც ისწავლა, ვერც ისწავლის, ცუცქიამ არც ქართული იცის, არც რუსული. ერთს რომ ქართულს იტყვის, ორს რუსულს დაურთავს. სიტყვებს ეძებს, ვერ პოულობს, კოჭლივით ჰბარავს და მთვრალივით ბორძიკობს. ყურები მუდამ დომხალით მაქვს გაჭედილი. ცოლის აზრი ზოგჯერ უფრო გუმანით მესმის, ვიდრე გონებით.

- ნადოელო! - გულგრილად ბუტბუტებს ჩემი ცოლი.

- აგრე იყოს, მაგრამ ქართულს ნუღარ გაურევ, თორემ დომხალი გამოდის.

- არაფერიცა! - უკვე კაპასობს ცუცქია. - ქართულიც ძალიან კარგად ვიცი. ოღონდ ქართული "ნე ვსეგდა" უხდება. ოჩენ ნადო!

ასეთი ბაასი ცუცქიას ცრემლით და ჩემი ღრენით თავდება.

ცრემლზე გამახსენდა: ჩემს ცოლს პატარა თვალების უკან ცრემლით სავსე დოქები აქვს შენახული საკვირველია, საიდან მოსდის ამოდენა ცრემლი? ისიც საოცარია, როგორ ახერხებს ეს დედაკაცი უბრალო საბაბის გამო - და უფრო ხშირად კი უსაბაბოდ - ამდენ ტირილსა და იმ დოქების დაცლას!

ვერ იქმნა, პაპიროსის მოწევას ვერ გადავაჩვიე რამდენჯერაც ვცადე, იმდენჯერ უძლეველ კედელს წავაწყდი

- მამაკაცები რომ ეწევით, ამაზე რას იტყვი? ა ვამ მოჟნო, და? ნუ, გავარი!

ამაზე ვერაფერს ვეტყვი მძლეთა-მძლე საბუთს ხელი ვერ დავრიე. რომ ვუთხრა: "ჩვენ შეგვშვენის, გვიხდება, ვუძლებომეთქი, სასაცილოდაც არ ეყოფა და უმალვე თანასწორობის ბურთს ჩამჩრის ხახაში

სტუმარი რომ მომივიდეს- მახლობელი თუ შორეული - ან ქუჩაში თუ გავიცანი ვინმე, ცუცქია ხუთ წუთში გაუშინაურდება "შენობით" ელაპარაკება, მხრებზე ხელს უტყაპუნებს, თანასწორობით ახრჩობს და, თუ სტუმარმა მაშინვე კერი არ დაუკრა.

კაპასობს
- პრატივნი, პროტივნი! ყველანი ერთნაირები ხართ, ყველა-
ნი ვსე, ვსე!
ხოლო თუ სტუმარი თავის ქნევით აჰყვა, ჩემი ბინა მშვიდო-
ბიანი კურკურით ივსება -
- ვოტ, უმნი ჩელოვეკ! ელიზ, ყური დაუგდე და ისწავლე
და უმალვე პოლიტიკით დატვირთულ ურემს შემოაგორებს
ოთახში.
უიმედოა ჩემი მორჯულება, უიმედო! ცუცქიასი არ იყოს. ამ
ქვეყანას ჩამოვრჩი, ძალიან ჩამოვრჩი!
მე ჩემს სტუმარს აღარ ვჩივი ცუცქიას ყოველ დღე ახალ-
ახალი სტუმრები მოჰყავს არ მესმის, როგორ და სად ახერხებს
ამოდენა ხალხის გაცნობას ხშირად მგონია, ვითომ ჩემი ბინა
ცუცქიას მაზრის სასტუმროდ გადაქცეულიყოს
ზოგჯერ მე და ჩემი ცოლი ასეთ საუბარს გავაბავთ:
- ცუცქი, - ვიწყებ მე ღღეს რომ კოლია მოიყვანე ჩვენ-
თან. ..
- ჩემი ბიძაშვილია მაწყვეტინებს ცოლი.
- როგორც გატყობ, შენ ათი ათასი ბიძაშვილი გყოლია. აგრე
იყოს. კარგა ვიცნობ შენს ბიძაშვილს კოლიას. ციხეში იჯდა ჯიბ-
გირობისთვის.
32. მ. ჯავახიშვილი ტ. II.

აქედან იწყება ჯოჯოხეთი.
- კოლია მტრებმა დააბეზღეს, ჭორი მოუგონეს! დ აკლევეტალი, აკლევიტალი!
- სასამართლოში გამტყუნდა.
- ჰო, მაგრამ....
მაგრამ კოლია მაინც უმანკო კაცია! მოწმენი მოისყიდეს! მო-
სამართლე შესცდა! მთელი ქვეყანა სტყუის!
თითებზე ვითვლი ჩემს ახალ ნათესავებს: ვალოდია ჰარამზა-
დაა, საშა ყაჩაღია, დათიკო ავაზაკია, გრიშა ქურდია, ნამდვილი
ქურდი!
ჩემი ცდა ოჯახის გაწმენდისთვის ცუცქიას ცრემლში იხრჩობა.
მაინც ვეუბნები:
- ქალო,. უჩემოდ ნურავის ნუ ჰპატიჟობ. მე არა მსურს, რომ
ჩემი სახლი ჯიბგირებით აივსოს.
- თუ შენ პრიგლაშაეშ? შენ გაქვს პრავო და მე არა მაქვს?
სწორედ აქ ვიღუპები. ახლა კი ცხადია: ასეთ დედაკაცს შეუძ-
ლიან შეიგნოს უფლების განყენებული ნორმები, მაგრამ არასო-

დეს არ ძალუძს ცხოვრების ლოღიკის გაგება და გამოყენება.

ცუცქიამ თანასწორობა ასე გაიგო: ყოველგვარი ვალდებულება მე დამითმო (დიდსულოვანია ჩემი ცოლი!), ხოლო ყოველივე უფლება თვითონ დაისაკუთრა (ეხერხება ცუცქიას ანგარიში).

აგრე იყოს! ვნახოთ როგორ გათავდება ცუცქიასებური თანასწორობა.

* *

მოჭრილი ხელები, ბუხრის თავზე რომ ჰკიდია, არ მასვენებს: თითქო სულში ჩამიძვრნენ და ხუთმეტივე შავი თითით გავაზის კლანჭებით მიკორტნიან შიგანურობას, თვალებს ვხუჭავ და მეშინია ზევით ავიხედო.

- ძმაო ჯურხა, - ვეუბნები ძმად-ნაფიცს, - ეს ხელები...

და სიტყვას ვეღარ ვათავებ. ჯურხა უმალვე მიმიხვდა:

- ხომ არ გეშინის, ვაჟიკავ!?

- არა, მაგრამ... მეხამუშება... საჭირო არ არის.

ოხო-ხო! როგორ მეტყობა, რომ ქალაქელი ვარ! ჩემი შიში ჩემი ქალაქელობის ბრალია. აი შედეგი განათლებისა!

- ქალაქელმა ვაჟკაცობა დაივიწყ, გული დაელივ, გაციცავდ. ხათუთას შევხვდე. იმის ღიმილში ჩემი შებრალება მეჩვენება.

- შენი საქმეა - ვეუბნები ჯურხას. - შენი საქმე შენ იცი. როგორც გნებავს... ოღონდ...

- კა, ვაჟიკავ, კა. - მამშვიდებს ჯურხა, - ჩამავიტან, მემრ მავაგონებ, როცა ჩვენებურს შაეჩვევი.

სამივე ხელი ჩამოხსნა, პურებივით იღლიაში ამოიჩარა და გავიდა.

ხათუთა აღარ იღიმება, რაღაც ფიქრით იღრუბლება.

* *

წიქა მეხუთე დღეს დაბრუნდა. თურმე ჩემი წერილი თიანელ ნათლიმამას გაატანა ქალაქში. უკეთესი! იმასაც ვერ გაიგებენ, რომელ მხარეში ვარ - თუშეთსა თუ საინგილოში, აფხაზეთსა თუ ჯავახეთში.

არც გაზეთი მოუტანია და არც წიგნი. მადლობა უფალსა!

რამდენიმე ამბავი მაინც შეგვატყობინა.

- ფრანგი და ინგლისი ძმად-ნაფიცნი გამხდარან. ჯარი თურმ შაუყრივ და აქად მოდიან... გერმანიაც მიუმხრავ... ერთი ყუმბარა

გამაუგონავ, რაც ქალაქჩი სახლ ას, ის ერთი ყუმბარა სრუ დაახ-
რჩობს.

- კიდევ რას უბნობენ? - ეკითხება ჯურხა.

- კიდევ უბნობენ: თათარიც და რუსიც ძმად-ნაფიცი გამ-
ხდარავ.

- მაშ დავიღუპებით. კიდევ რა?

- კიდევ უბნობდეს: უცხოეთჩი ახალი ბატონიშვილი გამაჩე-
ნილ ნამდვილი ბაგრატიონი, ნეფის ერეკლეს შვილის-შვილიო.

ბორბალოს მთასავით უვნებო ჯურხა ეხლა კი ზე წამოიჭრა:

- ის ას, ის! თეიმურაზ ბატონიშვილი უთქვამთ, თეიმურაზი!

ვიცნობ თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილს?

- არა, არ ვიცნობ. არც გამიგია. ბაგრატიონები ბევრნი არიან,
მაგრამ ერეკლეს შვილის-შვილები ყველანი დაიხოცნენ.

- არ დახოცილან! - ჰკივის ჯურხა.

- დაიხოცნენ მეთქი.

- მაშ შვილის-შვილის-შვილ იქნების.

- მერმე, თუნდ ეგრეც იყოს, მერმე?

როგორ თუ "მერმ?¨! დ უკვირს ჯურხას, - არ მესმის? რაკი
მე ეგრე ადვილად შევურიგდი "პირობის წიგნის გაფუჭებას¨ მაშ
მე ქართველი არა ვყოფილვარ!

- რომელი წიგნისა, ჯურხა?

- იმ წიგნისა, ნეფე ერეკლემ რო დაუდვა რუს ხელმწიფესა

- ჰო, მაგრამ...

- ბაგრატიონ უნდა მავიდას და მცხეთას უნდა იგვირგვი-
ნას! - გადასჭრა ჯურხამ და სხვებმაც ყაყანით დაუდასტურეს.

- მავას! მავას!

- იგვირგვინებს! იგვირგვინებს!

იქნებ კვლავ აღსდგეს ძველი სიონი,
მაგრამ ვერ ვნახოთ ბაგრატიონი. -

მოვაგონე მე პოეტის ნათქვამი.

ჯურხამ ჯერ ვერ გაიგო. მერმე მიხვდა და აჯანყდა ტყუილია,
ტყუილი, ვითომ უბაგრატიონოდ სიონმა წამოიწიოს!

- აკი წამაიწივ, მაგრამ ისევ დაინგრა. ახლა ბაგრატიონთა
ჯერი ას, ბაგრატიონთაი!

კიდევ დიდხანს შფოთავს ჯურხა, დიდხანს ცანცარებს მისი
ლომური თავი და ბოხი ბუკივით ხრიალებს მისი განიერი ყან-
ყრატო.

ხევსურები სიამით უგდებენ ყურს. ზოგნი ყალიონებს აბოლე-

ბენ, ზოგნი თამბაქოს ჰღეჭავენ, ზოგნი კიდევ "ხანჯრებით" სთლიან ჩხირებს და თავიანთ ბელადს წამდაუწუმ უკრავენ კვერს:

- აგრე ას, აგრე!.. მართალს უბნობს ჯურხაი, მართალს! მავას! მავას! მცხეთას იგვირგვინებს, მცხეთასა!

აღარც მე ვედავები. ან რა ჩემი საქმეა! პოლიტგანათლებისთვის კი არ დავრჩი ამ ბუნაგში, არამედ განკურნებისთვის და განდგომისთვის.

მაინც მშურს თქვენი, ხევსურებო! ჰოი, ხირჩლებო, დათვიებო, ჯურხებო! ნეტა თქვენ, რამეთუ ბავშვივით გრწმენისთ! ნეტა თქვენ, რამეთუ გული თქვენი უხავსოა და სული თქვენი უბზარი! ნეტავი თქვენ, ჩემო ძმად-ნაფიცებო, რამეთუ თვალი თქვენი უჩინოა და ყური თქვენი უსმენო!

მართლა, წეღანაც ვთვალე და ვერ დავთვალე:

-რა დღეა დღეს, ჯურხა?

- ხუთშაბათი ას.

- რიცხვი? თვე?

ჯურხამ ხევის ბერს გადაჰხედა. ეს არის ამათი ცოცხალი კარაბადინი. ხევის ბერი გაიჭინთა, ათივე თითი მოიშველა, გაგასიც მოიხმარა, მთვარეც გაიხსენა, სთვალა, სთვალა და დასთვალა:

- ამაღლებამდე თერთმეტ დღე დარჩა.

- რიცხვი მეთქი, რიცხვი! რა თვეში ვცხოვრობთ? რამდენია დღეს ამ თვისა? - არ ვეშვები მე.

- ზედნადები თერთმეტი ას. - ბურტყუნით ითვლის თითებზე დეკანოზი - თვისთავი ერთი იქნების... ნიადაგიც ერთი, მერამდენე თვე ას ახლა? - მეკითხება მე და თითები გახევებული რჩება თითისტარებივით.

მეც ამას ვეძებ. მაისს ვათავებთ თუ ივნისში გადავდექით?

ჩემი კითხვა და განმარტება გაიგეს. ვერავინ ვერაფერიც ვერ მიპასუხა. ზოგმა კიდევაც გაიკვირვა.

მე წამოვდექი.

კმარა! ყოველივე ცხადია! ჰოი, ბედნიერო უბადრუკებავ! დღეც დავკარგეთ და თვეც. დრო წაიშალა, დრო! აღარც სივრცისა მესმის. სადა ვარ? სადა ვცხოვრობ? საით არის ტფილისი, ბაქო, ევროპა? არ ვიცი, აღარ ვიცი. ყველაფერი ამერია.

არც მინდა ვიცოდე. წიფლის ქვეშ ხათუთა მიცდის. იქვე მის

მკლავებში განცხრომა სჯობია პოლიტგანათლებასაც, კალენდარსაც და ევროპულ ინტრიგებსაც. წიფლისკენ მივდივარ და ვღიღინებ:

ხათუთაი მავიდა, თემურაზიც მავიდა. ერეკლე კი წავიდა, ჯურხაიცა წავიდა. დაალ დაალ დაალალე, დივლი დალალე დალალე.

* *

ხათუთა "ბუღვას" საძებნელად მიდის მეც მივდევ და ვეუბნები:

- ხიფათი არ შაგემთხვეს, ჩემო ხათუთი.

- ხიფართს აქ რაი უნ, ვაჟიკავ!

- ვინ იცის, დათვია ან აპარეკა არ შეგხვდნენ სადმე.

- აბაიმე! - უკვირს ჩემს წაწალს. - მთაჩი ვაჟკაცი არ ეშჩის დიაცს.

-- იქნება ნადირი დაგიხვდეს.

ხათუთამ ჩემს თოფს გადმოჰხედა და გაიღიმა

- თოფის ხმარება იცია, ვაჟიკავ?

პასუხის მაგიერ თოფი გადმოვიღე და ათიოდე ნაბი}ზე ყვავს დავუმიზნე, ხის კენწეროზე რომ იჯდა.

ტყემ დაიქუხა. ყვავმა თითქო ვერც კი გაიგოო. ფრთები აიქნია და გასწორდა.

- მამეც. - მეუბნება ხათუთი და თოფში ახალი ვაზნა ჩასდო,

ტყემ ხელახლად დაიქუხა. ყვავი მოწყვეტილი ვაშლივით წამოვიდა.

მე მრცხვენიან. თავს ვიმართლებ. ხათუთა კი გამარჯვებას არც კი იმჩნევს. მაღალ ბალახს ჰგლეჯავს, მის გულს სჭამს და მეც მაძლევს.

- ხათუთი, სროლა ვინ გასწავლა?

- ჯურხამ.

- მზექალამაც იცის სროლა?

- იცის. ჭამე, ვაჟიკავ, გემრიენი ას.

- იამზემ?

- ყველამ იცის, ყველამ. დაგვჭირდების.

მერმე ორივენი ბალახებში ვწვებით. მე ორი გოჯის მანძილიდან ჩავცქერი ხათუთას თვალებსა და შიგ თვალებს ვხედავ.

- რას ეძებ ჩემს თვალებჩი, ვაჟიკავ? რას ხედავ იქ?

- მინდა გავიგო, ვისი თვალი გაქვს მანდ შენახული, ჩემო

ხათუთი?

- რას ხედავ, ვისი თვალი მაქვ შენახული?

- ჩემი, ჩემო თუთი, ჩემს თვალებს ვხედავ შიგ, ჩემს

ხათუთაც აშტერდება ჩემს თვალებს და იღუშება:

- მე კი შენს თვალებში სხვის თვალს ვხედავ.

- ვის თვალებს ხედავ, თუთი?

- შუქიაის თვალია, შუქიაისი! ან ცუცქნაისი. უნდ შავჭამა ეგ თვალები, უნდ შავჭამა!

მარწყვის ტუჩებით ეძებს "სხვის თვალებს" ჩემს თვალებში, თან იცინის, მიღიტინებს და მეც მაცინებს.

მეშინიან, ხათუთას მიზეზიანობამ არ იფეთქოს. გვერდით მივუწექი და ცას ავხედე.

- არწივი ბიბინებს. - ვამბობ ჩემთვის.

- არწივი ბოინობს. - მისწორებს ქართულს ხათუთა.

მეფე-ფრინველი ჰაერში განიერ სალტებს ჰკრავს და გვიახლოვდება. მკაფიოდ ისმის მისი ყრიყინი.

- ჩემი წითელი ფარაგი ხორცი ღგონავ, - ამბობს ხათუთა, - და ამად გვეტანების.

რევანში მწყურიან. თოფს ვიმარჯვებ და ვამბობ:

- არ გაინძრე, ხათუთი.

არწივი ბურღივით მოდის, თან სიხარულით ყრიყინებს. უცებ წამოვიჩოქე, ბერდანი დავუმიზნე და უმალვე ვესროლე.

ფრინველი ცაში გადატრიალდა, აფართხალდა, ფრთები დაჰკეცა, ბალახებში დაეცა.

ხათუთას ჩემი გამარჯვება უხარიან.

ვაჟკაცმ სროლა უნდა იცოდას მალე შენც წიკლაურ გახდები, ვაჟიკავ.

და კისერზე მეხვევა.

ისევ ვწევართ და ცის სივრცეს შევცქერით.

უცებ ხათუთამ წამოიწია:

ვაჟიკავ, ლამაზი ასა შენი ცოლი, შენი ცუცქნაი, თუ...

მე ცოლი აღარა მყავს, ხათუთი ვინც მყავდა, შენ ვერ შეგედრება.

მართალს უბნობ?

მართალს ვუბნობ, ჩემო თუთი.

შუქიაი? ხოშექა? არ მაგწონს?

ისინიც ლამაზები არიან, მაგრამ შენ მაინც ვერ გაჯობებენ.

მართალს უბნობ, ვაჟიკავ?

მართალს ვუბნობ, ჩემო თუთი, მართალს

ქალთამზეი? მოქრისი? მზევინარი? ყეელანი ლამაზები არიან, ძლიერ ლამაზები.

ჰო, ლამაზები არიან, მაგრამ. . შენ მაინც ყველას მირჩევნიხარ, ჩემო ხათუთი... ჩემო თუთი.

ხათუთა უცებ წამოხტა, გაიქცა და მომაძახა

ვაჟიკავ, თუ ვაჟი ხარ, დამეწიე!

ხათუთი, თუ ქალი ხარ, გამაგრდი! გაიქეცი!

ქალი ფურ-ირემივით მირბის. მე ხარ-ირემივით მივდევ. აჰა კიდეც ვეწევი, მაგრამ ხათუთა განზე მისხლტება და მანძილს უმატებს. ცუღლუტობა სამჯერ-ოთხჯერ გაუვიდა.

მე ბრაზი მერევა და ვნების ცეცხლი მეკიდება. ესეც დოღია, ხვადისა და ძუს დოღი, რომელიც გაგრილებით თავდება ხოლმე. ალბათ ხათუთაც გრძნობს და უსიტყვოდ მეძახის: მაღალ ბალახებში შევარდა და გულაღმა წაიქცა.

ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც შემებრძოლა. კაპასად და ღონივრად იბრძოდა, მარიგებდა, მარცხვენდა, მაშინებდა, მეხვეწებოდა. მეც შევისვენე, დავინდე და ჯერჯერობით არ ვიწიკლაურე.

დიდხანს იწვა თვალდახუჭული და გარინდული. მეც ვდუმდი. მერმე წამოდგა და წავიდა.

მეც გავყევი, ერთ ალაგას გზის პირას ქვების გროვა ეყარა. ხათუთამ მიიხედ-მოიხედა, იქვე მოშორებით ორი ქვა იპოვა, ერთი მე მომაწოდა და მითხრა:

- იქ დააგდი და ფეხი დაადგი

ხელში-ნაჭერი ქვა გროვას მიახალა და ზედ ცალი ფეხი დაადგა, თანაც მითხრა:

- შენც დაადგი მეთქი და ფეხიც დაადგი

- რათა, ხათუთი? რის ნიშანია?

- წესი ას .

ისევ წესი, ირგვლივ სულ ადათი, დილით-დილამდე ადათი და მხოლოდ ადათი

ვაჟი ქალს ჰყვარობდა სწორფრობის წესი დაირღვა: ქალი დაორსულდა სოფელმა გაუგო, განდევნა და ეს ძეგლი აუგო. ქალი დაწყევლილია და ვინც აქ გაივლის, ხელახლა უნდა დასწყევლოს ასეთი მკაცრი და ულმობელი ყოფილა მთიელთა რკინის ადათი.

ქალს რა დაემართა, ხათუთი?

- ვერ გაუძლო და თავი მაიკლა. - ჩურჩულით მომიგო ქალ-
მა და დუმილის შემდეგ დაუმატა, თან იმ ქვებზე მიმითითა: -
მეც ამისთანას ამიშენებენ

- ტყუილია! მაგაზე ნუ სწუხარ. ჯვარს დავიწერთ და გათავ-
დება

- მე შენი სწორფერი ორ, შენი დაი ორ, დაი.

- მაინც შენს მეტი არავინ არ მინდა.

- არ შეიძლების, ვაჟიკავ, არა! - ჰკვნესის ხათუთა. - ჩვენ-
ჩი მაგისთანა კანოლ არ ას, არა!

- მე მოვატრიალებ კანონს. თქვენი სოფელი მაგ კანონს ჩემ-
თვის დაარღვევს

ხათუთას პირსახეზე ერთმანეთს ებრძვიან ღიმილი და სევდა,
ცრემლი და იმედი, სიხარული და ურვა

ისევ დავსხედით.

- კანოლიც რომ დაარღვივან, მაინც გაგიძნელდების, ვაჟიკავ.
დათვიას და აპარეკას პირ შაუკრავ: თუ ხათუთაი ჩვენ ვერ დავლი-
შნეთ. ნუც ვაჟიკას, გავატანთავ. ჯურხასი ეშინისთ, თორე აქამდე
მაგკლავდეს.

- ფეხებსაც ვერ მომჭამენ! - და ერთი წუთის შემდეგ ვუ-
მატებ: - ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო. აგერ დათვიაც აქ
ყოფილა.

წამოვჯექი და ბერდანის თოფი მუხლებზე დავიდე.

- კა ალაგ მაგიძებნავ, ხთის მადლმა, კა. - სთქვა დათვიამ
და ჩვენს წინ თოფზე დაებჯინა.

- გამარჯვებას რატომ არ მეუბნები, დათვია? - ვეკით-
ხები მე.

- რაად გი ჩემი გამარჯვება?

- თუ არ მინდა, არც შენ მინდიხარ.

- უცხო კაც მასულხარ, ვაჟიკავ, და...

- და ხათუთას გართმევ, განა! - დავამთავრე და წამოვდექი,
თან ხათუთას გადავხედე.

დათვიას თვალები ხანჯლებივით ელავს მან შემომხედა და სიტ-
ყვა ბანზე ააგდო:

- კა სროლაც გცოდნივ. არწივი ცაში მახკალ.

- ჰო, კარგი სროლა ვიცი, დათვიავ, ძაან კარგი.

დათვია ჩაფიქრდა. მერმე ამოიოხრა, თავი ჩაიქნია და დაი-
ქადნა:

- მემრ იყოს, ქალაქელო, მემრ.

და გაბრუნდა.

- გინდ მერმე იყო, გინდ ეხლავ, - მივაძახა ზურგში და მოვბრუნდი.

ხათუთას ზამბახის ფერი ადევს.

- რამ შეგაშინა, ხათუთი?

- არც რამ. . დაჯედ, ვაჟიკავ, დაჯედ. ხიფართს ერიდე. თორე

- თორე ფეხებსაც არ მამჭამს! - ხევსურულად მოვუქციე მეც და დავჯექი. - ნუ ხგონავ შამარჩენსავ. უჯიშო! უჯილაგო! დიაცო! -- მივაძახე დათვიას.

ხათუთა მამშვიდებს და მარიგებს: "ხიფარფს" უნდა ერიდო. მაგრამ არც თავი უნდა შეირცხვინოო. ეხლა თურმე ისე დავუხ-ვდი დათვიას, როგორც ნამდვილ წიკლაურს შეჰშვენის.

ოღონდაც, ოღონდაც! მეც წიკლაური ვარ, წიკლაური! ხევსუ-რული სისხლი სდუღს ჩემს ძარღვებში, ხევსურული!

- ხათუთი. - ვეკითხები დუმილის შემდეგ. - იცი რა არის პოლიტიკა?

- არა, არ ვი.

- ინტერნაციონალი?

- არც ეგ ვიცი.

- იცი, ვინ არიან ჩემბერლენი, მარქსი, ბრიანი და ვილსონი, ლოიდ ჯორჯი ან მუსოლინი?

- არ ვი, არა, -- ჰკვნესის ხათუთა. - გამაგებინიდი, ვინ არიან.

- არც ის იცი, რა არის ბურჟუაზია, პროლეტარიატი, კაპი-ტალიზმი, იმპერიალიზმი, ფუტურიზმი, სიონიზმი, ერთად-ერთი იზმი მაინც ან აცია?

- არ ვიცი, არა! ბეჩავ ქალი ორ, ბეჩავი. ამიხსნიდი, გამაგე-ბინიდი.

- ნუ, ხათუთავ, ნუ! ღმერთმა დაგიფაროს, ღმერთმა! ცუცქია იზმებით და აციებით გაიტენა, მაგრამ ვინ რა მოიგო იმის ცოდ-ნით, რომ შენ მოიგო?

- მითხარ, ბეჩავ, მითხარ. - მეხვეწება ხათუთი

- ნუ, ხათუთი, ნუ. ვერ გაიგებ. არც საჭირო.

- კა, არ მინდარის.

ოღონდაც, ოღონდაც! შენ რაღად უნდა გასწავლო, რაკი მო თვითონვე ვმარგლავ ჩემს ტვინს იზმებისგან და აციებისგან.

დღეში რამდენიმე იზმური სიტყვა მავიწყდება

მადლობა უფალსა!

საცაა საბოლოოდ გავწიკლაურდები!

თავი მეშვიდე

დეიდა მაიკოს არ უნდოდა ქალაქში დაბრუნებულიყო სანამ "ჭრიჭინა¨ ცუცქიაზე ჯვარს არ დავიწერდი. მაიკოს სამოქალაქო ცოლ-ქმრობისა არაფერი არა სჯერა. ცუცქია კი ცხარე უარზეა:

- ოჩენ ნადო!

დღეს თუ ხვალ ქალების კლუბი უნდა დააარსოს, სადაც მამაკაცის "ნაგაც¨-კი - ფეხიც არ იქნება. მე კი ჯვრის-წერა ამიჩემებია!

- ოჩენ ნადო! ნე სმეი!

ცუცქიას მოღვაწეობა შეთქმულებას ჰგავს დღე არ გავა, რომ ქალების კრებაზე არ წავიდეს. იქ რაღაც საშინელს გვიმზადებენ მამაკაცებს.

- ვოტ უვიდიშ! უვიდიშ! დაიცადეთ, ნახავთ! გაიგებთ!

ჯერ კი ცუცქიამ ჩემს კისერზე განახორციელა თავის პროგრამა.

მე ჩემს ოთახში ვმუშაობ. მეორე ოთახიდან ცუცქიას ჭრიჭინი და სტუმრების ხმაურობა მესმის.

- ცუცქი, - ვეუბნები ჩემს ცოლს, - ის კლუბი ჩემს ბინაზე გახსენით. მამაკაცები მაინც აღარ ივლიან, დედაკაცებს კი როგორმე მოვინელებ.

ცუცქიამ იფეთქა: კმარა! ის დრო წავიდა, როცა ქმარი ტირანი

იყო ოჯახში! დროა შევიგნო, რომ ცოლსაც აქვს ,პოლნი პრავო¨. თავის ოთახში თავისუფლად იცხოვროს.

- აკი ამბობდი, ცუცქი, ჩვენს კლუბში მამაკაცების "ნაგაც¨ კი არ იქნებაო. აქ კი...

მართალია, ამბობდა, მაგრამ მამაკაცები ცუცქიას ჯერჯეროზით ჰშველიან - პაკა პამაგაიუტ.

- კოლია დღედაღამ დაგდევს.

- კოლია ჩემი ბიძაშვილია - მოი ბრატ.

- კეთილი. მაშ მეც მოვიყვან ამოდენა სტუმრებს, დებს და სხვაგანაც ვივლი.

- მოიყვანე, იარე! ოჩენ ნადო!

ცუცქია ჩემი მოლარეა. ჯამაგირს უკლებლივ ვაბარებ. რამოდენიმე დღის შემდეგ კი ისევ ერთიდაიგივე მესმის:

- ფული აღარ არის. დავაი! - მოიტა!

- ქალო, სად დახარჯე ხუთმეტი თუმანი?

- დაიხარჯა. ოჯახია, რასხოდია, ხარჯია. დავაი!

ერთხელ გადავწყვიტე: ამიერიღან მო თვითონ დავხარჯავ მეთ-ქი ცუცქი აწრიპინდა:

- მაშ ეგრეა საქმე? ნე ვერიშ, და? ნე ვერიშ?

ჯერ გაკაპასდა. მე ტირანი ვარ, ნამდვილი ტირანი! შეიბღალა თანასწორობა!

მაშ კარგი. ცუცქია ისევ სამსახურში შევა და "ნაშპილკი"-ს ფულს თვითონვე იშოვნის.

მერმე გამებუტა და საბოტაჟის გზას დაადგა.

სამსახურში, რა თქმა უნდა. არ შევიდა. დოქებს პირი მოხსნა და ბინა ცრემლით ამივსო. მე ცრემლის გუბეს თუმნიანებით ვაშრობ. ახალი წესი ნელნელა მოინელა. კვირა არ გავა, რომ მუხ-ლებზე არ ამაცოცდეს და არ აჭიკჭიკდეს:

- ზნაეშ, ელიზ, ერთი პრეკრასნი შლიაპა იყიდება.

ხუთი თუმანი მაინცა ღირს, მაგრამ ცუცქიას ხათრით სამ თუმ-ნად იძლევიან.

ფეხსაცმელს მხოლოდ ლაკისას ყიდულობს, მაგრამ თითქო ქაღალდისას უკერავენო, თვეში ერთი წყვილი მაინც უცვდება. ჯიბის ფულად დღეში ხუთი მანეთი მაინც სჭირდება. ჩემი სახელი უფრო ადვილად დამავიწყდება, ვიდრე კოტი, უბიგანი, ლორიგა-ნი, ვიქტორია, დოზანა და ჯანდაბა!

ცუცქია ხომ არ მღალატობს? ნიშანი არ მოსჩანს. ან ვინ იცის, ვინ გაიგებს! ბიძაშვილები ნელნელა შემოეფანტნენ, ალბათ იმი-ტომ, რომ ცუცქიას საკენკი ფული გამოელია.

ეხლა ჩემი ცოლი წინანდელზე მეტს დარბის. მგონი მოსამსა-ხურე ქალები - მხოლოდ რეგისტრატორები და საქმ|ს მწარმო-მოებელნი ცალკე კავშირს აარსებენ. ექიმი ქალებიც ჯგუფდებიან.

რატომ არა?! თუ მწერალი ქალები გაითიშნენ, სხვებმა რაღა დააშავეს?

იმ დღეს ჩემი სიხარულის დღე იყო: ცუცქიამ შემომტირა, ორ-სულად ვარო, ვაჟი მეყოლებაო. თუნდ ქალიც იყოს (ოღონდ ცუცქიას ნუ დაემსგავსება).

მაგრამ ჩემი სიხარული მალე განელდა. იმ დღიდან ცუცქია ჰკვნესის. ოხრავს, წრიპინებს, იცრემლება და მხოლოდ თავის სიკვ-დილზე ლაპარაკობს. არ შეუძლიან ცუცქიას მშობიარობა, არა! ვერ აიტანს, ვერა! უეჭველად თან გადაჰყვება შვილს, უეჭველად! ცუცქიამ მრავალი მაგალითი იცის:

- შარშან ვერაზე ვიღაც მშობიარე მოკვდა. უმერლა... ამას წინათ ქუთაისშიც მოკვდა...

მე და ექიმი ვარწმუნებთ, მაგალითებს ათასობით ვასახელებთ ცუცქია კი ისევ თავისას გაჰკივის:

- მოვკვდები! - უმრუ! უმრუ!

ერთხელ ლოგინში დამიხვდა. ქურდი ფინიასავით გამიღიმა და წამჩურჩულა:

- პოზდრავ, -- მომილოცე! აღარ მოვკვდები.

არ მოკვდება, რადგან შვილი აღარ. ეყოლება. მოიშორა. მორჩა, გათავდა! ამიერიდან ცუცქია ფრთხილად იქნება!

- მაშ შვილი აღარ გვეყოლება, ცუცქი?

- ოჩენ ნადო!

* *

- ხათუთი, ტირილი გიყვარს?

ხათუთა იცინის:

- ტირილ რა საყვარელი ას?

- უკანასკნელად როდის იტირე?

ჩემი წაწალი თითებზე ანგარიშობს

- სამ წელიწად იქნების.

- ხათუთი, იცი რა არის ცოლ-ქმარის თანასწორობა?

- მწ! არ ვი. რაი ას, გამაგებინიდი.

მე ვაგებინებ: ქმარი რომ შინ იჯდეს და ცოლი კი გარეთ დადიოდეს. ქმარი ფულს შოულობდეს, ცოლი კი ჰფლანგავდეს. ქმარი უნჯობდეს, ცოლი კი არშიყობდეს. ქმარს არ ეცალოს, ცოლი კი ოჯახს

ყოველ დღე სტუმრებით უვსებდეს და ქმარს სტუმრის შერჩევასაც არ ეკითხებოდეს. პაპიროსს სწევდეს, ორ ოთახსაც ვერ ალაგებდეს, საჭმელს ვერ ამზადებდეს, დახეულს ვერ აკერებდეს და დილით-დილამდე ჩაგკირკიტებდეს. ¨ფული მოიტა, ფული! დავაი, დავაი!!¨

ხათუთა ხითხითებს.

- სად არიან ეგეთა ცოლები?

- ქალაქში, ხათუთი, ქალაქში, ასეთი ცოლებით გაივსო ქალაქი.

- დასანგრევია ას ქალაქი, დასანგრევ! სხვებიც უბნობივ: ქალაქელ ქალმ სირცხვილ აღარ იცისავ. წელიწადჩი სამჯერ გათხოვდებისაა. აღარც შვილი ეყოლებისავ.

- ხათუთი. შენ რომ გათხოვდე და დაორსულდე, მუცელს წაიხდენ?

- აბაიმე, ვაჟიკავ, რა საკითხავი ას - უკვირს თუთას.
- მეშვიდეჯერ რომ დაორსულდე, ან მეათეჯერ?
- რამდენსაც გავუძლებ, იმთვენი მეყოლების. დიაცი ამისთვი ას გაჩენილი.
- ხათუთი, მოდი გაკოცო. მიყვარხარ ჩემო ყველავ, მიყვარ-ხარ... შენ კი, ხათუთი, შენც გიყვარვარ? მართლა გიყვარვარ?
- მიყვარხარ, ვაჟიკავ, მიყვარხარ.
- აბა მაჩვენე, როგორ?
ხათუთას ტუჩები სულს მიგუბავს და მისი მკლავები ნეკნებს მიზნექავს.
- მაშ დაგლიშნავ, ხათუთი.
- წეს არ ას, ვაჟიკავ, წეს. ჩვენი კანოლი სხვა ას. სხვა მეთქი
- შევაცვლევინებ მეთქი. მაშინ? ხომ თანახმა იქნები?
ხათუთა პასუხს აღარ მაძლევს მისი მძლავრი მკლავები რკინის სალტესავით მიჭერს და ყოველ სასიყვარულო სონეტს სნობია.

* *

გუშინ დიდი ამბავი მოხდა: წიკლაურებმა გამაწიკლაურეს. მგელიკას და თოთიას ოჯახებმა მიშვილეს ნანუკას, იამზეს და მზე-ქალას ძუძუებზე ტილი დავადგი.
ჯერი ხათუთაზე მიდგა. აილანძა. აირია და გაქცევა დააპირა. წი-ქამ დაიჭირა და დააბრუნა. ხათუთა მაშტერდება, რაღაც უკვირს და ოვალებით რაღაცას მეკითხება. მე ხმას არ ვიღებ და მორცხვად ვიღიმები.
- რისა გრცხვენიან. ქალავ? -- ეკითხება ნანუკა და ღილებს უხსნის.

და ხათუთას განიერი მკერდიდან გაფცვნილი ნესვი ჩამოეკი-და, - ჩრდილის მხრით მუქი ხორბლის ფერისა, ხოლო ჭრაქის-კენ - მოწითალო მარმაროსი. და იმ ძუძუს ზევიდან ორი თვალი დასცქერის, ორი შავი მინის ბუშტი, შიგნიდან ნელი შუქით განა-თებული.
ხათუთა მელოდება. მე ვყოყმანობ. მერმე მტკიცედ ვაცხადებ:
- არ მინდა... მე არ მინდა.
გაფცვნილი ნესვი უმალვე უბეში იმალება. თავჩაღუნული ხა-თუთა გარეთ გარბის, მე კი კიბეს ვაჭრაჭუნებ და ბანზე ავდივარ.
ხათუთა მიმიხვდა. სხვებმა კი... ალბათ სხვებმაც გაიგეს.
დღეს გომურში შევიხედე. ბოსელში ყოფილა ბუხარი. იმ ბუხ-რის თავზე სამი გამხმარი ხელი ეკიდა.

* *

ღმერთო დიდებულო! ნამდვილი სამოთხე აქ ყოფილა, შენ კი ბედნიერებას და საუკუნო მშვიდობას მანდ მპირდები.

ისევ ბანზე მძინავს, - ხან თოთიას ბანზე, ხან ჯურხასთან. სადაც მე ვარ, ხათუთაც იქ არის.

ღამით სადმე ტურა დაიჩხავლებს, ან აფთარი აგოდდება, ან მგელი დაიღმუვლებს. სოფელი აიშლება და აფუსფუსდება. ძაღლებიც ისე აყეფდებიან და დაყმუვდებიან, თითქო განკითხვის დღე მოვიდაო. სადმე თოფი გავარდება. აქეთ-იქიდან რაღაცას დაიკივლებენ, და ხევსურული კიჟინი და შემახილი ცაში ავარდება. მერმე ნელნელა ყოველივე დალაგდება და სოფელიც მიყუჩდება.

რიჟრაჟზე ვიღვიძებ. ათასი ძროხა და ხარი ბღავილით გადის სოფლიდან და უღრან ტყეში ინთქმის. ძაღლები და მენახირენი მხიარული წკმუტუნით და კივილით მისდევენ.

ტყე აქვე იწყება. იქაც ალიაქოთია. ისმის ფრინველთა ჟივილი, ჭიკჭიკი, ღრუნტული და ხივილი. ცაზე არწივი გამოჩნდება. აგერ ძერაც გამოდის. ქორი ქვასავით ეშვება მიწისკენ.

ჯერ სადმე სახლის თავზე ცისფერი ბოლი აიშოტება. მერმე სუფთა ცაში ოციოდე ლურჯი სვეტი აიბოძება.

თოთიას სახლი მაღლობზე სდგას. იქიდან ხათუთა გამოდის, მხარზე ხის კოკა უდგას. მიღიმის და ხელს მიქნევს. აი მზექალაც წავიდა. აგერ შუქიაც გამოჩნდა. აჰა ლელაც მორბის, თუთაც, კმარაც, თიაც, ძილაც, მზევინარიც, ქალთამზეც, მოქრისიც და ხოშექაც.

წყარო აქვეა - გაყინული და აქაური ჰაერივით სუფთა.

- გამარჯვება ქალაებო!

- ღმერთმ გაგიმარჯოს, ვაჟიკავ ღმერთმ!

--- სწორფერმ წუხელ რახელ გარგო, ვაჟიკავ?-იკბინება შუქია.

სხვები ხითხითებენ. თავჩაღუნული ხათუთა თითქმის მირბის.

მოქრისი ქვეიდან შაირს მესვრის:

ხათუთაის საწყალ გული
მინდორთ გახქრის ქარივითა,
უცოლოის მამის გული
იწურება მხალივითა.

ხათუთა შესდგა და, პირ-მიბრუნებული, ყურს გვიგდებდა.

ქალთამზე შაირს აგრეძელებს:

ხთუთ დედას ეუბნების:
¨გათხოვის ხან მამივიდა¨.

მზევინარი შემომცინის და ამთავრებს:

¨გამათხოვე დედაჩემო,
თორემ ხან-დრო წამივიდა¨.

ხითხითი კისკისად გადაიქცა. ხათუთა უცებ მობრუნდა და შემომაძახა:

მე თუ არ მწადის, ვაჟიკავ,
ვერ გამათხოვებთ ძალადა.
ნუ მადის შუა კაცები,
არვინ მაუშოთ კარადა!
გაიგით, ჩვენო ქალებო,
ხევსურ არ მინდა ქმარადა!
წამიყონს ვაჟი ვაჟიკა
ხევსურთ შვილების ჯაბრადა!

ხათუთა მირბის. უკნიდან ხარხარი მისდევს.

- რააღ წაგიყონს? - ეძახის ხოშექა. - ვაჟიკა სწორფერს ვერ წაიყონს, ვერა!

- წეს არას, არა! - ესვრის მოქრისიც.

- მშვიდობით, ვაჟიკავ, მშვიდობით! - ამომძახიან ქალები და შერცხვენილ ხათუთას სირბილ-სიცილით მისდევენ.

ჯურხა არაყსა და ლუღს მასმევს. მზექალა ხორცეულს, ნაღებს, ქადას და ერბოს მაჭმევს. მერმე ჩემი ძმად-ნაფიცი სამუშაოდ მიდის მე კი ტყეში ვიკარგები. ვიცი სადაც არის ნახირი, წყარო, მარწყვი, დიყი, ძირტკბილა და ლამაზი ყვავილები.

ზოგჯერ ცულს წავიღებ და შეშას ვამზადებ. ხელები უკვე მაკოჟიჟდება. ზოგჯერ მენახირეებს ვეწვევი და ზღაპარს ვათქმევინებ. მეასეჯერ მესმის შიშნია ბალახურისძე, წიქა ალუდაური, ზუ-

.

რაბ ერისთავი, სისხლის წვიმები, ერეკლე და კრწანისი, კუდიანები და მეჯალაფენი. მაძახურები და ოჩოპინტები.

მერმე მეც ვუამბობ ჩვენებურს: რადიო და წყალქვეშა, ჰაეროპლანი და ელექტრონი, დრედნოუტი და რენტგენი.

ხევსურები პირღია შოშიებივით მიყურებენ და იცინიან

არა სჯერათ ჩემი ნაუბარი.

არც საჭიროა!

შუადღე რომ მოატანს, ჩემს წიფელს მოვძებნი, ნაბადზე გავიშოტები და თვალებს მივლულავ. სანამ ხათუთა მოვიდოდეს, არც კი შევინძრევი.

ცხადია, სასიცოცხლო ნიშატი მემატება. დაკარგული გუმანი და მიმქრალი ხალისი დღითი-დღე მიბრუნდება. მიბნედილი ვწევარ და ნათლად ვგრძნობ, რომ თანდათან რაღაც იდუმალი ძალით ვიტენები, ვივსები, ვფუვდები. თითქოს ათასი უხილავი მილი მებას და იმ მილებით ჩემს სულსა და სხეულში თვითონ ბუნება გადმოდიოდეს, როგორც ყურძნის წვენი საქაჯავიდან. - ბუნება პირვანდელი პირვანდელთა შორის, დასაბამთა დასაბამი, მძლეთა-მძლე, აღსავსე ბრმა სიხარულით, ამქვეყნიური ამოებით, მთრთოლვარე ხალისით და ადუღებული ნიშატით.

ჰაერი ფუსფუსებს. უღრანი ტყე იდუმალს რამეს შიშინებს. ჩემი წიფელი მთვრალივით ბუტბუტებს. ზედ ციყვი ჩამიჩუმობს. ხევში წყალი ჩიფჩიფებს, - თითქო ვაჟი ქალს ეჩურჩულებაო. ცაში არწივი ბიბინებს. სადღაც ძროხა ბღავის. ქვეით კვიცი ჭიხვინებს. გაღმა ნიავი ყანას ქოჩორს უვარცხნის.

ნამდვილ უდაბნოში ვარ: არც ხელისუფლება, არც მანქანა, არც გადასახადი, არც ადგილკომი. არც ელექტრონი, არც კომკავშირი არც ბინის კრიზისი მაწუხებს, არც პროფკავშირის გადასახადი. წყალსადენი არ მიფუჭდება და ელექტრონიც არ მიქრება. მილიციელი არ მიბღვერის და დღეში ხუთ კანონს არ ვიზეპირებ. აღარც გაზეთს ვკითხულობ, აღარც მე მკითხულობენ. აღარც ვიცი, რა არის ინდექსი, ვინ მღერის ოპერაში, რა სთქვა ჩიკინჯალაძემ, ვინ რამდენი გაჰფლანგა, ჯამაგირს როდის დაგვირიგებენ, ვისი ბინა გასტეხეს, ან წუხელის ვინ დაიხრჩო თავი. აღარც წითელ ფერს ვხედავ, აღარც თეთრი მახსოვს. ვხედავ მხოლოდ მწვანეს, ვცხოვრობ ფარსმან მეფის დროს, ვსვამ იამზეს არაყს, ვჭამ მზექალას ხინკლებს, ვეწევი მყრალ ყალივანს, ყურს ვუგდებ ჯურხას თეიმურაზიანს და ლოთივით ვთვრები ხათუთას წითელი ტუჩებით.

დანარჩენი დროს გავატანე და დროც დავიწყებას გავაყოლე.

- მავას! - ბურტყუნებს ზოგჯერ მგელიკა.

- მავას! - მეც ვუდასტურებ ცალი ყბით.

- აგრე! - მამხნევებს ძმადნაფიცი - მაოს!

მართლა, რომელი თვე გათავდა? რომელი დაიწყო?

ამაღლება დიდი ხანია გავიდა. ივლისია თუ აგვისტო? ხევისბერი რომ მოკვდეს, მაშინ წელიწადსაც დავკარგავთ!

არც ვინანებთ. "კისერიმც მაუტეხივ¨!.

წიფელი ერთ ალაგას გარანდულია. ზედ ლექსი სწერია:

გამავედ ვერძის ტყის გორა
ქალავ, მაგავლებ თვალსაო.

კარგი ხარ, ჩემო ხათუთავ,
ამხლა დაგწერ ჯვარსო. -

იქვე წავაწერე: "ხათუთა ჩემია, ჩემი ხელნადებია! ხელი აიღეთ, თორე...¨ - და ნაბადზე გავიშოტე.

- გუშინ რას ეთელებოდით შენ და შუქიაი? - მეხუთეჯერ მეკითხება ხათუთა.

ობლური ღიმილით ვიღიმები და ვდუმვარ. ხათუთა ოხრავს. მე კი ხევსურული ძროხები მაგონდება, რომელნიც, წვიმის მოლოდინში ხათუთასავით ოხრავენ.

ციდან არწივი გვითვალთვალებს. ციყვი იკრიჭება. ლომა იზმოოება.

ხათუთამ მოღრუბლული თავი მკერდზე ჩამოიკიდა, წამოდგა და წავიდა.

ოჰ, ხათუთი, ჩემო ხათუთავ! არც კი იცი, რომ ჩემი სული შენში გადმოსახლდა.

არც საჭიროა რომ იცოდე. როცა საბოლოოდ გავწიკლაურდები, მაშინღა გაიგებ ყველაფერს.

თავი მერვე

მამაჩემი მიწას მოსწყდა და ქალაქს მიეკედლა. მეც მიწა ვიყავი და ისევ მიწას დავუბრუნდი ქალაქმა, ომებმა და რევოლუციის ქარიშხალმა ბუმბულივით მაბორიალებს და ბოლოს ამ ბუნაგში ამომაგდეს.

იმ ქვეყანამ, რომელიც მე, ჯურხა, თოთია და მათი ჯალაბნი მოვსწყდით, ვერ მოგვინელა და უკანვე გადმოგვანთხია. ვერც ჩვენ მოვინელეთ და საიდანაც დავიწყეთ, ისევ მასვე დავუბრუნდით - მიწას, ბუნებას, ჯურხაანთ-კარს!

ჩემს ფიც-ნაჭამ ძმას ისიც კი არ ეტყობა, რომ ოდესმე თელავში ყოფილიყო, თორემ ტფილისში ყოფნას და ევროპულ განათლებას ვინ დაუჯერებს! დღევანდვლი კულტურა ქალაქის მტვერივით ჩამოირეცხა.

ქალაქი ჯურხას უწმინდურივით სძულს და ეზიზღება. იტყვის ხოლმე:

-- ჩვენ ჭუჭყი გარედან გვაცხია, ქალაქელს კი შიგნით აქვ, სრუ მუდამ იმას გონობენ, ვინ მოვატყუვავ, ჩვენ ჯანსაღნი დომნი ორთ, თქვენ კი დამპალნი ეშმანი ხართ და სულიც და ხორციც დამპალი გაქვთ.

- აგრეა, მართალია. - ნიშნის მოგებით ვუდასტურებ ძმადნა-ფიცს.

- ქალაქელი ხელმრუდეა, ჯიბგირია, ქურდია, ვერაგი, მთანი კი არც ქურდობაა და არც მოღორებაა.

- ჭეშმარიტებაა, ჯურხავ! სრული სიმართლეა!

- ჩვენ ბატონყმობა არა გვქონივ, სრუ მუდამ თავისუფლების-თვის ვომობდით და ეხლაც თავისუფალნი ორთ, თქვენ კი უბატო-ნოდ არც წინავ გიცხოვრიათ და ეხლაც წითელ უღელჩი ღბიხართ.

- აგრეა, აგრე! მეც მაგ უღელს გამოვექეცი.

მართალი უთქომ ვაჟას: თქვენთან სიცოცხლეს ბარჩია, სიკვდი-ლი მიჯობ მთაჩია.

- აგრეა! მართალია!

ჯურხა გახარებულია. ინჟინერი ვარ და, "როცა ის დრო მავას¨, სევსურებს მარჯვენა ხელივით გამოვადგები.

გამოვადგები, ჯერ კი უკანუკან მივდივარ და ლამის ქართლოს-საც კი გავუსწრო.

მეც ამ გზით მივდივარ, მივრბივარ, მივქრი!

უკვე ერთი ციდა წვერი გამეზარდა. ჩემი სავარცხელი და კბი-ლის საწმენდი ხათუთას ვაჩუქე და მას შემდეგ ხელშიც აღარ ამი-ღია სავარცხელს ისევ ხათუთას ხელში ვხედავ, კბილის საწმენდით კი ჯურხა და წიქა აბჯარ-საჭურველს ჰფერავვნ.

. ამას წინათ გულმავიწყობამ მათქმევინა:

- ხათუთი, საპონი მათხოვე.

საპონი?.. საპნის ფერიც დამცილდა, დამავიწყდა. - და საპნის მაგიერ სიპი ქვა მომაწოდა.

ვითომ რაო თუნდ სიპი ქვა იყოს, თუნდ ესეც ნუ იქნება!

მზექალას ჩემი პერანგი მივეცი:

- მზექალაო, შენი ბალღისთვის გამოგადგება, საცვალი შეუკე-რე, თორემ ცოდოა, შალი კანს უხეხავს.

მზექალამ გაიცინა. პერანგი აიღო, მაგრამ საკვალი არ შეუკერა:

- ცოდვა ას, შაეჩვევის და მემრ გაუძნელდების შალის ჩაცმაი.

ერთი მარცხიც მომივიდა. თან ათიოდე კოლოფი წუმწუმა მომ-ყვა, რომ გამითავდა, ჯურხას ხელი გავუწოდე:

- ჯურხა, ასანთი მომეცი.

- რომელ ასანთ, სპიჩკაი?

ოხო-ხო! რა ხუმარა ვყოფილვარ! ქალაქურ ჩვეულებას ჯერაც ვერ გადავეჩვიე? ხათუთას ნაჩუქარ ქისაში ჯურხამ აბედი და ტალ-კვესი ჩამიწყო და დამარიგა:

- აბედ-მაკიდებულ ყალივანს სხვა გემო აქო, კა გემო აქვ.

მეცა მჯერა. "ყალივანი¨ მეც ჯურხასავით საყელოში მაქვს ჩარჭობილი, ხოლო ქისა - ბრტყელ ქამარში, რომელიც წიქამ ხარის ტყავისაგან გამომიჭრა.

ნურავინ შემედავება: ალუბლის "ყალივან¨ ინგლისურს სჯობია. ხოლო ხათუთას ხელით მოყვანილი ხელის-სიბრტყე თამბაქო სამსუნის დუბეკს მირჩევნიან.

ყალიონის მოწევაც ჯურხასაგან ვისწავლე. დინჯად, გარინდულად, დალაგებით. მადით და ტკეპნით ვეწევი. ნაცარს ფეხის ცხვირზე გამოვყრი, ცეცხლს ხელის გულით ავიღებ, ყალიონზე დავდებ და ნეკით გავასწორებ. თითები ხშირად მეწვის, მაგრამ ტკივილის შემჩნევა "მცხვენისავ¨. ბოლს რომ გამოვუშვებ, თან მივაყოლებ:

--- მპა! რა კა გემო აქს!

დროგამოშვებით ჯურხასავით ვიწიტები: შეკრული კბილებიდან დუჟს გამოვასხავ, -

- წიტ! -

და ტუჩებს ხელით მოვიწმენდავ.

ქალაქიდან ჰუტეს სახელმძღვანელო წიგნი წამოვიღე. ყალიონი რომ მოგვბეზრდება, თითო ფურცელს გამოვხევთ და პაპიროსის ქაღალდად ვხმარობთ ხოლმე.

ქალაქურ-ლიტერატურული სიტყვებიც მეკარგება. პოლიტიკურ-მეცნიერული, ლექსიკონიც ბოლივით გამეფანტა. სამაგივროდ დღეში სამიოდეს ხევსურულ სიტყვას ვკრეფავ და ვამბობ ხოლმე:

- ხუთ ძროხაი ას. - ჯურხას სტუმარი ხყავ. -- ხათუთი, ხედავა? - ჯურხავ, აქა ორ, აქ! -- მზექალავ, არა გრცხვენისა? - ჩვენ მამ-პაპან ამაგაჩი მადიოდეს, უფრო ჩვენზედ კაად სცოდნივ სრუ ყველანი, -- უქმიც და საქმიც.

ჯურხა "ნამდვილ ქართულს¨ მასწავლის და ყველას არწმუნებს,

რომ ექვს თვეში არხვატელი ხევსურისგან ვეღარავინ გამარჩევს. სხვებზე მეტად ეს ამბავი ხათუთას უხარიან:

- ჩემი საქმრო ხევსური ას, ხევსური. ქალაქის სუნ ქოოდ აღარ აქვის.

სუნზე გამახსენდა: პირველ ხანებში ხევსურული სიმყრალე მახრჩობდა. ხათუთასაც თვისი სუნი ჰქონდა: ერთად არეული დამძაღებული კომბოსტო, დამპალი ქონი, ძმარი, მუშკი და ხარდალი. მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალი ყოფილა - ხათუთას სუნიც და ტყავის სიმყრალეც. ყნოსვა ნელნელა დამიჩლუნგდა და მხოლოდ რამდენიმე სუნის გარჩევის. უნარიღა შემრჩა: რძის, ციკნის,

არყის, მოხრაკული დუმისა და ხათუთას ტანისა, რომელსაც ეხლა დამდნარი ფიჭვის სუნი და მათრობელა ოხშივარი ასდის. მგონი რძით და ერბოთი იზელავს ტანს. ის კი ვიცი, რომ ძროხის შარდით იბანს თმას. ამიტომ გადაჰკრავს იმის დალალებს მუქი სპილენძის ფერი.

ერთი რამეც გავიგე: სიყვარულმა ჭუჭყის ზიზღი და სუნის ხამუში არ იცის!

უწინ რწყილიც მაწუხებდა. არ ვიცი რომელი უფრო მეტია ხევსურულ ლოგინში, ცხვრის ბეწვი თუ ეს მკბენარი? ეხლა კი ამასაც ველარ ვარჩევ.

ჯერ საწოლში საცვლებით ვწვებოდი. წაწლობამ გამახდევინა, რადგან ხათუთა შიშველად წაწლობდა. მერმე ხათუთამ და ჯურხამ მასხარადაც ამიგდეს. მეც დავრწმუნდი, რომ ხევსურეთში სიტყვა "საცვალიცა არ სცოდნიათ.

ჩემი საცვალიც ხათუთამ თავისებურად გამოიყენა: ზოგი დასჭრა და თახჩებს ჩამოაფარა, ზოგი კი ჭრილობების შესახვევად დალაქ-დოსტაქარმა წაიღო.

თანდათან სოფლურ შრომასაც შევეჩვიე. ჯერ შინ დავტრიალდი: ცეცხლი ავანთე, ქვაბები გავრეცხე და ცოცხსაც კი მოვკიდე ხელი.

ქალუკები ჯერ ხითხითებდნენ, მერმე ხათუთამ შემარცხვინა:

- ვაჟიკავ, არ გცხვენისა! სოფელმ რო შაიტყვას, სიცილ მართავს. რა ვაჟკაცის საქმეი ას ცოცხი!

ჯურხას გავყევი და მამაკაცის საქმეს მივაგენი: აბჯარ-საჭურველის წმენდა, ნადირობა, შუღლი, ომი, სამზადისი, ყალივანი, ლექსის გამოჭრა, ლუდი, ღრეობა, ფარიკაობა და... ზოგჯერ მიწის აჩიჩქნაც. მძიმე საქმე კი ქალებს დავუტოვეთ.

მგელიკა ჩვენს ოჯახზე კრუხივით ზის, ჯურხა კი წიწილებს გარშემო უვლის.

* *

ერთხელ ჩემს ცოლს თუ ნაცოლარს ვუთხარი:

- ცუცქი, ეხლა კი მესმის, რათ დაგანების თავი შენმა წინანდელმა ქმრებმა. -

მისი წრიპინი მესამე სართულს ასწვდა. როგორ თუ თავი დაანებეს! ტყუილია! ტყუილი! ქმრებმა კი არა, ცუცქიამ დაანება თავი, ცუცქიამ! თუ ასე მგონია, თუ მასთან ცხოვრება მეძნელება, თავისუფალი ვარ:

- აი შენი ქუდი და აგერ ღია კარიც. ოჩენ ნადო! პაჟალუსტა!

მიბრძანდი! უხადი, უხადი!

მაშ ესე: ცუცქია მანთავისუფლებს ნება მეძლევა ქუდი დავიხურო და წავიდე.

- ჩემი საცვალი და წიგნები? - ვეკითხები ღიმილით.

- პაჟალუსტა! ოჩენ ნადო!

- ეს ავეჯი?

- ვერ მოგართვი!

ვერ მომართმევს, რადგან ცუცქია სრულუფლებიანი წევრია ჩემი ოჯახის. ნემსიც არ შემოუტანია, მაგრამ --

- ნე ტე ვრემენა, გალუბჩიკ! წავიდა ის დრო, წავიდა! ოღონდაც, ოღონდაც, რომ წავიდა!

წადილმა გამკაწრა: ცუცქიას მუთაქასავით ამოვიჩრი იღლიაში და კიბეზე დავდებ მეთქი. იჯდეს და იტიროს. თუ არ ეტირება, ან კატასავით იჩხავლოს, ან მობეზრებული "ნანაა იმღეროს.

მაგრამ მე დაღლილი სიცილით მეცინება. ისიც კი მეზარება რომ ცუცქია კიბეზე გავიტანო. მრცხვენია კიდევაც. კივილ-სირბილით მთელ ქალაქს შემიყრის:

- ელიზბარი ტირანია! }ალათია!... დესპოტია!.. ჰარამხანისტია!

იმაზე კი ხმასაც არავინ არ ამოიღებს, რომ თვითონ ცუცქია მაწამებს, ტკიპივით მწუწნის, უსაქმობით იწეწება და ოჯახში ჰარამხანას მიჩენს, მერმე წაღი და სდიე! ფეხდაფეხ მიჰყევი და ქვეყანას უმტკიცე, რომ ცუცქია სტყუის, უღვთოდ სტყუის! მერმე უნდა სამართალში გაჰყვე, საქვეყნოდ გადმოშალო შინაური ჭუჭყი და უცილობლად დაამტკიცო, რომ ის ბავშვი, სადღაც რომ იზრდება, შენი ნახელავი არ არის.

* *

ცუცქიას დეიდაშვილი ჰყავს. ვინმე ელპიტია ჰქვიან. ჩემს თანამშრომელს მელიტონ ბუნჩიძეს მემანქანედ ჰყავდა. მელიტონმა ელპიტია დაითხოვა.

ერთი თვე გავიდა. მელიტონს სასამართლოში იბარებენ.

- რა ამბავია, მელიტონ? - ვეკითხებით.

რაღა რა ამბავია, იღუპება მელიტონი! ელპიტია უჩივის: შემაცდინა, შვილი გამიჩინა და დამითხოვაო.

ეს ამბავი დავიწყებას მივეცით, საქმე კი თურმე თავის გზით მიდიოდა.

ცუცქია შევირთე. სამსახურს თავი დაანება. რამდენიმე თვე გავიდა. ერთხელ მელიტონი დამეტაკა:

- ელიზბარ, სირცხვილი შენს ცოლს, სირცხვილი!

--- როგორ მიბედავ, მელიტონ!

მეც სირცხვილი, მეც! ცუცქია ელპიტეს მოწმედ გაჰყოლია! ჩემი ცოლი, ბაბულია, კოლია და კიდევ ვიღაც ტიელი თურმე ერთხმად იძახოდნენ სასამართლოში: "ეს ბავშვი მელიტონს ეკუთვნის, მელიტონს!- და საბუთებიც მოუტანიათ: ცუცქიამ თურმე მელიტონს და ელპიტეს რამდენჯერმე დაუთმო თავის ოთახი. ბაბულიამ უნებურად წაასწრო. კოლიამაც ნახა, რომ... ერთი სიტყვით, მოსახდენი მოხდა, მრავალჯერ მოხდა!

ელპიტეს შეხვეული ბავშვი მკერდზე უსვენია. ექსპერტები ორივეს გულმოდგინედ სინჯავენ - შვილსაც და მამასაც.

- ცხვირები ერთმანერთს მიუგავთ. - ბუტბუტებს ერთი.

- თვალებიც მამასია. - ჩურჩულებს მეორე.

- ტუჩებიც... ნიკაპიც... შუბლიც. - ადასტურებს მესამე.

ბავშვი ღნავის. მელიტონი ფითრდება. ელპიტია სტირის, გულში კი იცინის.

ბოლოს განაჩენიც გამოდის: "მიიღეს რა მხედველობაში... ვინაიდგან ექსპერტიზამ აღმოაჩინა, რომ... და რადგან მოწმენიც ადასტურებენ... დაადგინა: დაეკისროს მელიტონს ალიმენტის გადახდა ელპიტიას სასარგებლოდ შვილის გასაზრდელად - თვიურად სამი თუმანი.¨

- სირცხვილი ცუცქიას, სირცხვილი! -ბრაზით პყვირის მელიტონი.

ქუდმოგლეჯილი მივრბივარ შინისკენ.

- ქალო, როგორ იკადრე დღეს სასამართლოში ასეთი უმსგავსობა? - ვეკითხები ჩემს ცოლს.

ჩემი ყვირილი ქუჩაში ისმის. ცუცქია წრიპინებს, ვითომ რაო?! რა ჩაიდინა უკადრისი?!

- ოთახი, ოთახი როგორ დაუთმე, ოთახი?!

ოთახი რომ დაუთმო, მაშინ ჩემი ცოლი არ ყოფილა, გარდა ამისა, -

- ლюбишь кѣтѣться‌д люби и сѣночки во‌зить! საწყალი ქალი გააბრიყვა და მერე თავი ღაანკბა, განა! ნე პაზვოლიმ!

ვერა, ვერაფერი გავაგებინე! არც ზნეობა სწამს, არც მე მიწევს ანგარიშს, არც სხვისა სცხვენიან:

- ოჩენ ნადო! ნაპლევატ!

წავიდა ის დრო, გათავდა! ცუცქია თავისუფალია! როგორც ეპრიანება, ისე მოიქცევა!

- მე მელიტონს ვიცნობ, - ვესარჩლები მეგობარს, - ელპიტეს არ აჰყვებოდა.

იხი-ხი! რა ბეცები ვართ მამაკაცები! გვიცნობს ცუცქია, გვიცნობს! (ოღონდაც, ოღონდაც!). კაცმა რომ კაბა ჩაიცვა: ასნი მაინც დავედევნებით. ესეც რომ არ იყოს, მე რა ვიცი ამ საქმისა, რომ მელიტონს ვესარჩლები! განა ცუცქიმ უკეთ არ იცის, სად, რა და როგორ მოხდა?

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ცუცქია მაჭანკლობდა, ამიტომ ყოველივე ჩემზე უკეთ ეცოდინება. მაინც...

დრო მიდის. მელიტონი აღარ მელაპარაკება. ჩემს გულში რწმენა ფესვდება: აქ რაღაც ამბავია. მელიტონი უცოდველია. ნუ თუ? ნუ თუ?

ამ ამბავის დასასრულმა ერთი თვის შემდეგ დაიქუხა

მელიტონმა შემომითვალა: საქმე ხელმეორედ ირჩევა და მობრძანდიო. მეც წავედი,

ძველი ამბავი მეორდება: ელპიტე სტირის და საბანში გახვეულ ბავშვს გულში იკრავს. ბალღი ხელფეხს იქნევს და ღნავის. მელიტონი ეშმაკურად იღიმება.

მოწმენი პირვანდელ ჩვენებას იმეორებენ. ინტიმური წვრილმანი ბოხჩასავით იშლება. ელპიტე ცრემლით გვარწმუნებს და გვიამბობს - ყოველივეს, ყოველივეს! დ როგორ მოხდა... როგორ დაწვა... რა იგრძნო.

დარბაზი ჭუჭყიანი ხითხითით ივსება. პირსახეზე ალმური ამდის. ხან ვწითლდები, ხან ვფითრდები ცუცქია რომ ლაპარაკობს, თავი ლამის მუხლებში ჩავიდო. თითები ყურებში მაქვს დაცობილი.

უცებ ალანძული თავი ავიწიე. მოსამართლეთა წინაშე იეზიდ ბენოს ვხედავ - ჩვენს ბენოს. ეზოსკაცს ბენოს. დგას, კოჟოჟიან თითს ბავშვისკენ იშვერს და იღიმება:

- სამათა? ეს ბატარა? ჩემია, შენი ჩირი მე, ჩემი.

ელპიტეს თითქმის გული უღონდება. ბავშვი მუხლებიდან იატაკზე ჩაუგორდა. "ბატარა სამათა" გოჭივით ჭყვიტინებს. მისი მამა - ჩვენი ბენო, იეზიდი მეეზოვე - შვილს გაღეღილ მკერდზე იხუტებს და ამშვიდებს:

- ია-ი-ი, სამათ, ია-ი-ი... ია-ი-ი...

ბენოს ეკითხებიან, შენი შვილი ელპიტემ როგორ გაანაღდა თავის შვილადო?

- ჩონი ბარიშნა, - ამბობს ბენო და გაშეშებულ ცუცქიასაკენ იშვერს ხელს, - ეს ბარიშნა ბენოს გითხრა: ბენო, შენი შვილი

სამათა დოხტური უნდა აჩვენო. მე კარგი აქიმბაში ვისიო. ბენომ მიესი სამათა. სუსქიამ ჩემი სამათა დოხტურთან საიღო.

დარბაზი {ერ ხითხითებს, მერმე ხარხარებს.

ცუცქიას პასუხი უბრალოა: ელპიტე მისი მეგობარია. მეგობარმა დახმარება სთხოვა. ცუცქიაც დაეხმარა. ეს იყო და ეს! საწყალ ელპიტეს სხვებმაც ასე უშველეს.

- ელპიტე ობოლია, - ამბობს ცუცქია, - უპატრონოა, - ოჩენ ბედნი, ოჩენ!

მელიტონი მიღიმის. მე თაგვის სოროს ვეძებ. ელპიტეს, ცუცქიას და სხვა მოწმეებსაც სამართალში აძლევენ. უნდოდათ იქვე დაეპატიმრებინათ. ცუცქიას თავდებად დავუდექი და გამოვსხლტ.ი-

მეორე დღესვე სვანეთში წავედი ჯავარის საძებნელად, ნამდვილად კი ცოლს გავექეცი.

-- მე მივდივარ, ცუცქი.

-წადი.

- იქნება აღარ დავბრუნდე.

-- ოჩენ ნადო!

* *

დათვია შემხვდა და შემომიტია:

- უჯიშო! უჯილაგო! დამპალო! ნიავის საღვერაო! სად ას შენი დაშნა?!

არც დაშნა მქონდა, არც დანა, ამიტომ დათვიამ ზიზღით მომაწიტა და აბჯრიანი ზურგი მაჩვენა.

ჯურხამ რომ გაიგო, მეხივით დაიქუხა. მისი ხაფი-გრგვინვისგან და ლომური ბუხუნისგან სოფელს ზანზარი გაჰქონდა. უმალვე რკინა-ფოლადში ჩაჯდა და ზემო უბნისკენ გაიწია. ქვემო უბანმა აწყვეტილი ლომი ძლივს შეიმაგრა. "მაწევარ¨ მაინც გაუგზავნა და შეუთვალა:

-დათვიავ, ვაი დედი შენის ბრალი, თუ სადმე წაგაწყდივ! - წიკლაურთა გვარმა გლოვის ჰანგზე დაიგმინა და ძაძის იერი ჩაიცვა. იმ დღეს მათი ღიმილი აღარ დამინახია. ჯურხა ჰბორგაედა. წიქა იხერხებოდა, მგელიკა მგელივით ღმუოდა, თოთია ბურტყუნებდა. ზოლო დედკაცები იფხრიწებოდნენ და ისეთს მოსთქვამდნენ, თითქოს თითოს ექვსი შვილი მაინც დაუხოცესო.

ხათუთამ პირი მომარიდა და იმ ღამეს საწაწლოდ აღარ მოვიდა.

შერცხვა წიკლაურთა გვარი! შერცხვა და დაიღუპა! მათი ოჯახის წევრი -ჯურხას ძმად-ნაფიცი და თოთიას სიძე-ლაჩარი გამოდ-

გა! აღარავინ იმოყვრებს წიკლაურებს, არც არავინ მიეკარება! ტყუილ-უბრალოდ გაიბნა გვარის სახელი, ასი თაობისგან შეძენილი! უნაყოფოდ დაიღვარა არაბულის, ალდიმ გეეზისა და ბატირ მუტოს სისხლი! --

სოფლის ქალებმაც ამითვალისწუნეს: შუქიამ ლაჩრობის ლექსი გამომიცხო. მოქრისი მიბღვერის, ხოშექამ პირი მომარიდა, ხოლო მზევინარიმ ქვასავით მესროლა:

- ვაჟიკავ, შენი საქმ არა ას ხევსურობაი. გაიხადიდი ხევსურულ ტალავარი.

"კმარა! - დავიძახე მეორე დღეს გულში. - მეც ხევსური ვარ, ნამდვილი ხევსური! გაფრთხილდი, დათვიავ! შენც მერიდე, აპარეკავ!¨

და ძმად-ნაფიცს მივაძახე:

- ჰეი, ჯურხავ, მამეც ჯავშანი, ზუჩი, ფარი და დაშნა! მე ის არა ორ, ვინც გგონავ! მეც ხევსური ორ, ხევსური!

უცებ გამოიდარა. წიკლაურებს თითქო ექვსივე დახოცილი შვილი გაუცოცხლდათ. თოთიას და მგელიკას ოჯახებში კვლავ იმედი და ღიმილი დასახლდა. ჯურხა გადამეხვია. ხათუთამ ადგილი იხელთა და ცხელი კოცნა მაჩუქა.

ერთი რამე ვიცი: არც დათვიას დავვუვარდები ღონით, არც აპარეკას მოვერიდები, სიმარდით კი ამ სოფელში ყველას ვჯობნი. ჩემმა გიმნასტურმა ვარჯიშობამ, "შევარდენში¨ ყოფნამ და ჭიდაობამ ტყუილად არ ჩაიარა. ჯურხაანთ-კარში ქალაქური სენისგან უკვე განვიკურნე. ჩემი კუნთები თავისთავად იბურთება. გაქცეულ მოზვერს ვეწევი და შვიდ ნაბიჯზე ვხტი.

წიქა თავის საჭურველს მოარბენინებს. ხათუთა ორადლიან დაშნას მოათრევს. იამზეს ჩაჩქანი უჭირავს. მზექალა ფარს მაწვდის. თოთია თავის "დავით-ფერულ¨ ხმალს ეძებს. ჯურხა უკვე რკინაშია ჩაჭედილი.

ჯერჯერობით უნდა ვივარჯიშო. ჯურხა ჩემი ოსტატია.

ეზოში გავდივართ და დაშნების მაგიერ ჯერ ჯოხებით ვიბრძვით.

- აგე, მაგხვდა! - მალიმალ ბღუის ჯურხა. - კიდე მაგხვდა!... აასს!...

- ფარი დაუხვედრე, ფარი! - მიყვირის წიქა.

- ფეხი დამალე, ფეხი! - მარიგებს თოთია.

სხვები იცინიან. მე კი ვიბრძვი, ვიბრძვი შმაგიანად, მარდად, თავგანწირვით, ღონეზე რომ მიდგეს საქმე, ჯურხა ერთის დაკვრით

გამაპობდა. მაგრამ მე სიმარდე მშველის.

უფრო და უფრო იშვიათად ისმის მისი "მაგხვდა! აასს!¨

ბოლოს, როგორც იყო, მეც მივაძახე:

- მაგხვდა!

და ჩემი "მაგხვდა¨ თანდათან ხშირდება.

დავიღალეთ. ყველანი ვგრძნობთ, რომ კეჭნაობაში უცებ ას ნაბი}ზე გადავხტი. წიკლაურებს უხარიანთ, მაქებენ და მამხნევებენ. ზეგ ან მაზეგ დაშნაზე გადავალ.

გაფრთხილდი, დათვიავ! მერიდე, აპარეკავ! ნურც თქვენ გათამამდებით, ბათაკა, აფშინა, გავა, ქორია!

მაინც რა მძიმე ყოფილა ფარსმანის დროინდელი საჭურველი!

* *

როგორ მოხდა რაც მოხდა - ბინდ-ბუნდად მაგონდება.

სამ დღეს ჯოხებით ვივარჯიშეთ. მეოთხეზე დაშნები ავიღეთ. ჯავშანი აღარ მემძიმებოდა. საცაა სისხლი უნდა დაიღვაროს, ამიტომ მგვლიკაც აქ არის. ესეც დოსტაქარია. ხან ზეზე ვიბრძვით, ხან ცალ მუხლზე დაჩოქილები, ხან კიდევ ჩაკუნტულები. თანდათან შევხურდით.

ჯურხამ თავის ოსტატობა უნდა გვაჩვენოს, სამთავ ერთად გაგვიწვია -- მე, წიქა და თოთია. ბევრი ვუარეთ, ვუჩხაკუნეთ, დავღალეთ და დავიღალენით, მაგრამ ვერაფერიც ვერ დავაკელით. თოთიამ დაიფიცა, ხევსურეთში სამი კაცის მოგერიება მხოლოდ ორ კაცს შეუძლიან და მესამე ჯურხა არისო. ძალაუნებურად დავიჯერე.

მესამე დღეს ისევ მე და ჯურხა დავეტაკეთ. ხანი გავიდა.

- მაგხვდა! დ მივაძახე ჯურხას და სისხლი დავინახე. სისხლმა უფრო შემაფიცხა.

- აგე, კიდე! მაგხვდა! აას!

ნახევარი საათის შემდეგ იარებს ვითვლით მე ორგან ვარ გაკაწრული, ჯურხა კი ხუთგან.

გაფითრებული ხათუთა წყალს უსხამს მგელიკას. ბებერი მგელი იარებს მიხვევს და მარიგებს:

- თუ არ აშჩქარდი, დათვიაი ვერ გაგიძლებს. დაშნას თვალი არ მააშორო, გულჩი შიში არ ჩაუშო. დათვია არ მახკლა. ისიც კაცი ას.

- მოკალ! მოკალ! - შემომძახა ჯურხამ. - თუ არ მახკლავ, ის თაოდ მაგკლავს.

იმ საღამოს ბოსელში შევიხედე. სამივე ხელი - შავი და გამხმარი ხელი - ისევ იქ ეკიდა. ჩამოვხსენი, პურებივით იღლიის ქვეშ

ამოვიჩარე, შინ შევიტანე და ბუხრის თავზე ჩამოვკიდე.
- ეს ვინ მაიღა? - იკითხა ჯურხამ.
-- მე მავიტანე.
- წიკლაური გამახვალ, წიკლაური. - შემაქო ძმად-ნაფიცმა და ცალი თათით წნორის ტოტივით შემარხია.
ერთი კვირა კიდევ გავიდა. დილა-საღამოთი ისევ ჯოხებით ვფარიკაობთ. ახალი სისხლის დახარჯვისა გვეშინიან: დავსუსტდები და დავიძლევი.
ჯურხა იმუქრება: თუ გაჯობა, იმ დათვს მე თვითონ დავახრჩობო, და ხშირად იმეორებს:
- მოკალ! მოკალ, თორე ის თაოდ მაგკლავს!
ჯურხა ჭკუიანი კაცია: უნდა მოვკლა!
ბაღათერას ქორწილი ჰქონდა. დათვია ჯაჭვით შემოსილი მისულიყო და ეთქვა:
- ი ქალაქელი დამპალა არ მაოს, ჩემი ეშინის.
ჩვენ კი უკვე რკინაში ვიყავით ჩაჭედილი.
- დათვიამ არ დაგასწვრას. - მომაგონა ჯურხამ.
ვერა, ვერ დამასწრობს!
ხუთი ვაჟკაცი, ხუთივენი შერკინებულნი, ერთად მივადექით ბაღათერას.
მე მაშინვე გავნაპირდი. მგონი მეშინოდა, არ დაგვიჭირონ, ან მანდილი არ ჩაგვიქნიონ მეთქი.
დათვია გარშემო მივლიდა და მიბღვეროდა. რომ განაპირდა, დრო ვიხელთე, რამდენიმე ნახტომით პირწინ ავებოძე და მივაძახე:

- რა მიგიქარავს, დათვიავ! ის ქალაქელი დამპალა არ მავასო, ჩემ იშინისავ. აბა, მავედი.
- მახვედა? - ჩაიბურტყუნა დათვიამ და დამიბღვირა.
- რას იბღვირები, დათვიაო! თუ ხათუთაი გინდარის, დაივიწყე!
და იმავ წუთს ხათუთას მოვკარი თვალი.
დაშნები ქარქაშებიდან თავის-თავად ამოსხლტა.
- განი! არ მოგვეკაროთ! - შევძახე ჩვენსკენ გამოქცეულებს და მოვტრიალდი. მაგრამ იმავე წუთს...
სწორეთ ამავე წამს ჩემმა თავმა დაიბზრიალა. თვალთ დამიბნელდა. წავტორტმანდი, მაგრამ თვალის ჩინი უმალვე დამიბრუნდა.
ზუჩმა მიერთგულა.
დათვიას დაშნა ერთხელ კიდევ წამოვიდა - პრიალით და სხივილით წამოვიდა. ფარი შევაშველე, განზე გავიწიე და იმავე წუთს

ჩემი დაშნის წვერი დათვიას შიგ ყელში მივეცი - სწორედ ყელში მივაბჯინე, რომელიც დათვიას პირსაბურავმა ერთი წამით გამოხსნა.

ჩემმა დაშნამ დათვიას კისერში გზა გაიკვლია და ერთი მტკაველით გაიხედა.

გაშლართული ხევსური კისერ-მოგრეხილი ხარივით ხრიალებს და მიწა-ბალახს ჰგლეჯავს. მე კი განზე ვდგევარ და დაშნას ვწმენდავ.

მავკალ! მავკალ! ვიწიკლაურე და ცოცხალ კაც მავკალ!!

იმ დღიდან ხევსურებმა ჯიქი დამარქვეს.

თავი მეცხრე

რადგან ადამიანი "მავკალ", ამიტომ ხევსურების თვალშიც მხოლოდ იმ დღეს გავხდი ადამიანი. ჯურხამ ნეკნები ჩაიზნიქა, იამზემ და მზექალამ ახალი რაინდი გადაჰკოცნეს. ხოლო ხათუთამ იმ ღამეს ისე იწაწლა, რომ მეორე დღეს ფეხები მედრიკებოდა.

დილით ადრე, ქალაიები რომ წყალზე მირბოდნენ, მე სვეტივით ვიდექი ბანზე და ყალივანს ფაშასავით ვაბოლებდი. არც ხათუთა ჩქარობს წყალზე წასვლას. დედოფალივით იდგა კარებთან და მიმავალ ქალებს ეხმაურებოდა.

- გადაშჩია ვაჟიკავ, გადაშჩი? - მიღიმოდა მზევინარი.

- მამილოცავ, ვაჟიკავ, მამილოცაო! - ამომძახა ქალთამზემ.

- თურმე ქალაქელ დამპალასაც სცოდნივ დაშნის ხმარებაი! - ჰკვირობდა მოქრისი.

- ხათუთი, კაი სწორფერ გყოლივ, ღმერთმანი. - მაქებდა ხოშექა.

აგერ, შუქიაც მორბის. კოკა დასდგა, ამომხედა, ამომცინა და ამომიგდო:

ვაჟიკა ხევსურ ყოფილას,
ვაჟკაცს უქებენ ხმალსაო.
ხათუთაც მადლობელი ას,
არაკი მააქვ ქალსაო.

შუქია მირბის. ხათუთა ხარხარით მისდევს, ეწევა და თმას უწეწავს. მე კი ისევ ყალივანს ვეწევი, სიამით ვიღიმები და ძლევამო-

სილი მებრძოლივით დავყურებ ჯურხაანთ-კარს.

მაშ ესე: ადამიანი მოვკალი.

სულ ერთია, ხათუთას ვერ წამართმევდა.

მაშ რატომ გავიმეტე? იმიტომ, რომ მომაწიტა? მაგონდება: დათვიამ მგონი განზე გადააწიტა. თამბაქოს ჰღეჭავდა და დღეში ხუთასჯერ მაინც იწიტებოდა.

დამპალი რომ დამარქვა? ჰო, ამიტომ, მგონი ამიტომ მოვკალი, და იმიტომაც, რომ წიკლაურები შეშფოთდნენ უფრო კი იმიტომ. რომ ჯურხამ მირჩია თუ მიბრძანა - "მახკალო". კიდევ იმიტომ, რომ ასეთია აქაური ადათი. სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო. მეც ხევსურული ქუდი მხურავს. თუმცა არც იმდენად მსუბუქი ყოფილა ეს ქუდი, როგორც პირველად მეჩვენა.

ან იქნება დათვიამ ნამდვილი სახელი დამარქვა? იქნება მართლა დამპალი ვარ?

არ ვიცი... ჯერ კიდევ არ ვიცი.

მე და ლომა-ძაღლი ჩვენი წიფლის ქვეშ ვწევართ. ჩვენი არწივი ისე დასცურავს სივრცეში, როგორც შავი ნაფოტი უზარმაზარ ლურჯ მორევში.

ჩემი ციყვიც ქვემო ტოტზე ზის, კიჭია-კბილებს მიღრიჭავს, ჩინჩხვარს ჰღრღნის და ზედ მაფურთხებს. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ციყვმა უცებ ფხაჭანი აადინა და ფოთლიანში დაიკარგა.

ნეტა რა მოუვიდა? სისხლი ხომ არ შემატყო? ცოდვის ალღო ხომ არ აიღო?

ფაჩუნი მესმის აპარეკა თავჩაღუნული მოდის. ლომა იღრინება და ტოტებით მიწას ბრდღვნის. საკვირველია! წინათ ლომა ამ კაცს კუდის ქნევით ელაქუცებოდა, ეხლა კი...

სამტროდ ხომ არ მოდის ეს კაცი?

წამოვიწიე და ხელი უნებურად ადლიან ხანჯალზე დავიდე. ერთმანერთს შევხედეთ, - მკაცრად, ბღვერით, მუქარით გავზომეთ.

დათვიას და აპარეკას შეთქმულება მაგონდება - ხათუთას იმ დამპალას ნუ დავუთმობთო.

აპარეკამ ვერ გამიძლო: უმალვე თავი ჩაჰღუნა და გაბრუნდა.

აგრე! ის აღარა ვარ, ვინც გეგონეთ! ტყუილად კი არ ჩამომშორდნენ ბალღებიც! სხვებიც მერიდებიან და მოშორებით მივლიან.

შიში შეიქმს სიყვარულსა!

დათვიას იქვე ვერ გავაგდებინე სული. შინ მიიტანეს და დერეფანში დაასვენეს, ვინაიდან საამისო ადათიც ჰქონდაო: დიაცი შინ კვდება, ვაჟკაცი კი გარეთაო.

დათვია კვდებოდა. ირგვლივ ჯალაბნი და ნათესავები ეხვივნენ. მომაკვდავმა თურმე უეცრივ გაახილა თვალები და წამოიძახა:

- სანთელი!

ცვილის სანთელს მოუკიდეს და მარცხენა ხელში ჩაუდეს.

- ხმალი! -ერთხელ კიდევ დაიძახა დათვიამ და ერთი სიტყვაც დააყოლა:

- მარილი!

მარჯვენა ხელში ისევ ის ხმალი ჩაუდეს, რომელმაც წეღან უმტყუვნა, და მარილიც მიუტანეს. ხმალი ჰაერში ქანაობა და ნელ-ნელა იხრება.

- მოკალით! - ამოიხრიალა დათვიამ უკანასკნელი სიტყვა და იმავე წამს ხმალიც გაუვარდა ხელიდან.

- მავხკლავთ! - შესძახეს ნათესავებმა და დათვია ამ ფიცით გააცილეს საიქიოს.

აი თურმე როგორ კვდება ხევსური.

ყველაზე წინ დათვიას დედა მორბოდა და თან ნავთს მოარბეინებდა, რათა ჯურხას სახლი ცეცხლში გაეხვივნა, მას ოთხი იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი მოსდევდა. ჯურხას ეზოში თორმეტმა კაცმა მოვიყარეთ თავი და დინჯად ველოდებოდით. სოფელი გარეთ იყო გამოსული და სულგანაბული იცდიდა. საჩხუბრად წამოსულნი რომ დაინახოს, ერთად მიესივნენ და ხანგრძლივი ჟივილ-ყაყანის შემდეგ უკანვე გააბრუნეს. დათვიას ჭირისუფალნი მიდიოდნენ და ისე ომახიანად გაიძახოდნენ, რომ ჩვენც კი გვესმოდა:

--- მავხკლავთ! მავხკლავთ!

შესრულდეს ნება მათი! მომკლან!

* *

მართალი უნდა ვთქვა: ჯურხაანო-კარი სამოთხეა, ნამდვილი სამოთხე არც მილიციელი, არც გამომძიებელი, არც ბრალმდებელი და არც საქვეყნო აყალმაყალი! ადამიანი მოვკალი და საპყრობილის მაგიერ წიფლის ქვეშ ვისვენებ.

თუმცა, აქაც გამიმართეს სამართალი.

ნიშთან ბჭობის ხის ქვეშ შეიკრიბნენ, დროშა გამოიტანეს, უხუცესებმა მოიკალათეს და მეც დამიბარეს. მე ჩემი სათქმელი ვუთხარი და განზე გავდექი. დათვიას ნათესაობაც მოშორებით დააყენეს, რათა იქვე არ გაგვესწორებინა სისხლის ანგარიში.

ჯურხამ ისე ილაპარაკა, რომ საუკეთესო ტფილისელი ვექილიც კი შურით გაფითრდებოდა. მსაჯულებს დაუმტკიცა ვითომ, მე დათვიას "მაკვლა" არა მდომოდა, ვითომ დათვია მომპაროდა და უკნიდან დაეკრას, - ლაჩრულად, დიაცურად, "ციცასავითა დაეკრას.

მოწმეებმა ზელის გულზე მიწა, ვერცხლი, ხორბალი დაიყარეს და დაიფიცეს:

- ვფიცავ. რომ მართალს ვიტყვი.

დილას მგელიკამ ჯურხაანთ-კარის "კანოლები" ქონიან თითებზე ჩამომითვალა:

- თუ თავში დაჭრილს ამოუვიდა საზეო ძვალი, ხუთი ძროხაა ას, თუ ჩხიმი ამახყვა, მაშინ შვიდ ძროხა უნდა მისცას. თუ მსუბუქად დაიჭრა, დაჭრილს დამჭრელი არაყით, საკლავით და პატივით მიუას შინ, მეტი არა მიზდევს.

- თუ მოკლა? - ვკითხე.

- თუ სხვის იარაღით მოკლა, იარაღის პატრონი გადაიხდის ხუთ ძროხას.

- მკვლელს რაღას უზმენ?

სწორედ ამ დროს დაგვიძახეს.

მე ვიცოდი, რომ შესაძლებელი იყო აქედან გავეძევებინე. ჩაქოლვა მერჩივნა. იმას მაინც არ გავიგებდი, რომ ხათუთა აპარეკას მიუწვაო.

თურმე აპარეკას ნათესავებს სისხლის მოშლაზე ხმის ამოღებაც კი შეურაცხყოფად მიიჩნიეს. ამაზე ლაპარაკის გამართვა მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეიძლებოდა. ეხლა კი მხოლოდ იარაღის პატრონს ჯურხას უჩიოდნენ და კიღეც გაამტყუნეს: მსაჯულებმა ჯურხას ხუთი ძროხის გადახდა დააკისრეს.

უბიდან ხუთი გაქონილი ათ-თუმნიანი ამოვიღე და ვთქვი:

- მეტი არაფერი გამაჩნია. ამ ფულით თუნდ ოცსაც იყიდის აიღოს.

დამავიწყდა, რომ აქ ფულის მაგიერ ძროხებით ითვლება ანგარიში.

ფულის დანახვაზე ზოგმა პირი დააღო, ზოგმა რახრახი ასტეხა. ქაღალდის ფული დაიტაცეს და ისე შინჯავდნენ, თითქო ცოცხალი ოჩოპინტე დაიჭირესო, თან ზიზღით იწიტებოდნენ, თეძოებზე ხელებს იტყაპუნებდნენ და ოხუნჯობდნენ:

- ძროხას ნაცვლად ქაღალდის ნაგლეჯი უნდა მაგვცაა?

- ჯიბგირობაი ქალაქჩი გაუვას, ქალაქჩი, ჩვენთან კი...

- ჩვენც გამაცდილნი ორთ, გამაცდილნი. ვერ მოგვატყუებ,

ვერა!

მეწყინა. თავი ჩავღუნე და წამოვედი. ჯურხამ ფული დამიბ-
რუნა და მითხრა:

- თუ კაცმა კაცი სხვის იარაღით მოკლა, მეპასუხედ იარაღის
.პატრონი ას. დაშნა მე მაგეც, ფარი თოთიამ მაგცა. ჩვენ გადავი-
ხდით. შენ კი წადი და ფრთხილად იყავი.

ოღონდაც! მეც ვიცი, რომ შურისძიება მხოლოდ მერვე თაო-
ბაზე თავდება. გარდა ამისა დათვიას ნათესავებმა ფიცი მისცეს
მას, შენს მესისხლეს მოვკლავთო. ხოლო ეხლავე იმიტომ არ გამო-
იდეს თავი, რომ აქაურთა სამი მეოთხედი ჯურხას გვარისაა და მათი
გადაკიდება ხეირს არავის მისცემს.

მაშ ასე: მე სისხლი მმართებს და უნდა მოვიხადო. აგრე იყოს.

მართლა, დამავიწყდა: მეც წიკლაურის გვარი დავირქვი.

როცა მე და ლომამ წიფლის ქვეშ აპარეკა ვიფრინეთ, ხათუთა
მოვიდა და მითხრა:

- ჯურხამ სოფელჩი მაწევარი წალალა. სოფელმ რჯული უნდ
შასცვალას.

- რომელ რჯული, ხათუთი?

- აბაიმე! დაგავიწყდა?

პო, მართლა: სოფელმა ადათი უნდა დაარღვიოს - ჩვენ, წაწ-
ლებს, შეუღლების ნებართვა უნდა მოგვცეს.

მაშ არშიყობა და წაწლობა გათავდება. ვაი თუ ხათუთას კოც-
ნასაც გემო დაეკარგოს!

- ხათუთი, ჩემო თუთი! მოდი, მაკოცე, თორემ... კიდევ ერთ-
ხელ... კიდევ, კიდევ, კიდევ!

- აბაიმე, ვაჟიკავ! რაი გემართების?

- არაფერი, ქალავ საიმისო არაფერი. შენი კოცნაი მამინდ.
მეტ არაფერი.

* *

ხათუთა მიზეზიანი ქალია, მაძახურას ნაწყევლია.

- ლავ-შანათვალი ას. - ჩიფჩიფებს საბედისწერო სიტყვას
ასი წლის ქაჯი-მკითხავი ძილუკა და შესალოცს ამზადებს.

ღამეა. ბუხრის წინ დედაკაცები ვეებერთელა ვირთხებივით
ჩაკუნტულან. ჯამი, წყალი, მახათი, სანთელი, ქერი, ნასშირი და
შავ-ტარიანი დანა, მოიტანეს.

მე საკვამლედან ჩავცქერი. ხათუთა ცეცხლთან ზის და თვალიბი
მერზე აქვს მიბჯენილი, და ეს თვალები ხატის პატარა ლამპრებს
მომაგონებს.

ძილუკა ხათუთას მანდილის ნაპირით სამჯერ უზომავს ხელს - მაჯიდან იდაყვამდე. მერმე ავგაროზს ჰკრავს და ხრიალებს:

შაგილოცივ თოლისასა,
პირველ ჩემი თავისასა.
შინაურისასა, გარეულისას,
ქალაისას, ბიჭაისას,
ტანმაღალისას, ტანდაბალისას,
შავაისას, ყირმიზასას,
შავთოლასი, ჭრელთოლასი.
შენსა მოვათოლესა
ბანით მეხი, კარით ცეცხლი,
ერთი მუჭა მახათი
თოლჩი გამოვახლართე.

კიდევ რაღაცას ბურტყუნებს, ხელებს ასავსავებს და ისევ ხმამაღლა ხრიალებს:

უჟმური მადიოდის
შუაღამეს ბინდისასა.
ყავარჯენსა მაიქნევდის
ხელმოკლესა შვინდისასა.
შინ ქრისტეი ხადვდებოდის:
- უჟუმუროვ უხამსუროვ,
სად მიხვალო?
- ადამისა თოლჩიაო,
სისხლის სასმელად,
ტვინის სათქვეფლად.
- შენ ადამის თავჩი
ვინ შეგიშვებს!
თავჩი დაგკრავ,
ახლავ მაგკლავ!

კიდევ დიდხანს ბუტბუტებს ჯოჯო. მერმე გაზომილ მანდილს ხელმეორედ ატოლებს ხელზე და აცხადებს:

- ა, მანდილ დამოკლდა. მარჩების ხათუთაი, მარჩების!

მკერდი გაუღეღა, ორი ნესვი გადმოუგდო, ორივეს შეულოცა, შუაში ავგაროზი ჩამოჰკიდა, იღლიაში ერთი კათხა ერბო ამოიჩარა და ლოცვა-კურთხევით გარეთ გაიძურწა.

- ხათუთი. - ვეკითხები იმავე ღამეს ჩემს ქურქში ჩამოწოლილ წაწალს, -შელოცვამ გიშველა?

- მიშველის, მემრ მიშველა. ახლა კი საწყენ ლიშან რამ

მემართების.

ხაოუთამ არ იცის საწყენ ნიშანის - ზმორების, ხრჩობისა და კლაკვნის მიზეზი. "მაძახურამ დამწყევლავო". მე კი ვიცი, რომ ჩემი წაწალი ბუნაბამ დასწყევლა, იმიტომ დასწყევლა, რომ გათხოვება დაუგვიანეს. ისიც ვიცი, რომ წაწლობის ნაცვლად როცა 5ამდვილი მაძახურა - ბუნება დაუძახებს, ხათუთა უმალვე მომჯობინდება.

უკვე მოდის ის დღე, მოდის! მოდის და იძახის - ასე იძახის, მომ ყველა ოჩოპინტები და მაძახურები სოროებში იმალებიან.

* *

ბანზე დავდივარ და შორიდან ვუმზერ: ნიშთან თემი შეიკრიბა.

ჯურხა მოხერხებული კაცია: ჯერ დიდი ღრეობა გამართა. გუშინ ვეება ქვაბები ჰბოლოვდა. ლუდი მოხარშეს, არაყიც გამოჰხადეს, ხმიადები გამოაცხვეს, კარაქი დაადნეს და ჭურჭელიც დაამზადეს.

დღეს დილით ხატს ძროხა დაუკლეს და პატარა მოედანი ბოლიო გასტენეს. ეხლა შორიდან ეჟვნების ჟღარუნი და ხევისბერის დარიგება მესმის:

- კაცი არ მახკლათ, ხალხო...

ზოგნი კენჭაობენ, ზოგნი ლიშანს ესვრიან. მერმე მწვანეზე მოიკეცეს, სამოცი ჩხუტი ლუდი დასცალეს და ორი ძროხა გაათავეს. მათი ღრიალ-სიმღერა მთებსაც კი ესმით. თემობა იწყობა. მერმე -

- რჯულ უნდა შევცვალათ. - აცხადებს დეკანოზი.

აპარეკა, ბათაკა, დათვიას მეჯალაფენი და ოციოდე მათი მიმდევარი მგლებივით ჰღმუიან:

- არ გვინდარის, არა! არ შაიძლების რჯულის შაცვლაი, არა!

- დამპალაის გულისთვი მამა-პაპის რჯულს უნდ ვუღალატათა?!- ბღავის აპარეკა.

- ხევსური რჯულს არ უღალატებს, სანამ ცოცხალი ას! - ერთ ხმაზე მეოცეჯერ იმეორებს ბათაკა.

ჯურხას კაცები უზარმაზარი თხუნელებივით დაძვრებიან და ახალ მომხრეებს შოულობენ. დიდხანს გრძელდება ლუდარყით შეხურებული ყაყანი და ჟინიანა შეძახილი.

მე ქვეით ჩავდივარ და აღელვებულ ხათუთას ვეკითხები.

- ხათუთი, თუ ნება არ მოგვცეს, რას იზამ?

ხათუთა გულის ღელვას ვეღარ უძლებს. კისერზე მეხვევა, პირსახეს ცრემლით მისველებს და მტკიცედ გაიძახის:

- თავ მავიკლავ, თავსა!.. ვაჟიკავ... ჩემო ყველავ...

მისმა მიზეზიანობამ ერთხელ კიდევ იფეთქა. ჩემი ქალაი ნერვიულად იკლაკნება, იხრჩობა და ისე მეხუტება, თითქო ჩემს დახრჩობასაც ლამობსო. ძლივს ვამშვიდებ და ჭერხოსკენ მივდივარ.

წიქა შემორბის და ხათუთას ეუბნება:

- გათავდა, ქალავ, გათავდა!

მე ზევიდან ჩავცქერი. ხათუთა ზეზე წამოიჭრა და განაჩენს ელოდება.

წიქავ, უთხარი, უთხარი რაღა სათქმელი! რად აწვალებ ისედაც გაწვალებულ ხათუთას! სთქვი, შე კაცო. სთქვი ჩქარ.!

- წიქავ!.. - ჩურჩულებს ხათუთა.

- ოც ძრობა უნდა დავარიგათ, ოც ძროხა, ქალავ.

მე რომ წიქას დავენახე, ალბათ ამ ამბავს არ იტყოდა.

არც შემდეგ მითხრეს.

თმაგაშლილი ხათუთა შინისკენ გარბის. მე ბანზე ავდივარ და ვხედავ: თემი უკვე იშლება. ნაღრეობალი სვვსურები, გალეშილ-ატაცებულნი, ჯგუფ-ჯგუფად იშლებიან, თან ფანდურებს აფრატუნებენ, აბჯარს აჟღარუნებენ, უცნაურს გაჰკივიან და ასიოდე ფეხს ერთმანერთში ჰხლართავენ.

* *

ჩემი მაყრიონი თოფის სროლით და გრგვინვით გადადის ერთ ეზოდან მეორეში და ხათუთას, თოთიას და იამზეს ატყობინებს:

- მაედინებიან! მოდიან!

გზაშივე არაყი და ლუდი მიაგებს. წინ "მეხორწილე¨ ჯურხა და წიქა მიუძღვიან. აქ ჩემი დედ-მამა - მგელიკა და ნანუკა ესალმებიან.

- მასპინძელო, - ეუბნებიან მგელიკას და ნანუკას, - სრუ მუდამ ლხინი და ხორწალიმც ნუ მაგეშლების!

მხოლოდ ეხლა შემიშვეს ქალებით სავსე ოთახში.

ხათუთა საზღაპრო დედოფალს ჰგავს: მოქარგული "სათაურა¨ - ვერცხლის "შიბი¨ მოკლე ჯუბა. - ისიც წითელყვითლად მოქარგული. ქათიბის მსგავსი "ფაფანაკი¨. ნამდვილი ვერცხლის საყურეები. ნამდვილივე ვერცხლის ბეჭედი. ძროხის შარდით შეწითლებული და მუხლამდე მინაწვდენი ღვედის-სისქე ნაწნავები. დაბურული თვალები, მარწყვის ტუჩები და შიგ მწკრივად ჩალაგებუ-

ლი გაფცვნილი ნუშები.

თოთია და იამზე ცრემლ-ნარევი ღიმილით იღიმებიან. ხათუთას ოდნავ უკანკალებს ხელი.

ზედამდეგებმა სანთლებით განათებული ტაბლა ჩამოატარეს, ხევისბერი გვამწყალობებს, გვლოცავს და გვარიგებს:

- ქალისა, ვაჟის პატრონნო და ნეფე-დედოფალნო! გწყალობ-დასთ ჩვენის ანგელოზების მადლი! ბედიან-დავლათიან მაგახდი-ნასთ, ერთუცს შაგაბერნასთ, გამრავლნასთ, ასის-თავად გაგხადნასთ!

ყველანი გვლოცავენ და გვილოცავენ. ჯურხა ხვევნით მახრჩობს და თითქო სტირის:

- ვაჟიკავ... ჩემო ძმავ და ფიც-ნაჭამო..

მეხვევიან მამაც, დედაც, წიქაც.

კინაღამ დავკოცნე შუქია, თია, კმარა, ლელა, სანდუა და თუთა.

მზევინარს აბალი შაირი გამოუცხვია. მოქრისმა ჩუმად იდაყვი - ჩამკრა ფერდში, ხოშექა შემომხარის. ქალთამზემ დრო იხელთა და მაგრად მიჩქმიტა.

მერმე სმა, მღერა, "ტოშ-ფანდურის ტყრიალი და ბუზიკანტი¨ იწყება.

შუქია გვერდით ჩამიცუცქდა. ფანდურს აფრატუნებს და მიმ-ღერის:

ადუღებს ბედიანაი
ქერსა და სვესა, ორსავე.
ახსენებს ბედიანაი
ჯვარსა და ღმერთსა ორსავე.
აწევდა ბედიანაი
მტერსა, მაკეთეს, ორსავე

მერმე მეჩურჩულება:

- არ შასცხვე, ვაჟიკავ, ამაღამ რო ხათუთას მიუცუცქდები და - კუსკუსობას დაიწყებთ, თორე...

ხათუთამ ყურები სცქვიტა. შუქიამ გადიკისკისა და ქალებში შეერია. მე ცხენივით ვიცინი.

როცა გალეშილი სტუმრები ღრიალ-კივილით დაიშლნენ, შუა-ღამე გადასული იქნებოდა. მე და ჯურხამ თითო "ყალივანი¨ დავ - ცალეთ და ჭერხოში ავედით. ჩემი ლოგინი ისევ ბანზე მეგულებო-და. მეგონა, ხათუთა იქ ამოვა მეთქი. მაგრამ ჯურხამ მითხრა:

- აქ გაიხადე. წეს უნდა შესრულდას.

როცა გავიხადე, ქურქი მომახვია, სანათურთან მიმიყვანა და ქვეით ჩასძახა:

- ხათუთავ, შაიძლებისა რო ვაჟიკა ჩამოვიდას?

პასუხად სიბნელიდან ხითხითი მომესმა.

- ჩაედ! - მიკარნახა ჯურხამ და მეც ჩავედი.

- აქა ორ, აქ. - მომესმა ჩურჩული.

ტყავებში გახვეული დედოფალი ხელის ფათურით ვიპოვნე.

ორი წუთის შემდეგ ხათუთამ დაიკვნესა. და იმავე წამს მეორე კუთხიდან მზექალას ხითხითი და ნანუკას შემოტევა მომესმა.

- რაი გაყვირებს, ქალავ! ბატარაი ხო არა ხარ!

მეგონა, ჩვენი ჯალაბობა იმ ღამეს თოთიასთან წავიდოდა. მეხამუშა. ისევ ჭერხოში დავაპირე ასვლა, მაგრამ ვიფიქრე:

¨ესეც აქაური ქუდი ყოფილა მეც ხომ წიკლაური ვარ და უნდა დავიხურო¨.

დავრჩი. ჭერხოში რომ ავედი, ჯურხამ "შინ¨ ჩასძახა მზექალას:

- ქალავ, კუს თუ გეკუსებისა?

- ჩამედ, ჩამაედ! - ჩუმი ხმით ასძახა ქვეიდან მზექალამ. - მეკუსების, მეკუსების!

გვსმის, ცოლს რომ ნებართვას სთხოვენ, მაგრამ ვერ გავიგე, თავიანთ ნაჩუმარს განგებ რად ატყობინებ მთელ ოჯახს?

ამაშიც ვემორჩილები:

- ხათუთი, შენთან მასვლა მინდარის. - ჩავძახი ყოველ ღამე ზვვიდან - კუს თუ გეკუსებისა?

- ჩამაედ, ჩამაედ! - მიპასუხებს ქვეიდან ჩემი ცოლა. - მეკუსების, მეკუსების.

მე რომ უკანვე დავბრუნდები, ჯურხა ჩასძახებს.

- ქალავ! .. კუს თუ გეკუსებისა?

- მეხსენ, მეძინების. დ მესმის ზოგჯერ მზექალას ამოძახილი. - მეხიმც გედღლაშების!

მეხ-ნათხლეში ჯურხა ბურტყუნით ბრუნდება. მე ვხითხითებ იშვიათად მეც მესმის ხათუთას პასუხი:

- მეხიმც გედღლიშების!

მე ვბუტბუტებ, ჯურხა კი რახრახებს.

* *

თოთია ჩემი სიმამრი გახდა, იამზე კი - სიდედრი. ორი მამა მყავს, - მგელიკა და თოთია, და ორი დედა, - ნანუკა და იამზე.

ჩემი თავისთვის გაუთავებელი დავა აქვთ მეც არ ვიცი, რომ-

ლის შვილი ვარ ნამდვილად და ვის სახლში უნდა დავბინავდე ურიის ბალღივით მწეწავენ, სოლომონ ბრძენთან რომ მიიყვანა ორმა დედამ. ის ბალღი შუაზე გაჭრას გადარჩა. მე კი ჯურხამ შუაზე გამყო: ხან ერთთან ვარ, ხან მეორესთან. კვირა დღე რომ მოვა (ჯურხაანთ-კარში თვე და დღის რიცხვი დავკარგეთ, თორემ კვირა-უქმე ბავშვებმაც იციან), მე და ხათუთა თოთიასთან გადავ-დივართ. მეორე კვირა რომ დადგება, ჯურხა ამოვარდება, ჩვენს ქონებას იღლიაში ამოიჩრის და ბატკნებივით "წაგვლალავს".

ეს ჭრელი წესი იმის გამო შემოვიღეთ, რათა ადათი მხოლოდ ნაწილობრივ დაგვერღვია. იგი მოითხოვღა, რომ ხათუთა ერთი კვირის შემდეგ ერთი წლით დაბრუნებოდა დედმამას. მე ავჯან-ყდი, არ დავემორჩილე.

- არ მინდა! არ შაიძლების! - ვყვიროდი ხაფი ხმით - ცოლი იმიტომ შევირთე, რომ მაშინვე ერთი წლით გამეყაროს?!

ხათუთა ჩუმჩუმად მიდასტურებს. სხვებიც მეთანხმებიან. მაგრამ ვიღაცამ ოდესღაც რაღაც დააწესა და უნდა დავემორჩილო. ჩემი ცოლი ეზოს იქით ცხოვრობდეს, მე კი აქეთა მხარეს და ერთმა-ნერთს ვერ მივეკაროთ? და თუ ორთავ კუს გვეკუსებისა, მაშინ რაღა ვქნაო? ზამთარში ტყეში გავიპარნეთ?

- არა მეთქი, არ იქნების!

ჯურხა ხევისბირს და თავკაცებს ეჩურჩულა და წესის განახევ-რების თანხმობა მომიტანა

აგრე, მეც ეგ მინდოდა!

ხათუთა ამბობს, ორმოცი ძროხა გვყავსო. ოცი თოთიას უჩუქე-ბია და ოციც ჩემი ურბათი ყოფილა. თურმე ის ურბათი მე უნდა მიმეცა, მაგრამ ჩემ მაგიერ ჯურხას მიუცია. ამბავი რომ გამოვ-კითხე, ჯურხამ თათი დამკრა და მითხრა.

- ფიც-ნაჭამთ რა ანგარიში აქვთ!

საქონლისა მე არაფერ, არ მეკითხება, სანადიროდ კი უჩემოდ არ წავლენ. ჩემი "დვირბინი" მეტად გვშველის. ჯერ-ჯერობით მე და ჯურხამ სამი აფთარა, ორი დათვი. რვა ჯიხვი, ოთხი მგელი და რამდენიმე მელა მოვკალით. კურღელს, ტურას და მაჩვს არა ვკადრულობთ. ჯურხა მადიდებს და სოფელს აჯერებს, ვითომ ჩე-მისთანა მონადირე თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც არ მოიძებნებოდეს.

ამას წინათ წრიაპები გავიკეთეთ და ერთ მწვერვალზე ავფოფხ-დით. შორს, ძალიან შორს. მოლურ{ო ნისლში ბინდად ვხედავ მა-ლალი ქედის ნახაზს.

იმ ნახაზს უნებურად დავაშტერდი და უნებურადვე ამოვიოხრე:

- ჯურხა, აგერ ის მთა რომ მოსჩანს, გომბორი ხო არ ას?
- რაისთვი ოხრავ, ვაჟიკავ? - და თვალებში ჩამაშტერდა. - გულმ ხო იქით არ გაგიწიო?
- არა, ჯურხა, არა... ისე ამოვიოხრე.
ეს იყო ჩემი პირველი ტყუილი. გულმა მართლა გამიწია გომბორისკენ, კახეთისკენ, ბარისკენ, ხალხისკენ და ნათესავებისკენ.
ნეტა რა ხდება იმ ქვეყანაში? კიდევ მიგონებენ თუ დამივიწყეს?
ჩემ ბინაში დასახლდა ვინმე, თუ დეიდა მაიკომ შეინარჩუნა? ცუცქია, რა თქმა უნდა, ახალ ვინმეს გააბედნიერებდა. იქნება ეხლაც გაჰკივის:
- ოჩენ ნადო! დავაი!
ახა-ხა, მონაწილე ვარ შენი მწუხარებისა, ჩემო უცნობო მაგიერო, მონაწილე! შორიდან გითვლი სამძიმარს.
ნეტა ვინ გამოჰგზავნეს სპილენძის მადნის საპოვნელად?
მე რომ დავიკარგე, ბიძაჩემი არჩილი კვდებოდა. ნეტა მოკვდა თუ გადარჩა?
სანდროს ანეტა უნდა შეერთო. შეირთო თუ გაიყარნენ?
ნეტა რა ხდება ჩემს საქმეში, სამთა-მადნო დარგში?
კიდევ ბევრი რამ ვკითხე ჩემს თავს. რაკი მიძინებულმა ჭიამ ერთხელ გაიფაჩუნა, მაშინვე ცოდნის ქავილიც ამივარდა. მაგრამ რადგან დათვის ნაკვალევს დავედევნეთ, უმალვე ჩაჰქრა.
უცებ ჩემს ფეხ-ქვეშ რაღაცამ გაიბზინა. დავწვდი და ავიღო, გოგირდი, გოგირდის მადანი! მაშ აქვე სპილენძიც იქნება. ორივენი ერთად ბუდობენ, ორივენი განუყრელი ტყუპები არიან. მეძებარივით დავრბივარ და ვეძებ.
სპილენძი! სპილენძის მადანი! მერმე როგორი! ერთი მუშტის ოდენა ქვა ხუთ გირვანქას მაინც იწონის. ჯავარი ლურჯად, წითლად, მომწვანოდ და მოყვითალოდ იწვის.
ავიხედე და კლდე დავინახე. მადნის ადლიან ძარღვს ის კლდე გამოეხეთქნა. კლდის ძირს მივდევ და ვათვალიერებ. აი მეორე ძარღვიც... აგერ მესამეც მეოთხეც... ერთმანერთში არეულან სპილენძის და გოგირდის მადნები. აქა-იქ შაბიამანიც მოსჩანს.
- მანდ რას ეძებ, ვაჟიკავ? - სხვისი ხმით მეკითხება ჯურხა.
- სპილენძი, ჯურხა, სპილენძი!

- ვიცი, ვიცი. ეგ სხვა რვალი ას, სხვა. შენ რო ეძებ, ის სხვაი ას, წამაედ, ვაჟიკავ, წამაედ, თორე დათვი მიგვეფარების.
მე აღარ მივდევ. ჯურხა გამიწყრა, თითქმის ძალით წამათრია.

თითქო შეშინებულიც იყო. მიმათრევდა და ბურტყუნებდა:
-- რااად გი რვალი? ეშმაის მაგონილი ას. ქალაქში გაიგებენ და ამოვლენ....
შიშის მიზეზს უმალვე მივუხვდი: ის ქვეყანა ამ ქვეყანაში შემოიჭრება. გზა გაიკაფება, მავთული გაიბმება, მილიცია მოვა, და ხელისუფლება, სამართალი, გადასახადი, მანქანა, ორთქლი, ელექტრონი და ათასი ეშმაკეული, გაჩნდება.
საღამოზე ორივენი ჩაკუნტულნი ვსხედვართ და ყალიონებს ვიბოლებთ.
მგელიკა, თოთია, ხევისბერი და სამიოდე თავიკაცი შემოვიდა. სადღაც დაელივნათ, ძლიერ შეხურებულიყვნენ და ჩახლეჩილი ხმებით გულამოსკვნით მღეროდნენ:
ადეგ, თამარ დედოფალო,
შენთვის ტირის საქართველო:
სიმღერას საუბარი მოჰყვა. ისევ ბაგრატიონთა "გორი¨ გაიხსენეს და ძველებურად შესძახეს:
- მავას! მავას!
მოხარატებულ სითიკანში ჩამჯდარმა და მყინვარივით გათეთრებულმა მგელიკამ თავი ჩაჰქინდრა, კარგა ხანს იყუჩა, იქანავა, მერმე ჩემსკენ გადმოიხარა და შემევედრა:
- შვილო, ნუ დამიმალავ, თამარ ნეფე მართლა გაცოცხლდაა?
ვაი ჩვენი ბრალი!
ვერც კი გავიცინე. მხოლოდ ჩემ თავს ვკითხე, რამ გააჩინა ამგვარი ზღაპარი?
ვკითხე და ვერ ვუპასუხე.

თავი მეათე

წიქა ისარივით შემოვარდა:
- დვირბინი სად ას, დვირბინი? თოფი სად ას, თოფი?
დურბინდი და ორი თოფი მოიტაცა, ისევ ისარივით გაიჭრა და მომაძანა:
- ვაჟიკავ, აჩქარდი! თოფი წამოიღი, თოფი!

ყალივანი დავაგდე, თოფს ხელი დავტაცე და გავიქეცი.
გარეთ მგელიკა დგას. ასი წლის თვალებს ხელით იფარავს, ცას გასცქერის და ბუტბუტვბს:
- არწივ ბოინობს, არწივი, თუმცა... არა ღგავის.

ცაში ავიხედე და - რა თქმა უნდა არა ჰგავს - ავიხედე და რკინის არწივი ვიცანი.

ყოველ მხრიდან ჟრიამული, შეძახილი და შიშნაჭამი წკმუტუნი ისმის. წიკლაურები ქორისგან დაფრთხალი წიწილებივით დარბიან. დედაკაკები წრიპინებენ, ბალღები ღნავიან, იარაღში ჩამსხდარი მამაკაციბი ბელადს ეძებენ. ცაში ცქერით მთელ სოფელს მოეღ-რიცა კისერი.

ჯურხა ქუდმოგლეჯილი მორბის. წიქა წინ უხვდება და თოფს აჩრის ხელში. თოთია უკვე აბჯარში ჩამჯდარა, ვაცივით მოაბოტებს და ლამობს დათრთვილული თავი მუზარადში შეჰყოს.

ხუთ წუთში ლაშქარი მზად არის. სარდალიც სარდლობს.

- ბათაკავ, ათ კაც წაიყვანი და აი ხევჩი ჩასაფრდით თო-თიავ, ხუთი კაცით ხატის უკან დაიმალენით! აბა თქვენი ვაჟკაცობა ა ეხლა გამაჩინდების! სხვანი ჩემთან წამაედით.

ხუთ წუთში ყველანი ჩასაფრებულნი ვართ. მეც სხვებს ავედევ-ნე - არ ვიცი კი რად, რისთვის, რატომ? რა უნდათ ხევსურებს, ქალაქის არწივისგან - არც ეს მესმის.

- ჯურხა. რა გინდათ ჰაეროპლანისგან? - ვეკითხები სარ-დალს.

არც თვითონ იცის. მისი აზრი ბარბაცებს. ბოლოს მეუბნება:

- თუ მიდის, წავიდას, ჯურხაანთ-კარჩი კი არ შამაუშვებ, არა!

მე ვიღიმები. ჰაეროპლანს ჯურხაანთ-კარში რა უნდა! ალბათ ღრუბლებში გზა აერია. ცაში დაბორიალებს და გზას ეძებს. ამ სოფელში გადაივლის და წავა.

ქვეიდან ისევ ჟრიამული და ყაყანი ისმის. ჩვენი რაზმიც შფო-თავს. იღრინება და იარაღს იმარჯვებს.

არწივი კი მოდის, მობიბინებს, მოჰქრის. ნათლად მოსჩანს მისი უუზარმაზარი ფრთები, განიერი ბოლო და მოკვეთილი ნის-კარტი.

- ჰაროპლავნი ჯურხაანო-კარჩი მადის. - ბუტბუტებს ჯურ-ხა. - ალბად ი წუწკმ გაგვცა, შენ რო მაგიყვანა, ვაჟიკავ აბა, ხევ-სურნო!..

ჰაეროპლანი მართლა ქვეით იწერ, ვეებკრთელა რკალებს ჰკრავს და თანდათან გვიახლოვდება. უკვე მკაფიოდ ისმის მისი ბზუილი და დგრიალი.

ხევსურები თოფებს უმიზნებენ. ჩემმა თოფმაც თავისთავად ასწია ტუჩი. აღარ ვეკითხები ჩემს თავს - რისთვის, რად, რატომ?

ჯურხას თოფმა კენტად დაიჭექა. იმავე წამს ოცმა თოფმა იგრი-

ალა. ხევში და ხატის მხრიდანაც ოციოდემ დაიქუხა.

ჰაეროპლანი თითქო შეკრთა. ცას ნისკარტი აჰკრა და აიწია. ჯურხაანთ-კარი კი დგრიალებს, ჰქუხს და გამწარებით იბრძვის.

- მახვდა, მახვდა! - აას! - აას! - მესმის ხევსურების მხიარული შეძახილი და გამარჯვებული ჟრიამული.

არწივი თითქო ბორძიკობს, ტორტმანობს, მაგრამ მაინც ზევით იწევს, ცას ჰკორტნის და ისე უვლის ჯურხაანთ-კარს, თითქო განგების ეტიკი ჰყიოდეს, და ეტლსა სწერდეს ჩვენზედა.

უცებ შუა სოფელში უზარმაზარი ალი და კვამლი ავარდა. იმავე წამს საზარელი გრგვინვა და ცხელი ჰაერის ტალღა დაგვეტაკა

რამდენ ხანს ვეგდე მიწაზე - არ მახსოვს.

ბობღვით ვდგები, რეტიანივით ვლასლასებ და გარემოს თვალების ფშვნეტით ვათვალიერებ. ზოგნი ოთხით დაჩოჩავენ, ზოგნი უნძრევლად გაშოტილან, ზოგნი კიდევ ბარბაცით მიილტვიან ტყისკენ.

ჯურხა კლდეს მიჰყუდებია და გაუგებარს ღმუის. სირბილი, კვნესა, შეძახილი და ჟრიამული მატულობს.

თანდათან გონს მოვდივარ და ვხედავ: ხევსურები დედიან-ბუდიანად სასოწარკვეთილი კივილით და ზარით გარბიან ტკისკენ. როგორ გაჩნდა ამ დროს ჩემს გვერდით ხათუთა -- ეხლაც არ ვიცი.

- წამაედ! წამაედ! - ჩამკივის ყურში და თითქმის მიმათრევს.

- ჯურხა სად არის, ჯურხა? - ვლუღლუღებ ავადმყოფი ბალღივით.

- წავიდ ჯურხაი, წავიდ! - ჩამძახის ჩემი ცოლი.

- ჩვენები როგორ არიან, ჩვენები?

- გადარჩეს, ყველანი გადარჩეს.

ტყეს შევეხიზნეთ. ვსხედვართ და ისე შევცქერით რკინის არწიოს, როგორც თაგვები კატას.

"ჰარაპლავნი" ცას აღარ ჰკორტნის. ძერასავით დაგვტრიალებს და გვითვალთვალებს. მერმე კისერი გაიჭიმა და სწორი გზით წავიდა.

"მეხის მსროლელი" თანდათან პატარავდება. ტყეც ნელნელა იცლება. ნაცემი ძაღლებივით მოვიპარებით. სოფლიდან დედაკაცების ზარი და გმინვა გვესმის.

სოფლის გული ამოგლეჯილია. სადაც გრანჯა გაფრინდაულის სახლ-კარი იყო, ეხლა ვეებერთელა ორმოღა მოსჩანს. გიგიას.

ჩუნთიას და მინდიას სახლები და ბოსლები გულაღმა გადაწოლილან, გამოშიგნულან და ალსა და ბოლში გახვეულან.

აგერ სამი გაჩაჩხული ძროხა. აი გამოღადრული ცხენი. კამეჩი ოთხივე ფეხით ზეცას შეღაღადებს, ხუთიოდე ცხვარი თითქო ცოცხლად შეუწვავთო.

გრანჯა და მისი ჯალაფი აღარსად მოსჩანან. მერმე იპოვეს: ზოგი თავს მოათრევს, ზოგს ფეხი მოაქვს, ზოგს კიდევ ხელი ან ტანის რომელიმე ნაწილი.

სოფელი მოიდრიკა. ყოველივე უცებ განიბნა და გაჰქრა: ვაჟკაცური რიხიც, რაინდული ზავთიც, ხევსურული გოროზიც და ყიფიც აღარც ოჩოპინტე ახსოვთ, არც მაძახურა, აღარც მეჯალაფე და არც მესმინაი.

- ჯურხა, - ვეუბნები საღამოზე ჩემს ძმად-ნაფიცს. - ჩვენ ასნი ვიყავით, ჰაეროპლანში კი ორინი იქნებოდნენ.

- ვიცი. - ბურტყუნებს ბელადი და ბუხარს აწიტებს.

- მაინც გვაჯობეს.

ჯურხა სდუმს. ჯურხა ჩაფიქრდა, ისე ჩაფიქრდა, რომ ყალიონი პირში გაუშტერდა და ჩაუქრა.

- საქმე რომ ვაჟკაცობაზე მისულიყო, ერთ ხევსურს იქაურნი ხუთნიც ვერ გაუძლებდეს. - ვაფხიზლებ ბელადს.

- აი-ჰაი, ვერ გაუძლებდეს.

- მაინც დაგვამარცხეს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ისინი ქალაქელები არიან, ჩვენ კი ისევ ტეტიები დავრჩით.

ჯურხა ისევ სდუმს. მე ისევ ვლაპარაკობ. ძმად-ნაფიცი მომიბრუნდა, დამაშტერდა და მკითხა:

- რაი გი ვაჟიკავ? ქალაქისაკენ ხო არ დასწუხდი?

- ქალაქი? არა, ჯურხა, ჯერ არა... ისე ვუბნობ, თორე...

ერთხელ კიდევ ვიფლიდე.

ჯურხაანთ-კარს გლოვის, ეჭვისა და დამცირების შავი ნისლი აწევს.

* *

დეიდა მაიკო სოფლიდან ძლივს ჩამოვიყვანე. უმჯობესო იყო ბუხართან ერთი ტომარა თოფის წამალი შემენახა, ვიდრე მაიკო და ცუცქია შემეხვედრებინა. დეიდას არც ფაქტიურად . სწამს "ჭრიჭინას" ცოლობა, არც დე-იურედ. თავის რძალს თითქოს არც კი ამჩნევდეს.

ცუცქია სასამართლოს ყულფიდან ჯერ ვერ გამომძვრალა. მაინც არაფერს არ იმჩნევს. პირსახეს ადრინდელივით ითხუპნის, კეპს ავლაბრულად ატარებს, პაპიროსს დარდიმანდულად აბოლებს,

წკეპლას უდარდელად იქნევს და დამქაშებს ძმა-ბიჭურად უტყაპუნებს, თან თუთიყუშივით იმეორებს:

- პაჟალუსტა! - ოჩენ ნადო! - ვოტ იშო!

ჩემს ცოლს თუ ნაცოლარს - რა თქმა უნდა, ნაცოლარს! - ძალიან უყვარს ხილი. ყველგან ფცქვნის და ილუკმება - თეატრში, ქუჩაში, ლოგინში, დილით, საღამოთი, შუაღამეს და შუადღეს. უყვარს აგრეთვე...

მართლა! სიყვარულის გახსენებაზე მომაგონდა: ნეტა ვიცოდე, შეუძლიან ცუცქიას ვინმე შეიყვაროს, ან თუნდ შეიძულოს - მამაკაცი, მოკეთე, მტერი, დედ-მამა, შვილი ან მეგობარი?

არასოდეს! ვერასოდეს! არას გზით!

ხანგაშვებით ცუცქია მუცელს ირღვევს.

- ცუცქი, არ გინდა ჩემგან ერთი შვილი მაინც გაიჩინო?

- ოჩენ ნადო!

- შენი თავი მაინც შეიბრალე. ავად გახდები.

- ოჩენ ნადო!

შუაღამეზე ადრე არ დაბრუნდება:

- ქალო, სადა ხარ?

ეხლაც "დელო¨ ჰქონდა.

- ქალო, მარტო რომ დადიხარ ქუჩებში შუაღამეს სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია.

ისევ "ოჩენ ნადო¨ ისევ "პაჟალუსტა!¨. მაჯერებს, და თითქმის დამაჯერა კიდევაც, ვითომ მეათე საუკუნეში ვცხოვრობდე, ვითომ ძველის ჟანგით ვიყო შეჭმული, ვითომ ჩემი შინ-ჯდომა და ცოლის ხეტიალი ნამდვილი თანასწორობა ყოფილიყოს, ხოლო "სირცხვილია მხოლოდ ბურჟუებს შერჩენოდესთ.

სპილენძის საძებნელად რომ მოვდიოდი, ვთქვი: კმარა! უნდა გათავდეს! დავბრუნდები და ვეტყვი:

- ცუცქი, გზა მშვიდობისა!

თუ აკივდა, კიბეზე გავიტან, დავდებ და კარს ჩავუკეტავ. იფიქროს იქ ფაშიზმის ბედზე! ეკურკუროს ლოიდ ჯორჯს: ეკაპასოს მუსოლინის! სთვალოს ბრიანის დღენი, გაზომოს ხვალინდელი სიტუაცია (ისევ იზმი, ისევ აცია! ღმერთო, დამავიწყე!) ასწონოს თავის მომავალიც და ერთხელ მაინც ჩაფიქრდეს ხვალინდელზე, ერთხელ, ერთხელ მაინც ჩაფიქრდეს!

მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ცუცქია ქალთა წრიდან ნელნელა გამოუცუცქებიათ - ელპიტეს დამოწმებისა და ოთახის თხოვებისთვის. ეს ამბავი სხვამ შემატყობინა. ცუცქია კი სდუმს და ღამ-

ღამობით ისევ იკარგება.

ნეტამც აღარ დაბრუნდებოდეს!

ესეც სათქმელია: მე, ელიზბარმა, დიდმა აზნაურმა, აზნაურობა ჩამოვირეცხე, ცუცქია კი - გლეხი თუ მეჯღანის ქალიშვილი - გაიბერ-გამიაზნაურდა. გეგონებათ, უელსის პრინცის ან დევონშირის ჰერცოგის ჩამონავალიაო. ნეტა მარტო სისხლი ჰქონდეს აზნაურისა: დაუდევარი, ზანტი, უკადრისი, ამაყი, კერპი, უხეში და ფლიდი - აი უსრული სურათი ცუცქიასი.

კმარა, მისი გახსენებაც კი მომბეზრდა!

* *

ციყვი დიდი ხანია გამექცა. დედაჩემი ნანუკა ამბობს:

- სისხლი შაგატყვა, ვაჟიკავ, სისხლი. იმით გაიქცა.

დიდი ხანია წიფლის ქვეშ აღარ გავშოტილვარ. გამაფრთხილეს, დათვიას ნათესავი ბათაკა შენს სისხლს ეძებსო.

ამას წინათ წიფლის მახლობლად მრავალი ნაფეხარი შევნიშნე. მეც თვალი აქაური მეკვლესავით დავიგეშე ის ნაფეხარი ერთი კაცისა იყო. ალბათ ბათაკა მითვალთვალებს.

მეორე ღღეს იმ ალაგს მე თვითონ დავადგი თვალი. ალღომ არ მიმტყუნა. ბათაკა ბუჩქებში იჯდა. თოფი მქონდა, მაგრამ მაინც მოვერიდე. ერთი კაცის სისხლიც მეყოფა.

სისხლს გაურბივარ, მაგრამ თვითონვე დამდევს. დათვია რამდენჯერმე მომეჩვენა, მერმე ის ლანდი ან გელა გამომდგარა, ან ხირჩლა, ან აფშინა.

სიზმარში ხან სისხლით ვიბან პირს, ხან წითელი წვიმა მოდის, ხან კიდევ დათვიას დედა ძიმია სისხლიან ნამგლით დამდევს.

- რაად შემოგეჩვივ ღამით ყვირილი, ვაჟიკავ? - მეკითხება ჯურხა. - იქნების სისხლი გაქვ გამოსაშვები?

და მეორე დღესვე მგელიკამ კისრიდან ერთი ჯამი სისხლი გამომიშვა.

ხათუთამ ძილუკას შეალოცვინა და გულზე ავგაროზი ჩამომკიდა. ვინ იცის, იქნება ამან მაინც მიშველოს!

- ჯურხა, რად გინდათ ამ სოფელში ამდენი კოშკი?

- ვინ იცის, კაცნი ორთ.

- მტერი არა გყავთ. ჰარაპლავნსა და ზარბაზანს კი კოშკი ვერ დაიჭერს. მაშ ტყუილად დაგიხარჯიათ უამრავი შრომა.

ბოლოს გამოირკვა, რომ ხევსურებს კოშკებიც ადათის ძალამ ააშენებინა. არხოტში კოშკები ჰქონდათ ქისტების დასახვედრად.

ამიტომ აქაც საჭიროა, საჭიროა იმიტომ, რომ "კაცნი ვართ".

კახეთში ეხლა გახურებული რთველი უნდა იყოს. ბარში თითქო დამდნარი ქარვის წარღვნაა. ქალაქში კი...

ნეტა ცალის თვალით მაინც დამანახვა ჩვენი დედა-ქალაქი და ჩვენი დედა-მდინარე!

ჯურხას შიში ემატება: სპილენძმა არ დამძლიოს და ხევსურვთში გზა არ გამაკაფინოს. ეს შიში ალბათ ჩვენი ბაასის ბრალია. ვალბილებ, მაგრამ მაინც ვამბობ, ან სხვა ვიღაც ამბობს ჩემის პირით: კარები უნდა გავაღოთ, თორემ დავიღუპებით, მანქანა და ცოდნა შემოუშვათ, თორემ ფარსმან მეფის დროს დავუბრუნდებით. ხიდი უნდა გავდოთ, თორემ დავილევით.

- უბრუნებლივ წავიდნენ ნებროთიანები, ქართლოსიანები, არშაკიდები და ბაგრატიონებიც. - ვუბედავ ჯურხას.

ჯურხას მგელიკა მიეშველა:

- რუსსა და იაპონიას შუღლი საქართველოსთვი მოუვიდათ. იაპონიის ნეფემ რუსის ნეფეს თურმე შამაუთვალა: საქართველოს პირობის წიგნი რო დახივე, კვლავ გაამრთელევავ, და აქ რო ქართველი ბატონიშვილი ას, ტახტ დაუბრუნევავ.

- მერმე? - ვეკითხები - იაპონიამ რომ გაიმარჯვა, რატომ არ დაბრუნდის ჩვენი ბატონიშივლი?

მგელიკამ კისერი მოიფხანა, გადააწიტა და მიპასუხა:

- მადის.

- ოც წელიწადში ვეღარ ჩამოვიდა?

- შორს ას და ვერ ჩამოვიდა. ოციც იდინას, ორმოციც, ხუთოციც, ბოლოს მაინც ჩამოვას. თუ თაოდ მახუცდა ან მაკვდა, იმისი შვილი ან შვილის-შვილი მაინც ჩამავას.

უნებურად გამეცინა. მგელიკა წამოდგა, მოხრილი ხერხემალი გაისწორა, უცნაურად ამაღლდა, აცახცახებული ხელით აიბაგუნა მკერდი და უმტკიცესი ხმით ამოიხრიალა:

- ჩამავას! ჩამავას!

და ზედაც აღარ შემომხედა.

ხევსურების სული სიგრძე-სიგანით თითქოს ეხლაღა დავინახე მგონი წიკლაურობა აღარ მიხდება.

სოფელში ისეთი ალიაქოთი ატყდა, თითქო ჯურხაანთ-კარს ისევ "ჰარაპლავნმა" დაუქროლაო.

ყველანი გაჰკივიან, დარბიან, იარაღს ისხამენ და ნიშისკენ მირბიან. მეც ბრმად მივდევ.

გორაკიდან სამი ცხენოსანი ჩამოდის. ხევსურები გზას უყელა-

ვენ. სამი მალიციონერი აღმოჩნდა. თურმე მე მეძებდნენ.

ჯურხა მტკიცე პასუხს აძლევს:

- აქ არავინ არ მასულას, არავინ! ვინ მაგიღა ეგ ამბავი?

- არავინ. კაცი პანკისის ხეობაში დაიკარგა. ჩვენც გზა აგვერია და ამ სოფელს წავაწყდით. გზა გვასწავლეთ.

- არ მასულას, არა. - მაინც გაიძახის ჯურხა.

მერმე უცბად გაიბადრა:

- წამაედ, ცოტა დაისვენიდი და მემრ წახვიდი.

წიქას რაღაც წასჩურჩულა და მე ბავშვივით გამომაქცია. ჯურხას ვეფიცები: არ გამოვჩნდები, მეც წიკლაური ვარ, არ გიღალატებ მეთქი. ჯურხას ჩემი სიმტკიცე უხარიან, მაგრამ მაინც ვერ მშვიდდება: ხევსურები ჯგუფ-ჯგუფად გაჰყავს განზე, ეჩურჩულება და დარიგებას აძლევს.

მილიციონერები სოფელში წაიყვანეს, ხევსურები კი ქვეით მირბიან. ჯურხა მეხვეწება, შინიდან ნუ გამოხვალო.

- აგრე იყოს. ადვილი საქმეა.

ფაცა-ფუცი არა სწყდება. მილიციონერები ქვეით მიჰყავთ.

ნახევარი საათის შემდეგ ხევში ზედიზედ ათიოდე თოფმა იგრიალა. ყველას ვეკითხები რა ამბავია-მეთქი? არავინ არ იცის. მგონი რაღაცას მიმალავენ. მაშ მე წიკლაური აღარ ვყოფილვარ!

ქვეიდან სამი ცხენი მოჰყავთ. შესდგნენ და აყაყანდნენ. მივედი და მივხვდი: მილიციონერები დახოცეს და ნადავლს იყოფენ. ცხენები და ტანისამოსი ადვილად გაიყვეს, იარაღისა და ვაზნების გულისთვის კი ერთმანერთის მოსაკლავად მიიწიეს. ბოლოს ჯურხამ გააჩუმა თვითონ არაფერი არ აიღო, ნადავლი გაჰყო, შეუტია და გარეკა.

მე რომ და?ინახა, აირია და ნაძალადევად გამიღიმა.

- ჯურხა, ეს რა ამბავია? - ვეკითხები სუსხიანად. - მაშ ყაჩაღები ყოფილხართ. სამი ცხენის და სამი თოფის გულისთვის სამი კაცი როგორ გაიმეტეთ?

თურმე მე თვითონვე ვყოფილვარ თიკანივით ტუტუცი. როგორ დავიჯერე, ან როგორ გავბედე იმის თქმა, რაც ვთქვი! ჯურხა მოღრუბლულია, ნაწყენია. სწყინს ჩემი ნათქვამი, სწყინს, რომ მე

თვითონვე ვერ გავიგე მკვლელობის მიზეზი. იგი უბრალოა, ცხადია: სამმა კაცმა უნებურად მოაგნო ჯურხაანთ-კარს. ცოცხლები რომ გაგვეშვა, გზას ისწავლიდნენ და ჯურხაანთ-კარიც დაიღუპებოდა: მოვიდოდა მილიცია, სამართალი, გადასახადი, "ცხო კანონი და ცხო ხალხი".

სხვა გზა არ იყო, უნდა დაეხოცნათ.
- გაიგია, ვაჟიკავ?
- გავიგე, ჯურხა.
- მაშ დაივიწყე. ახლა სანადიროდ წავიდათ.
კეთილი და პატიოსანი. წავიდეთ. თუ მოვახერხე. ამ ამბავსაც დავივიწყებ.
მაგრამ... თუმცა... მაინც...
კისერი მეფხანება. რა კარგი იქნებოდა, რომ ერთი თეთრი საყელო მქონოდა! ქალაქიდან ათიოდე ცალი წამოვიღე, მაგრამ ერთხელაც არ მიხმარნია. ბალღებმა დაიტაცეს და სათამაშოდ გაიხადეს.

* *

ბარში შემოდგომა მოდის, აქ კი ზამთრის პირს ვხედავ.
ირგვლივ ყოველივე გაიცრიცა. ბურუსი ტყვიასავით ჩამოწვა. დილდილით მთები და მიდამოები ჭირხლით ჭაღარავდება. ტყეში აღარც ჟოლო მოიპოვება, აღარც თხილი, არც კუნელი და არც პანტა. ჩემი ცხოვრება საზღაპრო ტყიდან მყრალ ბოსელსა და ბნელ ჭერხოში გადმოვიდა.
დედაკაცები ხორცს ამარილებენ, მატყლს ართავენ, შალებს ჰქსოვენ, რძეს სდღვებავენ და კარაქს ადნობენ. ზოგჯერ მეც ვშველი, მაგრამ ჩემი შრომა პატიმრის გართობას ჰგავს: უფრო ხელს ვუშლი და ცირკის მასხარასავით ვედები ფეხებში.
გარეთ აღარ გაისვლება. მეც დაკარგული ზაქივით დავბორიალებ - ოთხ კედელში ჩაჭედილი და თითქმის დამუნჯებული. თვალები ცეცხლის ცქერით გამიწყალდა და თეძოები წნელის ლაჭანზე წოლით დამიბუჟდა. ხინკალმა, ერბომ და ქადამ გული ამისუყეს. მყრალმა თამბაქომ და არაყმა ხახა ჩამიხლიჩეს. დათვიას სისხლი ისევ მაყვირებს სიზმარში. არც იმ სამის სიკვდილი მესმის. გავიგე, მაგრამ არ მესმის.
ჯურხას ვეუბნები:
სკოლა დავაარსოთ, ბავშვებს წერა-კითხვას მაინც ვასწავლით.

- სკოლაააა? ხო-ხო-ხო! - იცინის ჯურხა. - წერა-კითხვა ბალღებმა კა იციან. დედები ასწავლიან. სხვა არც უნდათრა.

- რატომ არ უნდათ?

- იმათ არ უნდათ რო...

- მაინც?

რაც საჭირო იყო, ჯურხამ უკვე შემოიტანა: სემენტალური ბუღა, სეპარატორი, საქონლის მოვლის ზოგიერთი ევროპული წესი და...

- სხვა რა უნდარისთ?

იმიტომ, რომ განათლება ხევსურებსაც ქართველებისავით დაალპობს, გადააშენებს, წითელ რჯულზე გადაიყვანს.

ორივეს მოგვბეზრდა ძველის განმეორება. ამიტომ მოკლე შეკამათებას არაყით ვათავებთ ხოლმე.

ჩვენს შორის ნიადაგი ჯერ გაიკაწრა, მერმე ხნულმა გაიარა, ის ხნული არხად გადაიქცა და ბოლოს ღრმა ხრამს დაემ|სგავსა.

- ბათაკას ერიდიდი. - კიდევ მაფრთხილებს ჯურხა. - მელა კაცი ას, მიპარვა იცის.

- კისერიც მოუტეხნია! მეც მელასავით გავაძრობ ტყავს.

ჯურხა რახრახებს. ჩემი პასუხი მოსწონს.

ხვალ სპილენძის მადნის საძებნელად მივდივარ.

ხათუთა ორსულად არის. წიკლაურების გვარს მიემატება!

- ხათუთი, ჩემი ხათუთი, შვილს მაჩუქებ. არა?

- რა გინდარის, ვაჟიკავ, ვაჟა თუ ქალა?

- სულ ერთია, თუნდ ვაჟი იყოს. თუნდ ქალი

ხათუთა ხითხითებს და უხარიან, იმიტომ უხარიან, რომ ხევსურ მამაკაცებს ქალის გაჩენას ღვთის რისხვა ურჩევნიათ. მე კი ქალვაჟი გავათანასწორე.

- შენ კი უშვილობისა გეშინოდა ოღონდ საცხოვრებელ გვქონდას, თორე მე თუნდ თხუთმეტსაც გაგიჩენ. - მემუქრება ცუცქის ნაცვალი.

ღმერთო გამაგებინე, ნეტა რა ხდება იმ ქვეყნად, ქვეით რომ დამრჩა? ნეტა იმ საწყლებს, ხევში რომ დამარხეს, ცოტა ადრე მაინც შევხვედროდი: მეტყოდნენ რამეს, უბრალო ამბავს მაინც მიამბობდნენ.

ძაღლების ყმუილს და უთავბოლო ყეფას დიდი ხანია შევეჩვიე. ეხლა კი სმენა ხელახლად ამეშალა.

ისიც კი ვიცი, რომელი ძაღლი როდის ატყდება, ან რა ხმაზე პყეფავს. სხვებზე ადრე ბაღათერას შავი ძაღლი აყმუვდება. თოთიას თეთრა წკავწკავით გარბის. ლომას ლომური ბუხუნი გაღმა

მთებზე ისმის. მერმე სხვებაც აჰყვებიან და ოც ხმაზე ჯოჯოხეთურ ყმუილს გააბამენ. ზოგჯერ გარეთ გავდივარ და ქვებს ვუშენ. იმ ქვებს ძაღლები არჯალი ღრინვით მისდევენ, მერმე კი უფრო მეტადაც გაავდებიან და ჩემს ბინასაც კი ეტანებიან.

ეხლა ისევ ძველი მგრძნობიარობა მიბრუნდება. ყნოსვაც ისე მქონდა დახშული, თითქო სამუდამო სურდო შემეყარაო. ეს ერთი ხანია, რაც ცხვირი ხელახლად ხევსურული სუნით მეტენება.

ღმერთო დამიფარე, რომ ხათუთას ადრინდელი სუნი ხელახლად შევიგრძნო! ჯერ-ჯერობით ისევ ოფლის, მუშკისა და დამდნარი ფიჭვის სუნი ასდის.

არა, არა! მაინც ვერავინ დამაჯერებს, ვითომ ხელოვნური ნელსაცხებელი ან უნაზესი ყვავილის სუნი სჯობდეს ჯამრთელი დედაკაცის სუნს. ხათუთას ოფლიც, მუშკიც და ფიჭვიც მისი სხეულისავე სუნია - ხოშით მათრობელი, ვნებით გამგუდავი და სისხლის ამდუღებელი.

- მაინც.... მაინც....

ოოოჰ, მაინც სად არის ეხლა გოგირდის აბანო, მექისე თათარი, სუფთა საცვალი და... თეთრი საყელო, თოვლივით თეთრი საყელო!

ამას წინათ ხევსურებმა ოცი დატვირთული ცხენი წაიყვანეს და ერთი კვირის შემდეგ ნავაჭრით დაბრუნდნენ. ჯურხამ მათი წასვლა დამიმალა.

შემიშინდა ხევსური!

თავი მეთერთმეტე

- ცუცქი, - ვუთხარი ჩემს ცოლს, როცა ფშავ-ხევსურეთში წამოსასვლელად ვემზადებოდი. - ცუცქი, აქ დაჯექი, სათქმელი მაქვს.

დაჯდა და ხორც-ნაპარევი კატასავით შემომხედა. მე დიდხანს ჩავცქეროდი მღვრიე თვალებში და განგებ ვსდუმდი. ცუცქიამ ვეღარ გამიძლო და თვალები აქეთ-იქით გააცეცა.

-- ცუცქი, მე ყოველივე ვიცი. - სუსხით ვეუბნები და ჩემს ხმაში ფოლადის სიმტკიცეს ვასხამ. |

-არაფერიც არ ვიცი. მაგრამ ისევ ვიმეორებ - რიხით და რწმენით:

- ვიცი! ყოველივე ვიცი?

--- რა იცი? -- შიშ-ნაჭამი ხმით მეკითხება ცოლი.

- გინდა გიამბო? გინდა?

ცუცქია წკვიტინებს. მერმე მალე ლბება და მელამუნება:

- ნე გლუპი, - ნუ სულელობ! მართალია, ზნაიშ ჩტო: ცუ-ქიას მშვენიერი საკაბე, დუხი, პუდრი, ლენტი, და მნოგო პრეკრას-ნი მელოჩი ჩამოუტანია. ოცი თუმანი მეყოფა. მილი! დოროგოი! კოტიკ!

ცუქია კონტრაბანდისტია. ცუცქია და ცუქია მეგობრები არიან, იქნება ერთადაც მუშაობენ?

- ცუცქი, ცუქიას თავი დაანებე. საბოლოოდ გიცხადებ, რომ შენ ჩემი ცოლი აღარ ხარ. მე მივდივარ. როცა დაბრუნდები, ყველაფერი უკვე გათავებული უნდა იყოს. ამ საქმეს ჩემი ვექი-ლი ბედურიშვილი დაასრულებს.

ცუცქიას ჯერ არა სჯერა. თან მიღიმის. თანაც ტირილისთვის ემზადება.

პირველი საყვედური - რატომ არ გავაფრთხილე ცუცქია?

ათჯერ მაინც დავემუქრე. არ დამიჯერა. თურმე ესეც ჩემი ბრა-ლი ყოფილა.

მეორე საყვედური - რატომ არ ჩამოვაშორე ელპიტია, კო-ლია, დათა და ყოველნი ბიძაშვილნი და ნათესავნი?

თითქმის ორი წელიწადი ვებრძოლე. ცუცქიას კი ეგონა, ვი-თომ "ეტო ბილო ნე სერიოზნო". ეს ბრალიც მე დამაწერა.

მესამე და მეოცე საყვედური - რატომ ძალით არ შევიყვანე ცუცქია სამსახურში? რატომ ძალით არ ვამუშავე? ღამღამობით რომ იკარგებოდა, რატომ კარს არ ვუკეტავდი? შუაღამემდე რომ დაეთრეოდა, ათასი ჰარამზადა რომ მოჰყავდა, უსაქმობით რომ ირ-ყვნებოდა, შვილს რომ არ მიჩენდა - რატომ არა ვცემდი ცუც-ქიას?! დიაღ, დიაღ! რატომ არ ვახურებდი სილებით და წკეპლით?! ესეც ჩემი ბრალია, ჩემი!

ოღონდაც, ცუცქი, ოღონდაც! ეხლა შენა ხარ მართალი. მე კი ბრალიანი ვარ, ბრალიანი. მეა კულპა, მეა მაქსიმა კულპა!

მეცინება:

- თანასწორობა? თანასწორობას რაღას უზამ, ცუცქი?

- კჩორტუ! ოჩენ ნადო! რა ოხრად მინდა ასეთი თანასწო-რობა!

ცუცქიას მართლა ტუტუცი ვგონივარ. მე კი ერთი რამე ვიცი, რაც ჩემმა ცოლმა არ იცის: ტყუილია, ტყუილი! ეხლა ბალღივით ღნავის, მაგრამ რომ დავუჯერო და ოდნავ მაინც გამოვიყენო ჯა-ლათის უფლება - აი ეხლა რომ მომანიჭა - თუნდ ერთი სიტ-ყვითაც რომ ავუკრძალო ხეტიალი ან სხვა რამე, მაშინაც აღრინ-

დება, აღნავდება, გაკრპდება. მაინც თავისას გაიტანს და მომახლის:

"პაჟალუსტა! ოჩენ ნადო!¨

ხოლო ძალა რომ ვიხმარო, თუნდ კარიც რომ ჩავუკეტო, ჩემს თავზე ქვეყნის რისხვას დაატრიალებს:

"ჩემი ქმარი ტირანია! ჯალათია! კონტრ-რევოლუციონერია! შემიბრალეთ, მიშველეთ! - პამაგიტე! რეჟუტ!¨

- არა, ცუცქი, არა! - ვეუბნები გადაჭრით. - მორჩა, გათავდა!

ღნავილი ბღავილად გადაიქცა. ცუცქია დაიღუპა! მშიერი დარ-ჩა! შვილიც მშიერი მოუკვდა!

- ცუცქი, რამდენი გქონდა ჯამაგირი გათხოვებამდე? შვიდი თუმანი, არა? შვიდ თუმანს გაძლევ გათხოვებამდე, ან.. ან.. სანამ სხვას იშოვნიდე... სანამ კოლიას ან დათას გაჰყვებოდე. ჩაგწერენ სადმე თუ არა - სულ ერთია: სანამ ვინმეს იშოვნიდე მეთქი.

ავდარმა მალე გადაიღო. თითქმის გამოიდარა. ცუცქია მირიგ-დება, მაგრამ ისევ აკვიატებულ სიტყვას ისვრის:

- პაჟალუსტა! ოჩენ ნადო!

ჩემი ავეჯის ნახევარი მივეცი და ვუთხარი:

- ესეც შენი იყოს. მაგრამ თუ ჩემ ჩამოსვლამდე ამ ბინი-დან არ გადასულხარ, აღარც ამას დაგანებებ.

ჩემი გაბუტული ცოლი ხმას აღარ იღებს.

- აბა, ცუცქი, მშვიდობით იყავი! - ვეუბნები მეორე დღეს.

მაინც თავისი წამოაყრანტალა:

- ოჩენ ნადო!

დავუყვავე, მეც ვიტირე და ისიც ავაღნავლე.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ცუცქი! ღმერთმა ეხლა კოლიას კისერზე ააყვაოს შენი თანასწორობა და აჩემებული ¨ოჩენ ნადო!¨

- მშვიდობით და ბედნიერად!

- პროშჩაი!

* *

თვალები რომ გავახილე, ხევსურებმა სიხარულის ჟრიამული ასტეზეს. ხათუთა თან სტირის და თან იცინის. ჯურხას პირსახე თითქო ნაცრით შეულესია. ლამის გამჭყლიტოს, მეხვევა და მკოცნის:

- ვაჟიკავ, ცოცხალი ხარა?

არ მესმის რა ამბავია? რად სტირის ხათუთა? რად იცინის იამზე? რად მკოცნის ჯურხა?

წამოვიწიე, მაგრამ უკანვე დავეცი. აღარც ხელი მიქრის, ვეღარც ვინძრევი, თავიც გამდნარი რკინით გამევსო.

მგელიკამ ყველანი გაჰყარა და მითხრა:

- არ გაინძრა. ვაჟიკავ, თორე ნაჭრევი გაგეხსნების.

ჭრილობა? რომელი ჭრილობა? ჰო, მართლა: ბათაკამ თოფი მესროლა.

სანადიროდ გავედი. მარტო ვიყავი. უცებ ბუჩქებში ბათაკას მოვკარი თვალი. მახსოვს თოფის გრიალი - მეტი არაფერი ტყვიამ მგონი ფილტვში გამიარა.

მგელიკა დო|ტაქრობს. დალაქიც დადის. ყოველ დღე ჩემ თავთან ოცი ექიმის კონსილიუმი იმართება. სხვებზე მეტად დედაკაცები ცხარობენ. ხათუთა თავთ მევლება და ზოგჯერ ისე დამცქერის და სტირის, თითქოს უკვე მიმავალი ვიყო. მლნა ვკვდები, მაგრამ ხათუთას მაინც ვამხნევებ:

- არა, ბათუთი, არ დაიჯერო! არ მოვკვდები, არა!

ბინდბუნდად მახსოვს: ვიღაც დედაკაცმა შემილოცა. ხევის-ბერმა დროშა, ჯვარი და ხატი მოიტანა ლოცვა, შელოცვა და ბუტბუტი არა სწყდება.

ერთი საათით რომ გონს მოვდივარ, ერთი დღე ბოდვაში ვარ:

თეთრი საყელო მიჭერს.

"ოჩენ ნადო!" - გაჰკივის ცუცქია.

სამი გამხმარი ხელი ყელიდან აღარ მშორდება

დათვიას კისრიდან დაშნა ვეღარ ამომაქვს. მისი სისხლი ტუ-ჩებამდე მწვდება.

ვიხრჩობი, ვიწვი, ვიხერხები!

სიცხემ რომ დამიკლო, ხათუთას ვკითხე

- რა დღეა დღეს?

- ხუთშაბათი ას, წელიწადის - ახალი წლის მესამე ხუთ-შაბათი.

მგელიკამ გამსინჯა და განაჩენი გამომიტანა:

- გადაშჩი! არ მახკვდები!

.,აგრე! რა თქმა უნდა არ მოვკვდები!"

სიხარულისაგან ხათუთა სტირის, იცინის და ყველაფერს მოათ-რევს - რასაც სთხოვენ და რასაც არ ეკითხებიან.

ჯურხა ისე მეხვევა, როგორც ლომი კატის კნუტს.

წიქა მამხნევებს და იმუქრება:

- დედას ვუტირებ ბათაკას, დედასა!

დღეს დღე მისდევს, - ცოხნით, ტაატით და ცოცვით.

უკვე მოვცოცხლდი, თუმცა ისევ ლოგინში ვწევარ. ჩემს ოჯახში გაუთავებელი დღესასწაულია. წამი არ არის, რომ სამზე ნაკლები მომვლელი და გამრთობი იჯდეს ჩემთან.

ხათუთა გახდა, გაიცრიცა, ვუწყრები და ვეხვეწები, დაისვენე მეთქი. მაგრამ ჩემი ცოლი გაუტეხელია. ღამეს თვალხილულად სტეხავს და დღეს უჭმელად აღამებს.

* *

წიქა თოფსა და ხმალ ხანჯალს აღარ იშორებს.

ერთხელ სადღაც თოფმა დაიჭექა.

- ის ას, ის! - დაიძახა ჯურხამ და თოფიანი გავარდა გარეთ

მართლა "ის" გამოდგა. წიქა და ჯურხა ერთად დაბრუნდნენ.

- მოყვარე ნუ მაგეშლების, ვაჟიკავ, მტერი მაგიკალით. შენი ჭირიც თან წაიტანა. - მეუბნება ჯურხა.

წიქა დინჯად იღიმება.

სადღაც შორს ბათაკას ჭირისუფლების ღმუილი და მუქარა ისმის.

უნდა გამეხარდეს. წიქას მადლობა უნდა გადავუხადო, მაგრამ არ ძალმიძს, არა! ვდუმვარ და ჭერს შევცქერი.

ძმებმა არხეინად ისადილეს, "ის" აღარცკი ახსენეს და "ყალივანები" გააბოლეს. სხვები კი - მგელიკაც, თოთიაც და დედაკაცებიც წელში გასწორდნენ და ამაყად გამოიყურებიან.

ხათუთაც კი, ჩემი ხათუთაც!

ღმერთო დიდებულო! რა მძიმე ყოფილა წიკლაურობა!

* *

ორი თვე გავიდა ჯურხამ და ხათუთამ გარეთ ძლივს გამომიყვანეს და კარებთან სამფეხაზე დამსვეს.

ხარბად შევცქერი დავიწყებულ მზეს, ლურჯ ცას და თეთრ მიდამოს. ირგვლივ არაფერი არ მოსჩანს თოვლის გარდა, არაფერი!

თოთიას და მგელიკას სახლები თეთრი გვირაბით არიან შეერთებულნი. ვიწრო ბილიკს ორივე გვერდით ხუთ-ადლიანი თოვლის კედლები აქვს აღმართული. მგონი თოვლი დნება.

ნანუკას ვეკითხები:

- დედიკავ, როდისა გვაქვს აღდგომა?

- სამი კვირაე დარჩა, სამი. მაგეწყინაა, ვაჟიკავ?

მომეწყინა? ეგ არის. სწორედ ეგ არის! ნანუკამ ნამდვილი სიტყვა იპოვნა. ქალაქშიც ხშირად ისმის ეს სიტყვა, მაგრამ იქ იგი ფუჭია, გამოფიტული, უბოძო.

ქალაქში ზოგჯერ მეც მითქვამს: "მომწყინდა". ირგვლივ კი უთვალავი ხალხი, ეტლი, ავტო, კლუბი, დრამა, კონცერტი, ყავა-ხანა, ლექცია, რესტორანი, სტუმარი და გაზეთი, მეცნიერება და ხელოვნება, შემოქმედების დუღილი და ცხოვრების თრთოლვა, ბრძოლის ქუხილი და სიცოცხლის ხალისი.

აქ კი "მომეწყინას" რკინის. ხერხემალი და მარცვედის ბო-ძები აქვს. იგი აგერ იმ მთასავით მძიმეა და აი იმ უსაზღვრო თეთრი თოვლივით გაუძლისი.

არა, არა! აღარ შემიძლიან წიკლაურობა, აღარა!

- ბათუთი, გენაცვალე, შვილს როდის დამიბადებ?

იღიმება და თითებზე ითვლის:

. აღდგომის შემდეგ ხუთ კვირაე რო გავოს.

მაშ ორი თვის შემდეგ, გაზაფხული რომ გაიშლება.

ღმერთო, მიშველე!

- ხათუთი, არ გინდა ქალაქი გაჩვენო?

- რააად მინდა ქალაქი? რად მაგაგონდა ქალაქი?

- ისე მომაგონდა. გეხუმრები... დაივიწყე.

იმ დღიდან ხათუთა ვერ ივიწყებს. ეჭვი და შიში შეეპარა. ვაი თუ მართლა მომწყინდა ჯურხაანთ-კარი? იქნება ისევ დავუ-ბრუნდე იმ ქვეყანას? მერმე, ხათუთამ რა ჰქნას? წავიყვან? ან რად უნდა რომ წავიყვანო? იქ რად გამომადგება ასეთი ცოლი? ეხლა მე ვარ უცხოეთში. ხათუთას ხელში, ქალაქში კი ხათუთა გახდება უცხოელი და გარეული ქათამივით "სხვას" შეერევა.

ხათუთა აღარ მასვენებს, დღეში ორჯერ მაინც მეკითხება:

- რას ხფიქრობ, ვაჟიკავ?... ხო არ მაგეწყინ, ჩემო ყველავ? ცუცქნაი ხო არ გაგონდების?

და მისი კოცნა შარშანდელზე უფრო ცხელია და ბანგიანი.

მეც ნელნელა ვაძინებ ჩემი ცოლის გაჩუჩუნებულ ეჭვს.

დამშვიდდი, ჩემო ხათუთი, დაწყნარდი. მე არსად არ მივდი-ვარ, არსად. ცუცქიას სახეც კი დავივიწყე. არც სხვა ნათესავები მაგონდებიან. ყველანი აქა ხართ აქა: ჩემი მამებიც, დედებიც ძმებიც, დებიც და.....

- შენც, ჩემო ხათუთი, შენც!

მაშ რად უნდა ამოვიძრო ახალი ფესვები ახალ მიწიდან, რომელმაც დედაშვილურად მიმიღო და ასე უხვად მაწოვა თავის ბარაქიანი ძუძუ?

ხათუთი, მიყუჩდი, განელდი, დაიძინე! ჯერ ადრეა ფიქრიც, შიშიც და ზრუნვაც. ჯერ თოვლი დადნეს, გაზაფხული რომ მოვა და გზებიც გაიხსნება, შენც და ჯურხასაც მაშინღა მოგელაპარაკებით.

შენ არ მაფიქრებ. ჯურხამ კი... ჯურხამ არ იცის, ან უკვე დაივიწყა, რომ სხვა მიწაც არსებობს - აქაურზე უფრო ლამაზი, მოძრავი, ღონიერი, მადლიანი. მაგრამ ესეც მერმე იყოს. ჯერ-ჯერობით კი მზე ოდნავ მათბობს. თეთრმა ფერმა თვალები მატკინა - აზმაითი მემართება.

- ჯურხა, შინ შამიყვანე!

- მავდიორ, ვაჟიკავ, მავდიორ!

- აბაიმე, მე აქ არ ორა? - სწყინს ხათუთას.

იღლიაში დედაბოძივით მიჯდება და მივყევარ.

- რა ღონიერი ხარ, ხათუთი!

- მა რა! - უხარიან ხათუთას. - შენი ცუცქნაი კი ნუ გგონავ?!

და დიდი ზარივით რეკავს მისი ხმა:

- ცუ|ცქნაი... ხო-ხო-ხო!.. ცუცქნაი, ცუცქნაი, ხა-ხაახა!

* *

ჯურხამ ჩემი განკურნებისთვის ღამის თევა გამართა.

¨წალალეს მაწევარი¨, მოვიდნენ ჯვარიონნი, მოიტანეს დროშა და დაგვამწყალობნეს ღამის მთეველნია.

ქვევრებივით სვამენ, კიდობნებივით სჭამენ, უცნაურს გაჰკივიან, ტოშ-ფანდურზე დახტიან. ღრეობენ, მღერიან და ვაჟკაცობას იქადნიან.

თეთრად გავათენეთ და მკვდრებივით დავეყარენით.

საღამოზე აფშინამ ¨თავ-მასაპარსავო¨ გამართა. ისევ ხევის გერი, ისევ დამწყალობება, ლუდ-არაყი, ხინკალი, ტოშ-ფანდური, ხტუნაობა, ღრეობა და სიმღერა.

ერთი წლის ბაღათერას ფრჩხილის ოდენა ალაგზე თმა ¨მახპარსეს¨. ეს იყო საბაბი ღრეობისა.

ჯურხა ნანობს, რომ მე ავადმყოფობის გამო ხევსურების უქმეები ვერა ვნახე - წელიწად-წუხრა, კუმეტი და სულთ აკრეფა. სამაგივროდ მგელთ უქმი ვიუქმე, რათა მგელს აღარ შეეჭამნა

ჩვენი საქონელი, და კუდიანთ წუხრას წესებიც შევასრულე. ნა-
ნუკამ ნახშირით სავსე ჯამით ჩამოგვიარა, თითოსთვის თითო
ნახშირი გადააგდო და სთქვა:

- ჯვარი გეწერას, ქრისტემ დაგდვას ბეჭედი!

საღამოზე დიდი ცეცხლი ავანთეთ, მეც მუგუზლებს ვისროდი
და ვყვიროდი:

- გრიაიიი! გრი კუდიანი, გრიაი-ი-ი!

ამ დროს მთელ სოფელში თოფის გრიალი იდგა. ჩვენებიც
ისროდნენ და გაიძახოდნენ:

- ამაგის მეტიმც ნურა მიგაქვთ ჩემი სახლისა. თავისა შას-
ვით და შაჭამეთ!

მერმე მგელიკამ კარები ჩაჰკეტა და დაილოცა:

ქრისტემ დაგდვას ბეჭედი, ქრისტემ!

ჯურხა მარწმუნებს:

- ამ ღამეს არ შაუძლავ, რო მესმინაეს გარდა შიშით კარჩი
ვინმე გაიარას, თორე კუდიანებ დასწყევენ, ან მახკვლენ.

- ჯურხა, გჯერა რასაც ამბობ? - ვეკითხები.

ჯურხა გაოცებულია. მაგალითებით მაჯერებს, რომ ვინც კუ-
დიანთ წუხრა დაარღვია, კუდიანმა "მაპხკლა". ხათუთაც მეფიცე-
ბა მზეს, მთვარეს, გუდანის ჯვარს და ათიოდე ხატს, რომ მან
ცხადად ნახა ეშმაკი.

მეც მაგონდება: შარშან ზაფხულში საღამო ჟამს ხათუთა
გულგახეთქილი მოვარდა და მთელი სოფელი შეჰყარა: გზაში
კუდიანი შემხვდაო. დიდი და პატარა მოვიდა. მოუყვანეს მკითხა-
ვი, ხატს შეუთქვეს, შეულოცეს და ძლივს დაამშვიდეს. ხათუთა
გულადი ქალია. - დათვსაც კი გაექცევა, მაგრამ ავი სულის
ხსენებაზე ელეთ-მელეთი მოსდის.

- მაშ შენ არ გჯერავა? - მეკითხება ჯურხა.

- არა, არა მჯერა არც ოჩოპინტე, არც კუდიანი, არც მაძა-
ხურა, არც მეჯალაფე.

- იმით არ გჯერავ, რო ბატარაოობით შენც დამპალი ხარ,
ქალაქელი ხარ.

წყენით გადააწიტა და მისაყვედურა:

- წიკლაური არ ხარ, ვაჟიკავ, წიკლაური!

ძლივს მიჰხვდა ჯურხა, რომ მე წიკლაური აღარა ვარ. წიკ-
ლაურობა ვცადე, მაგრამ დავმარცხდი. მეტად მძიმე და უჩვეულო
ტვირთი მოვიკიდე. ეხლა დროა სულიც დავიმშვიდო და მუხლიც
შეკ[ტო, თორემ წავიქცევი.. საცაა წავიქცევი!

შარშან იმ ქვეყანამ ამოაბოყინა და ჩემი თავი წიკლაურებში გადმოაგდო. ეხლა საცაა ჯურხაანთ-კარიც ამომანთხევს და უკანვე გადამისვრის.

ამის გამო ნუ იდარდებთ, ნურც გამიწყრებით, ჩემო ძმებო, მამებო, დედებო და დებო, ნუ! იდარდებთ, ნურც დამძრახავთ!

თოვლი დნება. გაზაფხული მოდის - ჩემი გაზაფხული! დიდი გაზაფხული!

თეთრ საყელოს ვბედავ - განიერს, მაღალსა და აქაური თოვლივით სპეტაკს.

* *

ჯურხას სანადიროდ მივყევარ. მე ვეუბნები, იქით წავიდეთ სადაც სპილენძი მეგულება მეთქი. ჯურხას კი განგებ მეორე მხარეს მივყევარ.

ცხადია, სპილენძისა ეშინიან, სპილენძისა!

აქამდე ნადირობის წესს არ ვღალატობდით. ჯიხვს რომ ვეპარებოდით, "ნადირთ წყემსს" ჩურჩულით ვეხვეწებოდით:

- ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ, მამეც ჯიხვთ თავი, მამაკალიე! სულნი ხო შენნია ნადირთანი? რას მააკლდების შენთ ნადთრთ?

ჯიხვს რომ გადავჩეხავდით, ზედ მივაყოლებდით:

- მადლობელი ორ შენი, ოჩოპინტევ, მადლობელი!

ორი დღე ვიარეთ, მრავალჯერ მივეპარეთ ჯიხვს.

- ნადირთ მწყემსო ოჩოპინტევ, მამეც ჯიხვთ თავი. - ჩურჩულებს ჯურხა და მეუბნება: - ვაჟიკავ, შენც შეავედრე.

მე გავკერპდი. ხმას არ ვიღებ. არა მჯერა ოჩოპინტე.

- შაევედრე, ვაჟიკავ, თორე ვერ მახკლავ.

- მავხკლავ! - ვურჩობ მე და არჩვს ვეპარები.

- ვერ მახკლავ-მეთქი!

- მავხკლავ-მეთქი!

ნადირს ათჯერ მივეპარეთ. ათჯერვე გაგვიგო და წაგვივიდა. ხუთჯერ ვესროლეთ და ხუთჯერვე ავაცდინეთ. ჯურხა ჩვენს მარცხს ოჩოპინტეს აბრალებს:

- ვერ მავკალით. ჩვენ რო ვეპარებით, ოჩოპინტე ჯიხვს ეუბნების: აბა მაიქცენით! მენადირე გეპარებისთ!

ერთიც ვერ მოვკალით. ხელცარიელნი დავბრუნდით და საქვეყნოდ შევრცხვით. ჯურხა წიკლაურების შერცხვენას მე მაბრალებს, რადგან "ოჩოპინტეს" არ შავავედრივ".

მეორე დღეს ჯურხა და წიქა წავიდნენ და საღამოზე ორი {იხვი ჩამოათრიეს.

დავმარცხდი. საბოლოოდ დავმარცხდი! ჯურხაანთ-კარი მხოლოდ ჩემზე ყაყანებს. ვუღალატე ხევსურებს! გადავუდექი ოჩოპინტეს!

აგრე იყოს! ოჩოპინტეს კი აღარ შევეხვეწები! მორჩა და გათავდა! რაც მოხდა, მოხდა!

აღარა მჯერა შენი, ოჩოპინტევ!

მართლა: ნეტა ვიცოდე, იმ ქვეყნად რა ხდება?

ისევ თეთრი საყელო მელანდება. წუხელ სიზმარში ფუქსავატური და თანაც საზეიმო შავი ფრაკი, თეთრი ჟილეტი, ლაკიანი ფეხსაცმელი, მბზინავი და გახამებული საყელო ვნახე - თეთრი, მაღალი, კრიალა საყელო!

* *

რიგისა და მოლოგინების დროს ქალი უწმინდურია. შინ რომ დარჩეს, ყველას და ყოველივეს წაბილწავს. ძუნწი გლეხიც კი არ გაიმეტებს საქონელს და აქაურ ბოსელ დსამრევლოში არ შეაგდებს. ხევსურები კი თავიანთ დედებს, ცოლებს და დებს ამ ყინულეთში ამყოფებენ.

თუ ბოსელში მოკვდა ვინმე, სხვაგან მარხავენ - უწმინდურიაო. რიგის დროს ქალს შეუძლიან ყველაფერი მოაჯადოვოს. რასაც კი მიეკარება, გაფუჭდება, გახმება, დაიშრიტება, წაიბილწება. იმ დროს მას იდუმალი ავი ძალა აქვს, სისხლში და სულში შხამი უდგას და კაცს მოშორებით უნდა ჰყავდეს იგი.

თვეში ერთხელ ხათუთები, იამზენი და მზევინარები ლოგინს, ხელსაქმესა და სანოვაგეს აიკიდებენ და ერთი კვირით ბოსელში გადადიან. იქ თვით სიკვდილიც რომ დაუხვდეთ მათ, ვერავინ ვერ მიეშველება - "წესი ას", ადათია!

ეს რომ ვნახე, ჩემი ადამიანობა აღშფოთდა და ვიფეთქე. სადაც კი ხმა მიმიწვდა, ჩემი გულის რისხვა გამოვთქვი, მაგრამ თანაგრძნობის ნაცვლად მხოლოდ სიცილს წავაწყდი..

- წესი ას! - მესმოდა პასუხად.

- ჩვენს მამაპაპებს შამოუღიავ და ჩვენ არ უღალატებო.

რად შემოუღიათ, რისთვის, რატომ არავინ არ იცის.

- მაშ თქვენს წინაპრებს ყირამალა, სიარული რომ დაედოთ წესად, თქვენც მაგრე ივლიდით?

- ვივლიდით, ვივლიდით. - იცინიან ხევსურები.

ყველაზე მეტად ქალების გულგრილობამ გამაოცა. ისინი ბოსლის მოსპობას კი არ მოითხოვდნენ, არამედ მის გათბობას, გაუმჯობესებას და იქ-ყოფნის დროს სრულ ხელისშეწყობას.

- რატომ არ გინდათ სულ მოვსპოთ ბოსელი?

- იმით, რო...

იმიტომ, რომ იგი დასასვენებელი ალაგია, ჯერიანთა და მელოგინეთა კლუბია, სალაყბოა. ქალები ჩივიან, მამაკაცები ნამეტან ჯაფას გვაყენებენ და მხოლოდ აქ ვისვენებთო.

ყველაფერი რომ ავწონე, დასვენებამ განდევნას და სიცივესაც გადასძლია და ჩემმა რისხვამაც დაიკლო, მერმე კი სულ გაქრა და მეც დავდუმდი.

ხათუთა მშობიარეა და ამიტომ ბოსელში შეაგდეს. იქ უნდა მოილოგინოს. ტყავები შეუყარეს, წყალი და პური შეუტანეს და გოდორი მიუგდეს.

ხათუთა უწმინდურია, ჭირიანი, კეთროვანი: ახლოსაც არავინ არ გაეკარება - არც მშველელი, არც ბებია, ვერც ნათესავი, ვეღარც დედა! მარტო წნელის გოდორი, დიდი წამება და უძირო მოთმინება დაეხმარება მას.

იმ ბოსელს გარშემო ვუვლი, ხათუთას კვნესა მესმის. მსურს სანათურთან მივიდე და ჩემს ხათუთას ორიოდე სანუგეშო სიტყვა მაინც შევუგდო, მაგრამ მგელიკა გადამეღობა და მითხრა.

- ვაჟკაცისთვის სირცხვილი ას. ნუ მიეკარები!

- მაშ დედაკაცმა მაინც უშველოს!

- აჰ, ვერც დედაკაცი შავოს.

მარტო იმ დედაკაცს აქვს უფლება დაეხმაროს, ვინც ხათუთასავით ბოსელში ჰგდია. საუბედუროდ ჯურხას ჯალაბობას საკუთარი ბოსელი აქვს და იმ ბოსელში ამჟამად ხათუთას გარდა არავინ არ არის.

მე თოთიასთან გამაგდეს. ხათუთას კვნესა იქაც მომდის. საღამო ჟამს უკანვე დავბრუნდი. თოთია და იამზე არ მიშვებდნენ, მაგრამ გამოვიქეცი, რადგან მინდოდა ჩემი ცოლის ახლოს ვყოფილიყავი.

მე და ჯურხა ბუხრის წინ ვსხედვართ ჩაკუნტულები. ყალიონებს ვაბოლებთ და ისე დინჯად ვბაასობთ ოჩოპინტეს ძალაუძალობაზე, თითქო ჩვენს გვერდით ჩემი ხათუთას მაგიერ კატა სჩხაოდესო.

კვნესას წკმუტუნი ერთვის. ჩვენ კი კუდიანებზე გადავდივართ.

წკმუტუნს ღმუილი მოსდევს. ჯურხამ მაძახურა გაიხსენა.

ხათუთამ დაიღრიალა. ჯურხა ფარსმან მეფეს მისდევს.

- გოდორი მიიშველიდი, გოდორი! - გასძახის მოხურული კარიდან იამზე.

მშობიარე დასაკლავი ძროხასავით ჰბღავის. ჯურხა ეხლა მეჯალაფეს გამოეკიდა.

- მაითმინევ, ქალავ, მაითმინევ! - არიგებს ჩემს ცოლს ნანუკა.

უცებ ხათუთა კატასავით აჩხავდა, რომელსაც ახრჩობენ.

- ჯურხა ეშმა დააფრთხე, ეშმა! - ჰყვირიან ერთად ნანუკა, იამზე და მზექალა.

- არ მოკვდების. - დინჯად უპასუხა ჯურხამ.

მაინც წამოდგა და გარეთ გავიდა, თანაც თოფი გაიტანა. მგელიკა, წიქა და თოთიაც მისდევენ, --- ისინიც თოფებით და დამბაჩებით შეჭურვილი.

ასეთია უწინდელი ირანული წესი. ასე უბრძანებია ავესტას.

გაფითრებული ვდგევარ და ვცახცახებ. ხათუთა გმინავს. ჯურხა კი ბოსლის სანათურთან ეშმას თოფით აფრთხობს. ჩემი ცოლი, ჩემი ხათუთა ჰგოდებს, სანათურთან კი ისეთი გრიალი ისმის, თითქოს მტრის ჯარს იერიში მოჰქონდეს.

- გოდორი მიიშველიდი, გოდორი! არ შაშინდე, ქალავ, არ შაშინდე! - გაჰკივიან კართან დედაკაცები.

თოფ-დამბაჩების გრიალმა და ჭახა-ჭუხმა ხათუთას ბღავილი ერთი წუთით შთანთქა, მაგრამ უცებ შადრევანივით ამოხეთქილმა გოდებამ, წრუწუნმა და ვალალმა ჭექა-ქუხილი დაჰფარა და ჩემი ყურთა-სმენაც გასჭედა.

ვიღაცამ თუ რაღაცამ იმ ბოსელში ყუმბარასავით შემაგდო.

- ხათუთი... ჩემო ყველავ... ჩემო თუთი!

ხათუთა სტირის, იცინის და პირისახეს ცრემლით მისველებს.

- სირცხვილი ას, ვაჟიკავ, სირცხვილი - მესმის ჩვენი ოთახიდან.

- სირცხვილი თქვენ, თქვენა მეთქი! - გავძახი ბოსლიდან და ჩემს მჩხავანა შვილს თბილ წყალს ვასხავ.

ხათუთა ამ ბოსელში ორმოც დღეს უნდა იწმინდებოდეს. დედასთან ვერავინ შედის, ადათის დარღვევას ვერავინ ჰბედავს.

შუაღამე რომ მოატანს, მხოლოდ მე შევიპარები ქურდივით და ხათუთას სასმელ-საჭმელს შევუტან და ცხადლივ ვხედავ და აშკარად ვგრძნობ, რომ ასე მძლავრად ხათუთას ვერ არასოდეს არა ვყვარებივარ. მიზეზიც ცხადია: სიყვარულს მხურვალე მადლიერობა დაეტყო. ხათუთა ადამიანად ჩავთვალე, მამაკაცს გავუთანასწორე.

- ხათუთი, როგორა ხარ, გენაცვალოს ვაჟიკა?

ჩემი ცოლი სიამისგან ხითბითებს და ისევ ცრემლით მასევე-ლებს. ჩემი შვილი ხან ტირილით იჭაჭება, ხან კიდევ გაოცებულ თვალებს მიბრიალებს.

- კარგად იყავი, ხათუთი, კარგად. მოითმინე და განიწმინდე. მალე მე და შენ ერთად განვიწმინდებით, ერთად!

ხათუთას ჩემი ნათქვამი ჯერ არ ესმის. მიღიმის, მკოცნის და მეხვეწება:

- ბათაკას ძმას ძაღლიკას ერიდე.

- კეთილი, ჩემო მეგობარო, კეთილი! ჩემს თავს გავუფროხი-ლდები, ოღონდ შენც გაუფრთხილდი შენს თავსაც და ჩვენს ვაჟ-საც.

ადათი დავარღვიე? წიკლაურები ერთხელ კიდევ შევარცხვინე? ნიაღვარსაც წაუღია ასეთი ადათიც და ასეთი გვარიც! მე ადამიანი ვარ, ადამიანი! გესმის, ოჩოპინტე - ჯურხავ, თავდაპირველად ძე ადამიანი ვარ მეთქი. ადამიანი!

ღმერთო გამაგებინე, გაღმა მხარეს რა მოხდა? ნეტა იმ ქვეყა-ნაში რა ამბავია? თოკებით ვყოფილვარ იმ ნაპირთან მიბმული. ვიღაც თუ რაღაც სჭიმავს ამ თოკებს და გაღმისკენ მიმათრევს.

გაზაფხულიც მოვიდა, დიდი გაზაფხული!

თავი მეთორმეტე

ხათუთა გაიწმინდა და ბოსლიდან გამოვიდა ჯერ სინათლეს ვერ უძლებს და თვალებს სჭუტავს. გაიცრიცა და გახდა. ლასლა-სით დადის და ჩურჩულით ლაპარაკობს.

ჩემი შვილი კი ხუთმეტი გირვანქაც გამოვა. პაწაწა თითებით ლამის წვერ-ულვაში დამაგლიჯოს და ფეხებით მუცელი ჩამინგრი-ოს. მისი შენაძახი მთელ სოფელს ესმის.

თოთიასთან გადავედით. ხათუთა ისვენებს და ფერზე მოდის. განატიფდა და უფრო დამშვენდა. შარშან მოჭიდავეს ჰგავდა, ეხ-ლა კი ანჩის ღვთისმშობელს დაემსგავსა. თხოვნა შემისრულა. ძროხის შარდზე ხელი აიღო და საცვალი შემიკერა. ჯერ-ჯერობით ესეც მეყოფა.

- მე მიზეზიანი აღარ ორ. - უხარიან ხათუთას. - აღარც ლიშანი მემართების, აღარც მაძახურაის ლავი მაჩნავ. შალოცეამ მიშველა.

- ტყუილია, ნუ გჯერა. - ვეუბნები. - შელოცვამ კი არა, გათხოვებამ გიშველა.

- გათხოვებამ? - უკვირს ხათუთას.

- ჰო, ჰო, გათხოვებამ, ორსულობამ, დედობამ.

- აბაიმე!

მკერდიდან ავგაროზი მოვიხსენი, ხათუთასაც მოვხსენი და გადავყარე.

ხათუთას ეშინიან, ლავი დამიბრუნდებაო, ისევ მიზეზიანი გავხდებიო. მე ვამშვიდებ და ვეუბნები:

- ხათუთი, მენდე. მე შენზე მეტი ვიცი, ნასწავლი ვარ.

- სწავლაა? რაი ას სწავლა!

სწავლა რომ სასიკეთო ყოფილიყო, ჯურხაანთ-კარში არ გავიხირებოდი და არ გავწიკლაურდებოდი.

ხათუთას საყვედური სამართლიანია, ჯურხაანთ-კარი უნდა გავარღვიო და წიკლაურობაც ჩამოვირეცხო.

იმ საღამოს წიკლაურებმაც საყვედურით ამავსეს. რად მოვშალე შენალოცი? რად გადავყარე ავგაროზები? ხათუთას ძლივს მოაშორეს ლავი, ეხლა კი ხელმეორედ უნდა შეულოცონა და ავგაროზიც ჩამოჰკიდონ.

შეულოცეთ, შეულოცეთ! სულ ერთია, თქვენს შენალოცს ისევ მოვშლი და იმ ავგაროზსაც ხევში გადავაგდებ. მერმე კი... მერმე შესალოცავიც აღარ გეყოლებათ.

ეხლა შვილის სახელზე ამიხირდნენ. მგელიკა ჯურხას სახელს მჩრის, ჯურხა - მგელიკას. იამზეს ბაღათერა მოსწონს, მზექალამ ხირჩლა აიჩემა, ხოლო ნანუკა მინდიას ჩააცივდა.

- შენ რას იტყვი, ხათუთი?

- რაც შენი ნება იქნების.

- მე ნოდარი მომწონს, ან შალვა, ან თორნიკე, ან არჩილი

- სადაური სახელები ას?

- ქართულია, ნამდვილი ქართული. აი კიდევ კარგი ქართული ხახელები: ცოტნე, სეხნია, სულხან, ოთარ, ამირან, სარდიონ, აირჩიე, რომელი მოგწონს?

- ნოდარ კა სახელ ას, თუცა...

თუმცა ეხამუშება. ყოყმანობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით სდუმს.

- ჩვენებური ქართული ისწავლე, ხათუთი. უნდა სთქვა: ნოდარი კარგი სახელია. გაიმეორე, გაიხსენე ქალაქური ქართული, გამოგადგება.

- რااად გამამადგების? - ისევ გაიჩუჩუნა ხათუთამ.

დროა! სათქმელი უნდა ითქვას და გათავდეს!

- ქალაქისთვის გამოგადგე.ბა. გაემზადე, ხათუთი, ქალაქში უნდა დავბრუნდე.

წამოხტა, გაფითრდა, პირი დააღო და ისევ ჩამოჯდა.

მე უმალვე გარეთ გავედი.

დაე მოიფიქროს. თუ ვერ დასძლია, მივეშველები. .

ღმერთო ძლიერო! მართლა რა ძნელი ყოფილა აქედან წასვ-ლა! მთა და ხევი აიშალა, აიბურა და ერთ უზარმაზარი ყვავილივით გაიფურჩნა. ეს ყვავილი მარეტიანებს, მზის სითბო გულში მწვდე-ბა, ჰაერი მათბობს. ციყვი ისევ დაბრუნდა, ისევ ჩინჩხვარს ახრა-მუნებს და მაფურთხებს. ლომა გვერდით მიწევს და მდარაჯობს. იქ კი, ჯურხაანთ-კარში, წიკლაურები ფუტკარივით ფუსფუსებენ. ერთმა წიკლაურმა გვარი შეურცხვინა, ოჩოპინტე დაჰგმო, მაძახუ-რა უარჰყო, კუდიანებს აუჯანყდა.

ღალატია, ღალატი!

ხოლო აქეთ, შორეული ქედის გადაღმა, და კიდევ ხუთჯერ გა-დაღმა, უხილავი თოკი თანდათან იჭიმება. იმ თოკის ბოლო ყულ-ფივით მაბია ყელზე, იგი თანდათან იჭიმება და დასახრჩობი ძაღლი-ვით მიმათრევს. ან უნდა წამოვდგე და სირბილით გავყვე, ან...

ან კერპი ძაღლივით უნდა დავიხრჩო!

ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს ნელ-ნელა ვკვდებოდე და ჩემს დამარხვას მე თვითონვე ვესწრებოდე. მაგრამ მე ჯერ არ მინდა სიკვდილი, არა!

ხათუთა, მოემზადე! თქვენც მზად იყავით - ჯურხაე, მგელი-კავ, თოთიავ, ნანუკავ, მზექალა და იამზევ!

მოვდივარ! წასასვლელად და წასაყვანად მოვდივარ!

მართლა, ნეტა ვიცოდე, იესო მაცხოვარი ვინ გააცოცხლა, მამა-ღმერთმა თუ ხალხის სიყვარულმა და მიწის ძალამ?

ვინ მეტყვის?! ვინ გამაგებინებს?! ვინ ამიხელს დახშულ თვა-ლებს, ვინ დამიბრუნებს დაკარგულ სმენას, ვინ ამილესავს დაჩ-ლუნგებულ ალღოს?!

მინა მეთქი, ვინ?!

იქნება გაღმა მითხრან...

ეგებ იქ მიშველონ -

იქ, სადაც თეთრი საყელო მელოდება.

- ხათუთი, დიდი ქვაბით ამიდუღე წყალი. უნდა ვიბანავო.

ხათუთა გაოცებულია. ოღონდაც, ოღონდაც! მთელი წელიწადი ისე გავიდა, რომ ერთი ცვარიც არ მიჰკარებია ჩემს ტანს, ეხლა კი...

- რა დაგემართა, ვაჟიკავ?

- უნდა ვიბანავო მეთქი. შენც უნდა იბანაოო. ხათუთი.

ზის და პირღია შემომცქერის.

- აბა წამოდექი. მეც გიშველი.

-- მე არ მი ბანაობა.

- შენი საქმეა, მაგრამ იცოდე, გვერდით ნუღარ მომიწვები .

წყალს ადუღებს და ჰბუტბუტებს. შუბლი შეკრული აქვს. ჩემი რომ არა სცხვენოდეს, მგონი კიდევაც იტირებდა.

ქვა და ბალახი მოვიხმარე და ერთი წლის ჭუჭყით ორი ვარცლი წყალი გავაშავე, მერმე ჭერხოში დავწექი და გავირინდე.

ქვემო სართულში - "შინ¨ - წყლის ჭყაპუნი ისმის. საკვამლედან ვიხედები. ხევსური ვენერა ვარცლში სდგას და ბანაობს.

გავიმარჯვე, გავიმარჯვე!

- ხათუთი! - ვეძახი ზევიდან. ბანაობას რომ ათავებს. - ეხლა ნოდარიც აბანავე.

- ხირჩლაი?

- ხირჩლა კი არა, ნოდარი ჰქვიან, ნოდარი!

- ჩვენი შვილი? - ნოდარსაც გაურბის ხათუთა და ხირჩლასაც ერიდება.

- ჰო, ჩვენი შვილი, ჩვენი. აბა კარგად გარეცხე.

ჯერ სდუმს და ყოყმანობს.

- აბანავებ თუ არა, ხათუთი?

- კა, კა, ვაბანავებ.

აგრე!

* *

მიპოვნეთ, ვიპოვნეთ! თვე და რიცხვი ვიპოვნეთ! დღეს პირველი ივნისი ყოფილა, პირველი!

დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა!

სამაგივროდ მთვარის რიცხვი დაგვეკარგა. ერთმა ხევსურმა, თიანეთში ჩაპარულმა თორღვამ, თვე და დღის რიცხვი ამოიტანა. მაგრამ გზაში მთვარის ასაკი დაჰკარგა. ეხლა ჩვენს კარებთან ჩა-

კუნტულა, ყალივანს აბოლებს და მოგონებით იჭინვება. სხვებიც ჩაცუცქულან, აწიტებენ და ჰყუჩობენ. ეშინიანთ, ყაყანით თორღ-ვას უარესად არ დავუფრთხოთ ხსოვნაო.

- ვეღარ მაიგონეა, თორღვაისი? - ვეღარ უძლებს დუმილს დეკანოზი.

- ან ცხრა დღისა ას, ან თექვსმეტისა იქნების, - ასე იგონებს დავიწყებულს თორღვაი.

- აუ-უ-უ, მეტად გაგირძელებავ, - უიმედოდ ჩიფჩიფებს დეკანოზი და ეხლა თვითონაც იჭინთება: ასი წლის ტვინს იქაჯავს, დამდნარ თითებს იშველიებს და უკბილო პირით ჩიფჩიფებს:

- მერამთვენე თვე ას ივნისი?

და თვალებით მთხოვს დახმარებას.

- მეექვსე. - ვეხმარები მეც.

დეკანოზმა ექვსი თითი დაიკეცა.

- თვის თავიც ერთი იქნების.

და ერთი თითიც მოიღუნა.

- ნიადაგიც ერთი იქნების.

და კიდევ ერთი თითი მოჰკეცა.

- ეს იქნების რვა... მემრ მავოს ზედნადები. ზედნადები...

დიდხანს პფიქრობს. მერმე მოჭუტული თვალით მიმზერს და მეკითხება:

- რამთვენ იქნებივ ზედნადებ?

არ ვიცი. სხვებმა იციან. დეკანოზს კი დაავიწყდა.

არა უშავსრა. კიდევ ჩაიპარება ვინმე თიანეთში და მთვარის ასაკსაც გაიგებს. იმ დრომდე სამაგივროდ ხელმეორედ დაჰკარგა-ვენ თვესა და რიცხვს.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო. ასეთ დღეში იქნებიან მუდამ, სანამ ჯურხაანთ-კარში ერთ დაგლეჯილ კალენდარს მაინც არ ამო-იტანენ და ერთი გაცვეთილი და მოთეთრო საყელო მაინც არ გაჩნდება. :

* *

- რაად მისდიხარივ, ვაჟიკავ? - მეკითხება წიკლაურთა მამამთავარი მგელიკა.

პასუხს ვაძლევ. დიდხანს ვლაპარაკორ. სიტყვას არ მაწყვეტი-ნებენ. გულმოდგინედ მისმენენ.

მგელიკა სთვლემს. თოთია ბუხარს შესცქერის. ჯურხა "ყალი ვანის¨ ტარს ჰღრღნის. წიქა მოღრუბლულია. დედაკაცები ბნე-

ლი კუთხიდან ჭოტებივით მიყურებენ. ხათუთა მკერდით და პირსახით ეკვრის ჩემს ზურგს. ბეჭი სველი მაქვს.

დინჯად და მშვიდად ვეუბნები: ქვეყნის ქარიშხალმა გამომწურა და დამამჩატა. ამიტომ დავრჩი ჯურხაანთ-კარში, ამიტომ გავმიწავდი და გავწიკლაურდი. თქვენი სოფელი მიწის ძუძუდ მომეჩვენა. მეც დავეწაფე და დავისვენე. უთვალავია თქვენი მადლი, წიკ ლაურებო! განუზომელია თქვენი სიკეთე, ხევსურებო!

- შენ ჩემი ღვიძლი ძმა ხარ, ჯურხა! პირი ნუ მიიბრუნე, უნდა დაგკოცნო. მოიცა, ერთხელ კიდევ... კიდევ ერთხელ.... კიდევ, კიდევ!

მერმე მამას მივუბრუნდი:

- შენ ნამდვილი მამობა გამიწიე, მგელიკავ. უნდა ჩაგიხუტო!.. შენც ჩამიხუტე, შენცა! აგრე, გენაცვალოს ვაჟიკა, აგრე... ეხლა შენ, დედაჩემო, ჩემო დედილო... დედუკავ! თოთია, შენც ხომ მამად შემერგები... აქ მოდი, იამზე!... შენც, მზექალა, შენცა!... წიქა, ნურც შენ იბღვირები. მე შენი სიცოცხლე მმართებს.. ხათუთი, ჩემო ხათუთ! რა გატირებს, ქალო? მე და შენ მაშინ მოვილაპარაკებთ, როცა მარტონი დავრჩებით. ეხლა კი ისევ აქ დაჯექი და ეგ თავი ზურგზე მომაყუდე. აი აგრე... აგრე... ეხლა ისევ დამიგდეთ ყური...

- აუწონავია-მეთქი თქვენი სიყვარული, მაგრამ რკინასავით მძიმეა. ვერა ვზიდე, ვერ მოვერიე. მიშველეთ, მომხსენით, ამიშვით, გამიშვით! გამიშვით, თორემ აქლემივით დავვარდები და ვერავინ ვეღარ ამაყენებს.

- თქვენ შარშანაც მიშველეთ, მიძმეთ და დედ-მამობა გამიწიეთ. მაგრამ მე დამავიწყდა, და არც თქვენ იცოდით, რომ მეორე დედაც მყავდა. ის დედა კი არა, ოცი წლის წინათ რომ დავმარხე, არამედ მეორე, თქვენსა და ჩემზე უფრო დიდი, უკვდავი, მარადიული: ჩვენი საერთო მშობელი, მშობელთ-მშობელი, უწლო და დაუსრულებელი. ის არის დედაჩემი, იგივე მამაჩემი, იგივ დაი, ძმა, ბიძა და ყოველი ნათესავი ჩემი. ეხლა ის მშობელთ-მშობელი მეძახის, მიბრძანებს! გარდუვალია კანონი და უძლეველია ძალა მისი! ამიტომ მივდივარ, მიტომ ვუბრუნდები უძღები შვილი ჩემს ბარაქიან მშობელს - ბარს, ქალაქს, ხალხს, ცხოვრებას და ნამდვილ მიწას. ქვეით ქალაქში მდუღარე ორთქლი და გახამებული საყელო, ჯადოსნური ელექტრონი და თეთრი საცვალი, ცოცხალი რკინა და კბილის საწმენდი, წიგნი და რადიო, ქრონომეტრი და რენტგენი, საპონი და აბანო მელოდება. თქვენი კი აღარა მჯერა, ჩემო უვიწყარნო: აღარც კუდიანი ოჩოპინტე, აღარც თეიმურაზ ბა-

ტონიშვილი, არც ჯავშან-მუზარადი, არც ფარსმან მეფე, არც დაშნა
და არც ფარი, არც კაჟიანი თოფი და აღარც მაძახურა, არც იაპო-
ნია, აღარც ხინკალი და აღარც კუდიანთ წუხრა. ყველას უღრმესი
სალამი და მადლობა: თქვენც და ოჩოპინტესაც, თეიმურაზსაც და
ხინკალსაც, ფარსმანსაც და ჩაფხუტსაც, კაჟიან როფსაც და იაპო-
ნიიდან მომავალ ბატონიშვილსაც, ყველამ თავისი შეასრულა და წა-
ვიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდება. მე კი ბარში და ქალაქში მომე-
ლის ჩვენი მომავალი. მომელის და თოკით მიმათრევს, თოკით! ამ
თოკის ბოლოს აქვე ვტოვებ. ყელზე გექნებათ მობმული. მე
იქიდან მოვწევ, თქვენ აქედან მომიზიდეთ. ვნახავთ ვინ გადასწევს,
თქვენ თუ ქალაქი? თუ ჩაგითრიეთ, ვცხონდებით. თუ მაჯობეთ,
ვაი ჩვენი ბრალი! ვერც იაპონია გვიშველის მაშინ და ვერც ოჩო-
პინტე, ვერც ხინკალი აგვაყენებს და ვეღარც ფარსმანი გაგვაცოცხ-
ლებს. მაშ აგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო: მშვი-
დობით და მადლობით!

წიკლაურები წამოიშალნენ, მომეხვივნენ და აყაყანდნენ:

- არ გაგიშვებთ არა!... ვერ წახოლ, ვერა!... აქ დაშჩები,
აქა! შენც ჩვენი ჯილაგისა ხარ, ჩვენი!

ნებაყოფლობით არ გამიშვებენ, ვერც ძალით გავიკვლევ გზას.
ეშინიანთ, გზას ისწავლის, სხვასაც ასწავლის, სპილენძისთვის
ამოვა და თან მილიციასა და მოსამართლეს. გადასახადსა და კა-
ნონს, ყბედ მავთულსა და ეშმაკის ვარცლს მოიტანს და მოიყ-
ვანსო.

ერთმანეთი შუაღამემდე ვაწვალეთ და ჯვარს ვაცვით. მაინც
ვერ დავაჯერეთ, ფეხიც ვერ მოვაცვლევინეთ. მე ისევ ჩემს ბან-
ზედ ავედი და ქვეით გავიხედე.

მესმის შენი, მშობელთ-მშობელო, მესმის!

მოვდივარ, მო-ო-ო!

* *

მე და ხათუთა ბანზე ვწევართ.

- დარჩი, ვაჟიკავ, დარჩი... კას ხინკალს გაჭმეო, ახალს ჩო-
ხასაც მაგიქსოვ.

- აირჩიე მეთქი: ნოდარი თუ ხირჩილა?

- არ შამიძლავ არჩევა! არა! რად მაწვალებ, რა გი ჩემგან,

რო?

- მე მაინც წავალ. შენ კი მერმე წამოდი და ნოდარიც ჩამოყვანე.

- ვაჟიკავ... ჩემო ყველავ... თავ უნდა დამანება მე და... ნოდარს?

ნოდარი ახსენა. გათავებულია! მოტეხილია! ჩამოვა, უეჭველად ჩამოვა და ნოდარსაც ჩამომიყვანს!

- არა, მე თავს არ განებებთ. ოღონდ შენ ნუ ჩამომრჩები. სადაც წავალ, მომყე. მე ქმარი ვარ, ვაჟკაცი, შენ კი - დედაკაცი, ამიტომ უნდა დამიჯერო და დამემორჩილო.

- ოოჰ, ვაჟიკავ, ვაჟიკავ! წიკლაურნი დამწყევენ, შამაჩვენებენ.

- ჩემს კისერზე იყოს მათი წყევლაც და შეჩვენებაც. მაშ ესე, გამორკვეულია... ეხლა წადი, დაიძინე და ნოდარსაც გაუფრთხილდი. გაჩუმდი... გეყოფა... ნუ სტირი.

ოოჰ, ღმერთო ჩემო! კანის გაძრობა უფრო მეადვილება, ვიდრე ამ დედაკაცის მკლავების მოხსნა.

ზევიდან ვხედავ წიქა კარების დირესთან დაწოლილა. დამაპატიმრეს, დამატყვევეს! მაგრამ...

მაგრად დაიძინე, ძმაო წიქა, დაიძინე! მე ძილს არ დაგიფრხობ. ცოლი და ქმარი თუ შეითქვნენ, მეტეხსაც გასტეხავენ.

ხათათამ ისევ ამოჰყო თავი. თოკი წელზე აქვს მოხვეული. ჰყოფნის, სწვდება!

- აბა, ხათუთი... ნუ სტირი... სული ნუ შემიგუბე... ნუ მახჩობ... გეყოფა, ქალო, გეყოფა! მაშ ესე: შენ და ნოდარი... ქალაქში.

კატასავით ჩაცოცება და გაპარვა აქ ვისწავლე. ლომა ძუნძულით მომდევს. მეშინიან, არ დაიყეფოს.

ერთხელ კიდევ მოვიხედე. კოშკის თავზე მთვარე ამოდის. სახლის თავზე ხათუთა მაღალი საკვამლესავით სდგას. უცებ ის საკვამლე შეინძრა და სივრცეში შეცურდა.

ხათუთა, ჩემო ხათუთი! ნახვამდის, გენაცვალოს ვაჟიკა, ნახვამდის! ამას იქით შენ იცი და შენმა ქალობამ!

შენის იმედით მივდივარ, შენი!

თავი მეცამეტე

მივდივარ, ოჩოპინტევ! გზა მომეცი, იაპონიავ! მომეცალე, მაძახურა! თქვენც ჩამომშორდით, მეჯალაფენო, ჩაფხუტებო, ხმიადებო, აბჯარ-საჭურველო, ხინკლებო!

თომ დამჭირდება? არა მგონია. დღესვე ას ხვალ დილამდე სოფელს წავაწყდები. ერთ ნაქერ პურს ყველა გაიმეტებს, -

სოფელი ღონიერია!

პატარა წყალს მივდევ. მთვარე გზას მინათებს. ეს წყალი მეორე ხევში ჩადის. ის ხევი მესამეს უერთდება, მესამე მეათეს და მეათე ხომ სადმე ბარში გავა და მეც გამიყვანს. ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ ბილიკს ვხედავ და მერმე ისიც მეკარგება.

ალიონი მოდის. დღის სინათლე მშველის. მზეც ამოვიდა, ხევში კი ისევ ბინდს სძინავს. ლომა დაიღალა, მე კი ჩემი ციყვივით მოვხტი.

მშვიდობით, ჯურხავ! მშვიდობით, ოჩოპინტევ, ფარსმან მეფევ! მშვიდობით, ხინკალო და იაპონიავ, კუდიანო და მუზარადო, ფანდურო და ხევისბერო!

მშვიდობით! მშვიდობით!

უკვე შუადღე გადავიდა, სოფელი კი არსად არ მოჩანს. ლომა ეჭვიანობს: რაკი თოფი არ წამოვიღე, მაშ სანადიროდ არ წამოვსულვარ. რამდენჯერმე შესდგა და კუდის-ქნევით დამეკითხა. პასუხი გამიგო და ისევ წამომყვა.

რაკი მე არა ვნადირობ, ლომა თვითონვე ნადირობს - ნავარდობს, ჰყეფავს და წვრილფეხობას დასდევს. მაგრამ ვერაფერს ვერ იჭერს, უარესად იღლება და ისევ მე მაცქერდება თვალებში.

-- იარე, ლომა, იარე. მეცა მშიან. მალე მივალთ სოფელში.

ხევი ხევს ერთვის, წყალი წყალს, გორაკი გორას, სიარული გამიძნელდა. გზის ხსენებაც აღარ არის. ხან კლდეს წავაწყდები, ხან შამბიანში შევერევი, და ხან ათი წუთის ჩაღმართს ერთ საათს ვუნდები.

ზოგჯერ რაიმე ნადირს წავაწყდები. უფრო უკვირთ ორფეხას ნახვა, ვიდრე ეშინიათ. მსხვილი ნადირის კვალსაც ვხედავ, მაგრამ თვითონვე ვერიდები და გზას ვუხვევ.

მაინც არ ავცდი. ერთ მოსახვევში პირისპირ ძუ დათვსა და ორ ბოკვერს წავაწყდი. ერთის წუთით ყველანი გავხევ.დით.

"დავიღუპე!¨

დედა-დათვი ატორტმანდა, აბურტყუნდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ იმავე წუთს ზღარბივით დახვეულიყო და თავქვე

დაგორებულიყო. ბოკვერებიც თან გაჰყვნენ. ეს სამი დათვი სადევო ბურთებს ჰგავდა, რომელნიც ბღუილით მიჰგორავდნენ, თანაც ხეებს აწყდებოდნენ და ლაწუნი გაჰქონდათ, აბოყინებდნენ და ისევ გორაობით მიჰხტოდნენ. ბოლოს ბურტყუნით და ხრიალით მიიმალნენ ბარდებში.

კუჭი მეწვის. მუხლი მითრთის. ნაბიჯს ვუკლებ და ხშირად ვისვენებ. ლომა იბღვირება. მზე ჩადის. ხევის ძირში უკვე ბინდი ჩაწვა. აღარც კლდეა, რომ ქვაბი მოვძებნო. ხის ძირში მივწექი და მივიძინე. არ მეშინიან. ალბათ ჯერ კიდევ შემრჩენია წიკლაურობა.

ნადირის ჩხავილმა გამაღვიძა. მგელმა მაჩვი თუ დაიჭირა. ხის კენწეროზე მთვარე მოჰგოგავს, მიწა კი ისევ შავ ჩრდილებშია გახვეული. ლომა მლოკავს და ოდნავ წმუტუნებს.

- ცოტაც მოითმინე, ლომა, მალე გავძღებით.

ვწევართ და რიჟრაჟს ვუცდით. მერმე ისევ მივდივართ, მთქნარებით, ბორძიკით და ლასლასით მოვეხეტებით.

გუშინწინაც არაფერი მიჭამია. კუჭი მეწვის, თვალები მებლიტება. ვბარბაცებ და ხეებს ვაწყდები. ლომა ისევ წვრილფეხას დასდევს, მაგრამ იმდენი ღონე აღარა აქვს, რომ დაეწიოს.

ჯიხვის ჩონჩხს წავაწყდი. წუხელი მგლებს თუ გამოუხრიათ. არც სისხლის წვეთი, არც ხორცის ნამცეცი. ძვლები თითქო სამართებელით გაუპარსიათ. ლომა მაინც ჰღრღნის და იღრინება.

მეც გამოვწუწნო? იქნება მეც მერგოს რამე?

- ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ, - ვნატრულობ გუნებაში. - შენ გეხვეწები მამეც ჯიხვთ თავი, ლომას ნადირ დააჭერინე. სულნი ხო შენნია ნადირთანი?

მაგრამ ოჩოპინტემ დამივიწყა, ალბათ იმიტომ დამივიწყა, რომ მეც დავივიწყე.

- წავიღეთ, ლომა, სოფელი ახლოს უნდა იყოს.

სერზე გავდივარ. ისევ თვალუწვდენელი მწვანე ზღვა, უთვალავი ტალღები და ჩამუქებული ხევები. მხოლოდ მარჯვნივ, ძალიან შორს, მთების გადაღმა ბოლის ნაფლეთი მოსჩანს. მინდა იქით გავუსვიო, მაგრამ სანამ ათიოდე მთა-ზვირთს გადავლახავდე, დავვარდები კიდევაც. ან ვინ იცის, ვიპოვნი კი ნაკვამლარს?

უფრო ჩემივე სიმძიმეს მივყევარ, ვიდრე ღონეს. მუხლები მედრიკება. ფეხები აღარ მიდიან. საცაა ჩავიკეცები. ძალღონე სწრაფად მელევა.

უცებ უკნიდან წრიპინი და ღრინვა მომესმა.

- ყოჩაღ, ლომა. ყოჩაღ! არ გაუშვა, არ გაუშვა! გაუმარჯოს ნადირთ წყემსს ოჩოპინტეს, გაუმარჯოს!

მე ჩემი წილისთვის მივრბივარ, მაგრამ ლომა ახლოსაც არ მიკარებს და ციყვს სხაპა-სხუპით ათავებს. გამოხრილი ფეხი ძლივს წავართვი. ვზივარ და ქათმის ფერდივით ვღრღნი და ვწუწ-ნი, ჩაცუცქული ლომა კი პირს ილოკავს და იკრიჭება.

დამცინის თუ ვეცოდები?

სუფთა დაღმართზე მეც დათვივით მოვგორავ. ერთგან ხეს დავეჯახე და მუხლი ვიტკინე. ციყვმაც მაწყინა და მარწყევინა. კუჭი ჰკივის და იჭაჭება. ვეღარც თავი მუშაობს. ზოგჯერ გაუვალ ხევში ჩავგორდები და ისევ უკანვე ვიბობღები. ლომა მიბღვერის და იღრინება.

გაცოფდა თუ გაწიკლაურდა?

მუხლი მაწუხებს. ტკივილი თანდათან მატულობს. ხუთ წუთს რომ მოვჩანჩალებ, სამს ამდენს ვისვენებ. ზოგჯერ გულაღმა ვწევარ და ცის ნახევს შევყურებ. ლომა თანდათან იღრუბლება. კბილებს აწკაპუნებს და უძალოდ ანჩხლობს, კუდიც მათრახივით ჰკიდია.

ჩემი შეჭმა ხომ არ უდევს გულში?

მეც ნატკენ ფეხს ლომას კუდსავით მივათრევ და ხიდან-ხემდე მთვრალივით მივბორიალებ. ხან ბუჩქს დავეჭიდები, ხან ხეს მივეყუდები, ხან კუნძივით წავიქცევი და იმავე კუნძივით ვხევდები.

ქვევიდან ნისლი მოდის. ნისლს ფეხდაფეხ ღამე მოსდევს დ ბნელი, მწუხრიანი და იდუმალი, გატენილი მეჯალაფენით, ოჩოპინტებით, კუდიანებით და მაძახურებით. ლომას განწირულივით ეშინიან. მეც მომაკვდავის შიშით ვიტენები და უნებური ძრწოლით ვბღავი:

- მიიშვე-ლე-ე-ეთ!.. ჰეეიი, რომელი ხაარ, მიშველე-ე-ე...

და მევე მესმის, რომ ჩემი ბღავილი უფრო დაჭერილი მაჩვის ჩხავილის ჰგავს, ვიდრე ვაჟკაცის შეძახილს.

- ჰე-ე-ე... დ რამდენჯერმე მიპასუხა ბნელმა ხევმა და ჩემი ჩხავილი სადღაც წყვდიადში მიახჩო.

ლული მერევა. რამდენი მეძინა დ ერთი საათი, ორი, თუ სამი, არ ვიცი.

საამურ სიზმარს ვხედავ. სიზმარში საიდანღაც ძაღლის ყმუილი მესმის. რკინის ქუთუთოებს ძლივსა ვძრავ. ირგვლივ დ უკუნეთი, გულში დ მაჯლაჯუნა, გვერდით დ ლომას ყმუილი დ თავგანწირული, ხრიწიანი, ავბედითი.

ლომას ყმუილს ჯურღმულიდან ვიღაც თუ რაღაც მოძახილს აძლევს.

უცებ გველნაკბენივით ზეზე წამოვიჭერი. ეს რა ამბავია! ხევის გამოძახილია თუ მგლის ნაყივლი?!

მგელია, მგელი! ვიცი შემდეგიც და დასასრულიც, ვიცი!

წყვდიადში ხეს ვაწყდები. ლომა ფეხებში მედება, საცოდავად წმუტუნებს და ზედ მებობღება. მადლობა უფალსა, ხეს დაბლა ლომა მოტორტმანობს და წმუტუნით მილოკავს ფეხებს. მგლები კი ჰყმუიან, ჰყმუიან... ჰყმუიან... ერთმანეთს ეძახიან და მოდიან, მოდიან... მოდიან...

ლომა ხეს ჰკაწრავს და ისევ წმუტუნებს. ეხლა ის მეძახის, როგორც წეღან მე ვიძახოდი: "მიშველე, მიშველეო!¨ მაგრამ მე უძალო ვარ, უძლური! ნეტა იარაღი მაინც წამომეღო. ტოტზე გაიელვა, მერმე მეორემ, მესამემ, მეხუთემ. ლომა კი აუცდენარს ელოდება და ნაწყენი ბავშვივით სლუკუნებს.

უცებ ერთმანერთში აირია შრიალი, ფხაკუნი, ღრინვა, ყეფა, ხრიალი და კბილთა წკაპუნი. ქვეიდან უკვე ხრამუნი, ფხრაწუნი და უცნაური ბღუილი ისმის.

- მიშველე-ე-ეთ! - წეღანდელივით ვხრიალებ, და ჩემი ხრიალი ისევ სივრცეში იხრჩობა.

მიმალულმა მთვარემ ისევ გამოაჭიტა. დრო მიდის. ნეტა რამდენი ხანი ვარ ტოტზე გაკრული? ერთი საათი? ორი? ხუთი? არ ვიცი!

ხის ძირში სიჩუმეს და წყვდიადს სძინავთ. წეღან ჭოტი მაინც გაჰკიოდა, ეხლა კი ისიც მიყუჩდა. ჩამუნიც კი აღარ ისმის. თითქოს ხევის წყალმაც ჩასთვლიმა.

ტყეს სძინავს. მთები სთვლემს. ხევი განაბულა. ცაც მკვდარია. ვარსკვლავები თვალებს ახამხამებენ. მარტო მთვარე იკრიჭება

მეც მეძინება.

* *

- ვაჟიკავ, გაიღვიძებ? - მესმის ჯურხას ჩურჩული და სუნთქვა.

მისი ლომ-კუდა ულვაშები შუბლს მიღუტუნებს, ხოლო ციალა თვალები თვალებში მიციმციმებს.

- ჯურხა.... ჩემო ჯურხა!

- იყუჩე, ვაჟიკავ, იყუჩე. ყველაფერი მშვიდობით გათავდა, ყველაფერი. მაგიკითხეს მამამ და დედამ, თოთიამ და მზექალამ.

- ხათუთა? ნოდარი? დ მინდა ვკითხო, მაგრამ ჯურხა თვითონვე მეუბნება:

- ხათუთაი და ნოდარიც აქ არიან. ახლავ მავლენ.

ნეტა სადა ვარ? ვისია ეს სახლი? ვინ მო?ეშველა? ვინ გადამარჩინა? ცხადია, ჯურხაანთ-კარში არა ვარ. "მაგიკითხვისო¨, მითხრა ჯურხამ, რომელიც ეს არის ეხლა გარეთ გავიდა.

მაგონდება ბნელი ღამე, მგლები, ლომა და ხეზე ძილი. შემდეგ

რა მოხდა? აქ როგორ გავჩნდი? აღარ მახსოვს, აღარაფერი არ მახსოვს.

- ხათუთი! თუთი! - ვუყვირი სირბილით შემოვარდნილ ცოლს და კინაღამ ვახრჩობო ნოდარს, რომელიც კოზაკივით ორი მკერდის შუა გაიხირა.

(მგონი ხათუთასაც ჩაულაგებია თვალების უკან ცრემლის სურები).

მინდა ყოველივე გავიგო. რა მოხდა ჯურხაანთ-კარში? ეხლა სადა ვარ? ვინ მიშველა? ან ფერდები და მკლავი რათა მტკივა?

ჯურხა ლაპარაკობს. მე ვუსმენ და ხათუთას თბილ ხელებს უძალოდ ვზელავ ჩემს ხელებში.

* *

ჩემი გაპარვა გვიან გაუვიათ. ჯერ ეგონათ. ტყეში თუ გავიდაო. წიფლის ქვეშ რომ ვერ მიპოვნოს, ჯურხამ ბანი დაზვერა. კვალი არსად არა სჩანდა. ხათუთას თოკი აეზიდნა და ჩემი ნაფეხურიც წაეშალნა.

- ხი-ხი-ხი! - ხითხითებს ხათუთა.

- ეხლა რაი გიშავ, ქალავ, მაშინ კი... - უღიმის ჯურხა და განაგრძობს:

ბოსლის გვერდით ერთს ჩემს ნაფეხურს მაინც მიაგნეს და მიჰხვდნენ. ხათუთა კინაღამ გაჰგლიჯეს, მერმე დამედევნენ, მაგრამ გვიანღა იყო. მე უკვე შორს უნდა ვყოფილიყავი.

წიქა და ხათუთა მეორე გზით წამოვიდნენ. ჯურხა კი ხევს დაჰყვა. კვალს მალე მიაგნო და გამოჰყვა. ჩქარობდა მაგრამ კვალი არეული იყო. ჩემი ნატეფარი ხან წყალში შედიოდა, ხან გორებზე ადიოდა, ხან კიდევ შამბიანში იკარგებოდა. მორბოდა ჯურხა და გაჰკიოდა:

- ვაჟიკაა, ჰაი ვაჟიკაააა!

ხმა ჩაუწყდა და დაიქანცა. ორი ღამე ტყეში გაატარა. მგლები მიესივნენ. მოიგერია და ორიც მიაწვინა. მესამე დილას ჩემი კვა-

ლი დაჰკარგა, სწორედ იქ დაეკარგა. სადაც ლომას ძვლებს წააწყდა.

- ლომას ძვლები ვიცან. სხვა შენაც იცი.

* *

ეხლა დანარჩენი მეც მაგონდება.

ხიდან რიჟრაჟზე ჩამოვსხლტი თუ ჩამოვგორდი აქა-იქ ლომას გაპარსული და გარეცხილი ძვლებიღა ეყარა. სიარულის მაგიერ მოვბობღავ. ერთ ფეხს მობმული ბოძივით მოვათრევ. კლდიან ფერდობს დავყევი და წყალზე ჩამოვედი. წყალმა სიმშილი გამიანჩხლა, გამიარჯალა. კუჭი უარესად ამიწივდა, გაკაპასდა. ტყის ხილს და ბალახს ვეღარ იკარებს.

სიკვდილის ლანდი ფეხდაფეხ მომდევს. მაგრამ ჯერ არ ვნებ-დები ორი ხმელი ტოტი ყავარჯენად გავიხადე, წყალში შევედი და ფარფატით წამოვედი.

უცებ ფაჩუნი მომესმა მივიხედე და ტურა დავინახე სდგას და მიმზერს. შემყურებს და მეკითხება: როდის წაიქცევიო.

ისევ მოვაჭყაპუნებ უკნიდან ტურა მეპარება, სიკვდილის ლანდი კი უკვე წინ მიმიძღვის.

ხევი ღრმავდება და ვიწროვდება. შესვლით შევალ, მაგრამ გასვლის იმედი აღარა მაქვს.

შუადღე მოდის, მე კი ისევ რეტიანივით მივჩოჩავ ხან გუბეში შევტოპავ, ხან კლდეს მივეყუდები. ხან ქვაზე გავწვები და ვისვე-ნებ ტურა კი ისევ ფეხაკრეფით მომდევს და მეკითხება. როდის წაიქცევიო.

ეზოს-ოდენა მწვანე ფიორი მოსჩანს. წყლიდან ფოფხვით გავდივარ, შუა მოედანზე გულაღმა ვწვები და თვლებს ვხუჭავ. ტურაც ათიოდე ნაბიჯზე წვება და თავის კერძს ელოდება.

კუჭს მარწუხებით მგლეჯენ. წელმოწყვეტილ ხვლიკივით ვიგრიხები, მიწას ვჭამ, თითებს ვიკვნეტავ და ზოგჯერ გივით ვიცინი.

მაგონდება ნაცნობ-მეგობრები, დედა-ქალაქი და ჩემი სოფელი. მერმე ბინდ-ბუნდად ვხედავ გაშლილ სუფრას, ყრუდ მესმის მხიარული სიმღერა, შემახილი და ჭურჭლის ჟღარუნი. შემდეგ ყოველივე მიწყდა და გაჰქრა, დამრჩა მხოლოდ უცნაური ხმაური ყურებში და სიცივე გულში. ყველაფერი დატრიალდა, დაბორიალდა. ტურის წვეტიანი პირსახე და აფშეკილი ყურები თანდათან მიახლოვდება კბილებით და ფრჩხილებით ვეჭიდები სიცოცხლეს,

მაგრამ ცხადად ვგრძნობ, რომ ჩემი სული მხოლოდ მისივე სიყვა-რულითღა მიჭირავს

სიკვდილი უკვე თავთ მადგება. ყურებში თითქო ფუტკარი მიბ-ზუის, თავი ჭიანჭველებათ მეტენება.

¨გათავდა! ეხლა კი გათავდა! ...¨ - ვფიქრობ და თვალებსაც ვეღარ ვახელ. რათა ტურა მოვიგერიო, რომელიც უკვე მღრღნის და მჭამს. მჭამს. მაგრამ არც სისხლი მოსჩანს, არც ტკივილსა

ვგრძნობ
ნელნელა შავ ბურანში შევდივარ და თითქოს გონება მეკარგება.
მაგონდება თუ მელანდება წიკლაურები: ჩემი ჯურხა, ხათუთა, ნოდარი და სხვებიც.
- არ გაგიშვებივ, არა! - გაჰკივიან ხევსურები. - ვერ წახვიდივ, ვერა!... აქ დარჩებივ, აქა!
ოოჰ, ღმერთო რემო! რატომ არ დავუჯერე! რატომ არ დავრჩი, რატომ?
ერთი ვინმე კიდევ მეჭიდება. წკეპლას მირტყამს და მიმათრევს.
- წამო. წამოდი მეთქი!
მეც მივდევ. ის არ კი ვიცი ვის მივდევ, სად მიგდევ, უცებ ვიცანი:
-ცუცქი! ცუცქია!
ვიცანი და გავიწიე:
-- არ წამოვალ, არა! მამშორდი! დამეკარგე!
- მაშ აქვე მოკვდები - უმრიოშ! ზდოხნეშ!
- შენთან ყოფნას ტურას მოცელში დალპობა მირჩევნიან. ხელი გამიშვი მეთქი!
- მაშ არ წამოხვალ?
- არ წამოვალ.
ნაწყენმა ცუცქიამ ტუჩები აიპრუწა:
- ნუ წამოხვალ... ოჩენ ნადო!
და ბოლივით გაჰქრა.
ცუცქიას შემდეგ ნამდვილი ცოლი მომელანდა.
- ვაჟიკავ .. ჩემო ყველავ. - ტყავებში სუროსავით მეხვეოდა და ალმურით მწვავდა. - დარჩი, ჩემო ყველავ, დარჩი.
და მეც ვრჩები. უნებურად ვრჩები: ფეხები აღარა მაქვს, ვერც სელს ვანძრევ, ვერც ხმას ვიღებ. ხათუთა თან იცინის, თანაც დამტირის. და ქალის ტირილ-ხითხითს საიდანღაც გაბმული ყვირილი ერთვის:

- ვაჟიკა-ა-ა! ჰა-აი, ვაჟიკა-ა-ა!
მიკვირს: ჯუხრა თითქოს აქვე სტრიალებს და გაიძახის:
- არ გაგიშვებ, არა!
და ამავე დროს თითქო შორეულ გაღმიდანაც მომღრიალებს, და ჯურხას ღრიალსა და ხათუთას ქვითინს ლომას ყმუილ-წკმუტუნიც უერთდება. ვიჭიმები, თვალებს ვჭხელ და ისე ვიწევ ასადგომად, თითქო სახრჩობელაზე ავდივარო.
უეცრივ მკაფიოდ და ცხადად მომესმის:

- ვაჟიკა-ა-ა!

დავინახე, ნამდვილად დავინახე: ტურა მოსხლტა და ტყეს შეერია. პირს დაკლული ბატკანივით ვაღებ და ისე ვხრიალებ, რომ ჩემი ღნავილისა მევე მეშინიან:

- ჯურხა!... ჯურხა-ა-ა!

და ტყის სიღრმიდან ჯურხას გუგუნი მესმის.

- მავდივარ, ვაჟიკავ მა-ა-ა!

და საიდანაც ფეხის მძლავრი ბაგუნი მესმის, მეც იქით მივ-ლასლასებ - ხელებ-გაწვდენილი, მთრთოლვარე, პირღია, თვალ-ცრემლიანი.

ტყის-პირი თითქოს დაჭრილმა დათვმა შემოარღვია - ლაწუ-ნით, სხაპუნით, ბუხუნით შემოიჭრა:

- ვაჟიკა! ძმაო ვაჟიკა! - და ჯურხაც ხელგამოწვდენილი მორბოდა.

მეც მინდოდა გავქცეულიყავი და დამეყვირნა, მაგრამ ყვირი-ლის ნაცვლად შეკრული ხახიდან თიკნის ბღავილიღა ამომივარდა.

- მე-მე-მე-ე-ე...

სირბილს ვაპიაებ, მაგრამ მუხლები მეკეცება, თვალთ მიბნელ-დება და სადღაც ბნელ უფსკრულში ვვარდვბი.

თავი მეთოთხმეტე

- საითკე გინდა წასვლა, თავაღმ თუ თავქვე? მეკითხება ჯურხა და გაღმა მთებს გასცქერის.

- ქვეით, ჯურხა, მხოლოდ ქვეით.

- რაი გინდა მურდალ ქვეყანაჩი?

- თეთრი საყელო უნდა გავიკეთო, ჯურხა, თეთრი. - ღიმი-ლით ვუპასუხე. - გესმის, რაც გითხარი?

- მესმის, რაით არ მესმის! ერთხელ მეც მქონდა თეთრი სა-ყელო.

- მერმე, რად მოიხსენი?

- იმად, რო თეთრი საყელო ჩვენთვი არ ას მაგონილი. მეც მქვანა საყელო, მაგრამ კინაღ დამახჩო და გადავაგდე.

- არ მესმის.

- მე ტყავი მცვავ და თანაც თეთრი საყელო რო გავიკეთო, ჭკუიანი ხალხი მასხრად ამიგდებს. ჯერ დრო არ მასულას საყე-ლოსთვი, დროი.

- დრო არასოდეს არ მოდის. იგი მიდის, და ვინც მას არ გაჰ-ყვება, დაიღუპება, ჯურხაანთ-კარში კი დღეც დაჰკარგეს და თვეც.

- დრო არ მიდის, ვაჟიკავ. დროი მავიდ, ჩვენკენ მავიდ.
- ასეა თუ ისე, დროს უნდა მივყვეთ, თორემ აღსასრულის დრო დაგვიდგება.
- ძაღლი მგლის ჯიშისაი ას. მგლებს უღალატა და სხვა ჯიშს - კაცს შაეგოვა.
- სწორედ მაგიტომ გადარჩა ძაღლი. მგელი კი თითქმის გადაშენდა.
- აგრე. მაგრამ ძაღლმ ისევ ძაღლის ჯიში შაინახა, ისევ ძველი კბილი შაინარჩუნა. ქართველმ კი თეთრი საყელო რო გაიკეთა, რჯულიც სხვისი მიიღო. ჯანსაღი ველურობა განათლებულ გადაგვარებას სჯობია.
- ეხლა კი მესმის შენი აზრი, ძმაო ჯურხა, კარგად მესმის. მაგრამ მითხარი, განა არ შეიძლება, რომ თეთრი საყელოც მოვიხვიო და ჯიშიც შევინახო?

ჯურხა დაფიქრდა, ძალიან დაფიქრდა. მერმე თითქო ყალიონს უპასუხა:

-- შენ რო ჯურხაანთ-კარჩი ამოხვე, ქართულს ძლივ ღლაპარაკობდი. ეხლა კი ქართული ენა მაინც შაგრჩების, მიხვდია, რაც გითხარ?

მივუხვდი.

- სხვა ხალხი ზვავივით მოგვასკდა და ქართულიც კი დაგვავიწყვს. საკუთარი აღარაფერი არ შეგვარჩინეს, არც ჩოხა, არც ქუდი, არც ცხვირი და აღარც თვალი.
- მთაში შეხიზვნა გაქცევაა და მეტი არაფერი - მივუგე მე. - ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით. მომხდურს დედა-ციხეში უნდა დაუხვდე, მე კი იქიდან გამოვიქეცი და დავიმალე.
- იქ ვერ იბრძოლებ, ვაჟიკავ.
-- შენ კი იბრძვი? დათვის ბუნაგში შემძვრალხარ და დამალვა მიზნად გადაგიქცევია.

ჯურხა შეყოყმანდა. იყუჩა და სთქვა:

- ქალაქჩი გაგაწითლებენ.
- არც მაგისა მეშინიან.

ჯურხა გაოცებული შემომცქერის და დუმილის შემღეგ მეუბნება:

- შენ იცი, შენ იცი ადვილ ას გაწითლება და თეთრი საყელოს გაკეთება. მაგრამ რკინის უღელსავით გაგიმძიმდების ზიდვაი. თუ მაერევი, ატარე და ფერაც შეიცვალე.

- მოვერევი. ჯურხა, მოვერევი. და თუ ვერ მოვერიე, ისევ დაგიბრუნდები, ისევ გავწიკლაურდები.

- აჰ, არა მჯერა შენი დაბრუნება, ვაჟიკავ, არა ქალაქ წასვლა ადვილი ას, დაბრუნება კი აღარ შეიძლების. შენ თეთრი საყელო გაიკეთე, მე კი ისევ ჩემს ტყავჩი ვივლი. ამით მეშინის, ვაჟიკავ, რო ხიდი ჩაინგრევის, ხიდი! შენ იქით დაშჩები, მე კი ისევ აქვთ ვიქნები. ერთუცისთვი უცხონი გავხდებით და ჩვენი ფიც-ნაჭამობაც დაიღუპების. ძმა ძმის ნათქომს ვეღარ გაიგებს. ახლა შენ იცი.

წამოდგა და გაბზარული ხმით გაიმეორა:

- შენ იცი, ვაჟიკავ, ახლა ჩემი წასვლის დრო მავიდა მე უნდა წავიდე, მაგრამ ერთი ფიცი კიევ უნდ მამცა.

- რომელი ფიცი, ჯურხა? რის ფიცი?

- შემამფიცე, რო ჯურხაანთ-კარის გზას არვის უჩვენებ და რვლის მადანსაც არავის ასწავლი. ეს ას ჩემი უკანასკნელი თხოვნაი.

ხელის გულზე მიწა და ხორბალი დაიყარა, ზედ ვერცხლი დაათალა და მომაწოდა. იმ ნარევს ჩემი ხელი დავადე და ვთქვი:

- ვფიცავ ჩვენს ძმობას, ჩვენი დედის რძეს და გუდანის ჯვარს, ხათუთას და ნოდარს, რომ არასოდეს არც ჯურხაანთ-კარის გზას ვაჩვენებ ვინმეს, არც სპილენძის მადანს ვასწავლი.

და იმ ნარევის ერთი ციცქნა გადავყლაპე.

- ეხლა გულმშვიდად წავოლ.

- ჯურხა, ძმაო, ჯურხა, ქალაქამდე გამაცილე დ შევევედრე მე.

- ვერა, ვაჟიკავ, ვერ გაგაცილებ. ქალაქჩი მტერი მეგულების. ვერც არხვატ გადაოლ, ვეღარც ქალაქს ვნახავ. მშვიდობით, ვაჟიკავ!

და ჩამოხჩობილივით გამიღიმა:

- მაგრამ იფრთხილე, თეთრმა საყელომ არ დაგახრჩვას, თორე მეორეჯერ ვეღარ გიშველი.

- მშვიდობით, ძმაო ჯურხა .. მშვიდობით! თუმცა. . მშვიდობით კი არა, ნახვამდის, მხოლოდ ნახვამდის!

ჯურხა მეხვევა და თავს იქნევს. ჩვენი ხელახალი შეხვედრა არა სჯერა

- ჯურხა.. მომიკითხე დედები, მამები დებიც... მაპატიე წყენა... მაპატიე.

არც მანამდე, არც შემდეგ ჩემს თვალზე ცრემლი არავის არ უნახავს.

არც მე მენანა ატირებული ლომი. იმ დღეს კი ვნახე.

მშვიდობით. ფიც-ნაჭამო, მშვიდობით თუ ნახვამდის?!

* *

მე და ხათუთაც ისე შემოვედით ქალაქში, როგორც ერთ დროს ჯურხა შემოვიდა ჯერ მთაწმინდა დავინახე - ჩვენი წმინდა მთა, ჩვენი დედა-ქალაქის უზარბაზარი ბუდე მკერდ-ჩამოგლეჯილი, ფერდებ-დაღარული, გაჩაჩხული და ხელებ-გაშლილი.

ავჭალასთან მატარებელი აწივებული საარაკო მცურავივით გასრიალდა.

სიხარულისგან თითქმის მოვრბივარ და ხათუთასაც მოვათრევ.

- აბაიმე! - უკვირს ჩემს ცოლს - საითკე მიღრბიხარ?

აჰა სადგურიც საყვირების კივილი სიმფონიად მომესმის.

აი ხალხიც - ქალაქის ჭრელი ხალხი ღმერთო ჩემო, ამდენი ხალხი ვინ მოაგროვა!

აგერ ტრამვაის ვაგონი მორბის. ავტომობილები დაჰქრიან. ჰაერი გატენილია ჟანგით და ბოლიაა. ჟღარუნით და ყაყანით, რახრახით და სტვენით, ხრიალით და ხრინწით, იზმებით და აციებით. ყველანი მიდიან, მირბიან, მიჰქრიან. ტფილისი ღრიალებს, ჰკვნესის, ჰგმინავს და სიცოცხლის ნიშატით გუგუნებს. მესმის მისი ტვინის ფუსფუსი. თრთოლვა და სისხლის ჩქეფა. ვგრძნობ იმის მაჯის ფეთქვას და გავარვარებულ სუნთქვას, ხარბად ვსუნთქავ იმის მტვერს, კვამლსა და შხამიან ორთქლს. ქალაქის სისხლი ჩემს ძარღვებშიც გადმოდის და ჩემი გულიც იდუმალი ხალისით და სიცოცხლის უნარიო იტენება.

უცებ თეთრ საყელოს წავაწყდი და ისე შევუდექი. თითქო კედელს დავეჯახეო

- ხათუთი, ქალო ხათუთი! მოიხედე, ჩქარა მოიხედე! აი საყელო, თეთრი საყელო

უცნობი სდგას და მიღიმის, მე კი ქონიანი თითით იმ კაცის საყელოსკენ ვუთითებ და ბავშვივით ვიცინი:

- საყელო... საყელო .. თეთრი საყელო. აი აბრეშუმის ყელსაბამიც... ტყავის ხელთათმანებიც.

უცნობი ჯერ იცინის, მერმე ხარხარებს:

- ღმერთმანი, კარგი ხუმრობა გცოდნიათ ხევსურებს. თუ ძალიან მოგწონს, გაჩუქებ. რა მოგიხდება მაგ ტანისამოსზე, ხო-ხო-ხო

- რაად არ მამიხდების! - ვუქცევ ხევსურულად. - შავათავსე შავათავსებ!

უცნობი უკვე რახრახებს. ხალხი იკრიბება.

- ჯერ ეს მითხარი, - მეუბნება უცნობი და ჯვრებზე მითითებს, მხრებზე რომ მაკერია, - მითხარი, რომელი მეფის დროინდელია სტანისამოსი?

- ფარსმან მეფის დროინდელი ას, ფარსმანისა!

და ყველანი გულიანად ვიცინით.

ხათუთა მიმათრევს:

- სირცხვილი ას!

უკნიდან ხარხარი მომდევს. მე კი ისევ უკან ვიხედები და ვუყვირი:

- ოჩოპინტე! მაძახურა! მეჯალაფე!

რა თქმა უნდა, გიჟი ვეგონე.

აგერ დათიკომ და ქაიხოსრომ გაიარეს. ერთმანეთს ჩემზე უთითებენ და იღიმებიან. მაინც ვერა მცნობენ. აი ქეთოც შემხვდა. ვერც ამან მიცნო. სხვებიც ისე მსინჯავენ, თითქო მართლა ოჩოპინტე ვიყო.

- დეიდა მაიკო, გამარჯვება შენი! - მივაძახე მაიკოს ბინდისას. - რა იყო, ვერც შენ მიცანი?

დეიდა მაიკო ჯერ დაფრთხა. მოჩვენება ვეგონე. მერმე პირჯვარი გადაიწერა, მომეხვია, ატირდა და წაიბუტბუტა:

- რა ვქნა, აგრე რამ აგაყროლა, ქააა!

- დეიდა, აი ჩემი ცოლი ხათუთა და ჩემი შვილი ნოდარი. გაიცანი და გაანათლე.

- რა დროს ხუმრობაა, ქააა!

ბევრი ვეჩიჩინე, მაგრამ ვერ დავაჯერე

- დეიდა, - ვუბრძანე ბოლოს. - ეხლავე წაიყვანე ჩემი ცოლი და აავით ფეხებამდე ჩააცვი. არაფერი არ დაგავიწყდეს: არც ლაკიანი ფეხსაცმელი, არც კოტი და უბიგანი, არც ხელთათმანი და ქინძისთავი. მართლა, თეთრი საყელოც მიყიდე - თეთ-

რი, თოვლივით თეთრი! ათი მიყიდე, ოციც, თუნდ ორმოციც. ვიცი, რომ მაქვს, ვიცი. მაგრამ ახალი მინდა, ახლათ-ახალი! აბა მიბრძანდით. მართლა, არ დაგავიწყდეს: ვინც შეგხვდეს, ყველას უთხარი, ელიზბარი იმ ქვეყნიდან დაბრუნდათქო. აბა მალე! აბანოში უნდა წავიდეთ და ხევსურული ქონი ჩამოვირეცხოთ.

მადლობა უფალსა! თუმცა დეიდა მაიკომ თურმე პანაშვიდიც კი გადამიხადა, მაგრამ ჩემი გარდერობი მაინც ხელუხლებლად შეუნახია.

* *

ჩემს ოთახში ვზივარ და ვმუშაობ. ისევ ცისფერი პიჟამა მაცვია. ყელზე თეთრი საყელო მაქვს, ახალთ-ახალი, გახამებული, მაღალი და უბიწო. მთის სუნი გოგირდის აბანოში ჩამოვირეცხეთ.

წეღან ცუცქია შემოვიდა. დეიდა მაიკო ბუზღუნით გაცურდა მეორე ოთახში.

- ელიზ, დარაგოი... სლავა ბოგუ!

და ხელგაშლილი წამოვიდა. ოდნავ რომ გამეღიმა, დამკოცნიდა და ერთს თალიას მაინც იტირებდა.

სწორედ ამ დროს ხათუთა ფარშევანგივით შემოგოგდა. დედოფალივით სდგას შუა ოთახში და ჩემს ნაცოლარს დინჯი ღიმილით ათვალიერებს. არც გვერიდება: ისე სინჯავს დარცხვენილ ცუცქიას, როგორც გუშინ სინჯავდა იაპონურს ჟოლის-ფერ კიმონოს, ეხლაც რომ ზედ აცვია. შემკრთალი ნაცოლარი მე შემომცქერის და ჩემგან მფარველობას ელოდება. მე ორივეს ვათვალიერებ და გუნებაში ერთმანერთს ვადარებ.

- ე ქალი ცუცქნაი ასა? - მეკითხება ხათუთა.

- ჰო, ხათუთი... გაიცანი

ხათუთამ ისე ჩამოართვა ხელი, რომ კინაღამ მკლავი მოსწყვიტა.

- დაბრძანდი, ქალო, დაბრძანდი. სტუმარი ხთისაი ას.

ცუცქია არ დაჯდა. სხაპა-სხუპით მეუბნება სათქმელს. ერთ ქართულ სიტყვასაც არ ხმარობს, რათა ხათუთამ არ გაიგოს. ბოდიშს იხდის შეწუხებისთვის. ჩემ სანახავად მოვიდა. მისურვებს ¨გულწრფელად¨, რომ მეორე ცოლთან უფრო მეტი ბედნიერება ვპოვო, ვიდრე ცუცქიასთან ვპოვე. ჩემი ნაცოლარი ცრემლს იწმენდავს და ბორძიკით ამთავრებს. მე, ელიზბარმა, პირობა დავარღვიე. ცუცქიას ხუთი თვის ჯამაგირი ერგება, ამიტომ -

- ესლი მოჟნო - თუ შეიძლება...

ფული არ მაკლია. ერთი კვირის წინათ ხათუთას მზითევი მოუვიდა: წიქამ ორმოცი ძროხა მომაყენა კარზე. ხელები გავასავსავე, მაგრამ ადათმა ერთხელ კიდევ მომდრიკა: მზითევი ხათუთასია, და თუ ოდესმე ამასაც გავეყარე (ღმერთო, დამიფარე!), ეს ორმოცი ძროხა უნდა დავუბრუნო.

აბღავლებული საქონელი წიქამ და ხათუთამ რიყის უბანში გაჰყიდეს და ფული მე ჩამაბარეს.

ფული არ მაკლია, მაგრამ...

- ქალბატონო ცუცქი, თქვენი მისამართი? - და პასუხი რომ მივიღე, ერთიც გამოვკითხე:

- ამავე სახლში და ამავე ბინაზე სცხოვრობს კოლია, არა?

ცუცქია ბორძიკით მიდასტურებს.

- ესე იგი, -- აღარ ვინდობ კადნიერ ნაცოლარს, - ესე იგი, თქვენ გათხოვილი ყოფილხართ.

არა, ცუცქი გათხოვილი არ არის.

- ბრალი თქვენი, უარესი! მაშ საყვარელი ყოფილხართ. მე უნდა შეგინახოთ, სხვამ კი... არა, სულელი ნუღარ გგონივართ. გარდა ამისა, თანასწორობაც გაიხსენეთ.

- კოლია ჩემი ბიძაშვილია... მოი ბრატ.

და თვითონაც არა სჯერა, რომ ეს ცხადი ტყუილი გასჭრის.

- ვიცნობ მაგ "ბრატს", ვიცნობ... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!... ნახვამდის!... აქეთ მობრძანდით. თუმცა ამ ბინას კარგად იცნობთ, მაგრამ მაინც აგერიათ კარი.

ხათუთა დოინჯ-შემოყრილი სდგას და ოთახებს მაღალი კისკასით ავსებს:

- ბეჩა, ეს ასა ცუცქნაია!!.. ხა-ხა-ხა! ცუცუნაინ... ხი-ხი-ხი! ჩვენებურ თხას ღგავის, ჩვენებურსა! ხა-ხა-ხა!

ხათუთას, სიტყვა "თანასწორობაც" კი არ გაუგია. იგი თავისთავად ჩასახლდა ჩვენს ოჯახში და კუთხით-კუთხამდე გასტენა ჩვენი ბინა, სისხლი და გონება.

- ღმერთმა გიშველოს, - ხშირად მლოცავს დეიდა მაიკო, - უშვილო ვიყავი და მიშოვნე. საქმეს მშიერი მგელივით მტაცებს ხელიდან, ქაააა!

ბინდის შემდეგ ხათუთა უჩემოდ ქუჩაში არ გადის:

- მეშინის, მურდალი ხალხი ბევრი ყოფილას ქალაქჩი.

ზოგჯერ კინოში ან თეატრში ასაღელვებელს ან გასაოცებელს რომ დაინახავს, ან გაიგონებს, ვეღარ მოითმენს და ხმამაღლა იძახის:

- აბაიმე!

და იმ დროს ახალგაზრდა ჯურხა მაგონდება.

- სტუმარი ხთის მაგზავნილი ას. - ეუბნება სტუმრებს და ისე უხვდება, როგორც საკუთარ მშობლებს.

დედაკაცი მაინც დედაკაცია. ფერუმარილი და ნელსასუნებელი რომ ვაჩუქე, სიხარულით დამახრჩო და კინაღამ სარკე გასცვითა.

შეგერგოს, ხათუთი, შეგერგოს! შეგერგოს, თუმცა ღმერთია მოწმე, რომ მე ისევ შენი ტანის სუნი - ფიჭვისა და მუშკის

სუნი მირჩევნიან.

ჩემი თვალის გემოსთვის ახალნაირად იღებავს თმას. მაიკოსგან ჰინის მოხმარება ისწავლა და სპილენძის ფერი დაიბრუნა. მუხლებამდე ჩაყრილი დალალების მაგიერ ეხლა ვეება ბულულა ადევს თავზე, როცა ღამით თმას ჩაიშლის, მოწითალო ნაბადში გახვეული ალქაჯი მელანდება.

გაზაფხულისთვის მეორე შვილს მიმზადებს.

- ხომ არ გეშინიან, ხათუთი?

- აბაიმე! ცუცქნაი ხო არა ვარ! რაისი უნდა მეშინოდეს! - მამშვიდებს ხევსური და ეხლა უფრო რუბენსის დედაკაცს მაგონებს, ვიდრე ანჩის ღვთისმშობელს.

ხათუთას უკვე მთელი ქალაქი იცნობს. საკვირველია, ასე მალე როგორ შეითვისა ჩვენებური იერი. ისე კოხტად დააქვს ევროპული ტანისამოსი და თავის განთქმული მშვენებანი, რომ აქაური მზეთუნახავებიც კი შურით იხერხებიან.

ჩვენ ოჯახში ბუზსაც არ შემოუშვებს, ყოველ დღე აბაზანაში ჭყუპალაობს და გულმოდგინედ სვამს განათლების სურას. მხოლოდ არითმეტიკას ვერ დასძლია და ჯერ-ჯერობით სუფთა ქართულსაც ვერ მოერია.

ეხლაც მესმის მეორე ოთახიდან მაიკოს გაკვეთილი:

- ორმოცს რომ სამოცი მიუმატოთ, რამდენი იქნება?

- ბევრი, ძალიან ბევრი იქნების. - ოხვრით უპასუხებს ხათუთა და გაქცევის საბაბს ჰპოულობს: - ნოდარს უნდა ძუძუ ვაწოვა, თორე იტირებს.

- ნოდარს სძინავს, ქალო, ნუ გააღვიძებ. მითხარი რამდენი იქნება მეთქი?

- აბაიმე! აკი გითხარი, ბევრი იქნების მეთქი, ძალიან ბევრი.

მაიკო უკბილო პირით ხითხითებს. მე ძლივს ვიმაგრებ ხარხარს. მეშინიან არ ეწყინოს ხათუთას. მაინც ხევსურია!

მართლა, ნეტა ეხლა ჯურხაანთ-კარში რა ამბავია?

მგელიკას სახლში ქონის ჭრაქი ბჟუტავს.

ნანუკა, იამზე და მზექალა ხინკალს ამზადებენ და ლუდს ხარშავენ. ხვალ უქმეა.

მგელიკა და თოთია ყავლ-გასული ცხენებივით დაფარფატებენ რომელიმე წიკლაურის სახლში ხევსურები ღრეობენ, ტოშფანდურს უკრავენ და ფარსმან მეფის, ზურაბ ერისთავისა და მამუკა ალუდაურის ლანდებს დასდევენ.

ჯურხა სამფეხაზე ზის. ყალივანს აბოლებს და ბუხარში იწი-

ტება.

- მავოს!! -- ბუხუნებს ჩემი ძმადნაფიცი.
- იგვირგვინებს! - უბეჭდავენ ხევსურები
- მკვდრეთით აღდგების თამარ ნეფეი!

ყოში ხელით-სელში გადადის.
ჭერხოდან ცალთვალა დევი იჭყიტება.
ტყეში ოჩოპინტე დასეირნობს.
ხევში მაძახურა იძახის.
სადღაც ტურა სჩხავის.
სოფელში ძაღლები ჰყმუიან.
იყავით მშვიდობით, ხევსურებო!
გწყალობდესთ გუდანის ჯვარი, გწყალობდესთ!
მშვიდობით!

შენიშვნები

¨პატარა დედაკაცი¨

ეს მოთხრობა პირველად 1926 წელს გამოსცა სახელგამმა ცალკე წიგნად. შედეგ 1934 წელს, მწერლის სიცოცხლეშივე სახელგამის მიერ გამოქვეყნებულ თხზულებათა კრებულის პირველ ტომში დაიბეჭდა. მესამედ გამოქვეყნდა 1957 წელს გამოცემულ მოთხრობების კრებულში (საბლიტგამი).

¨ორი შვილი¨

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ ¨მნათობში¨ (1927 წ. ზ 7). შემდეგ, 1934 წელს თხზულებათა კრებულის მესამე ტომში შევიდა. 1957 წ. მოთხრობების კრებულში დაიბეჭდა.

¨კურდღელი¨

ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა ჟურნალ ¨მნადობში¨ (1927. ზ 1), სათაურით ¨თეთრი კურდღელი¨. მეორედ 1934 წ. გამოცემულ თხზულებთა კრებულია მესამე ტომში დაიბეჭდა სათაურით ¨კურდღელი¨ ეს მოთხრობა შეტანილია საბლიტგამის მიერ 1957 წელს გამოცემულ მოთხრობების წიგში.

¨მიწის ყივილი¨

მოთხრობა დაწერილია 1928 წელს. მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული -აო მჩოლოდ ნაწყვეტი ამ მოთხრობისა (გაზეთი ,პოეზიის დღე- პ?38 წ. 5{-. პირველად ეს მოთხრობა მთლიანად გამოქვეყნდა პ?57 წელს, ჟურნალ ,ცისკარას- ფურცლეთე (ნნ ც.

.დ პმ პპზნ! მმა

რროთხრობა პირველად დთტქდა ალმანახ აარ.ფაონშარ მ?36 წეღრ|

ამ შრშნ!?

პირ·ჯელად გამო.ჯ·ვყნღა ჟურნალ ,მნათოთა (პ?პნ წ. ას მ). მეორედ, თხზჟ-
ღებათა კრებულის ზსამე ტომში დობეკდა (პ?მმ წ. შემდვგ დთბე--
და სზ·ჯმ ?. გროცემულ მოა:ხრობების ძრვბულში.
5ნ5

,9 ინმნპნია

}ირველად დაიბემდა ჟურნალ ,მნათოთი|. (ბ·ჯგ წელი, ო·ჯ ვ, ,ე·ჯ, დ,--
მოთხრობა შაოთ თხზულებათა კრებჟლის მესამე ტომში. მესამედ 957 წა--
დაიტმდა მოთხრობების კრებუ{ი.

ა‰ ხრპ მპლზშლია

დაიბმმდა ძურნაღ ,მნთობში-, ბმა წ. (თ ? -- ფ.

,ჯ ამოს ხიზნმბი-

რომანი პირველად ჟურნალ ,მნათობში- გამოქვეყნდა (ბამ წ. აა ? -- ბ და
935 წთ პ). იგი მწერლის სიცოცხლვშივე ცალკე წიგნად ოა,ერ გამოი-
აგ·ჯ·ჯ წ. და ა?აბ წელს,

რომანი დაბეპღიღაა თხზულებათა კრებულის მესბე გომში ჯგვ·ჯ დ. ც--
წელს კი ეს რომანი სახელმწიფო გცომცეჭ..ჯკ ცალკ, დგნ,დ გავთს-

ათ მთრი სპპმლო-

ეს რომანი პირველად ჟურნალ ,მნათობის- ფურცლეთე დ.,აეკღა ჯგაა წთ-
მემდეგ მწ,რალმა რო?ანი აადაამუმავა ღა იმავვ ღეღს ცაღკე ღ,გნად გაა,სც-
მესამედ ეა რო?.ნი დაიბვვღა ბვბ დელს ოხზულ,:ლ კა.ჯ,-.,,! }ესჭ-ა"ოვჭ